

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის
ინსტიტუტი



პროგრამა «ლოგოსი»

პუბლიკაციები და ღონისძიებები კლასიკური ფილოლოგიის,
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის სფეროში



ლოგოსი
თბილისი 2008

ოვიდიუსი

OVIDIUS

ჰეროიდები

HEROIDES

მაღლობა მინდა მოეახსენო ბ-ნ რ. ეორდუზიანს ამ წიგნის გამოცემისათვის, ასევე „ლოგოსის“ თანამშრომლებს: ა. ჯიქურიძეს, ი. სტროგანოვას, გ. კეელიშვილს და დ. მუჯირს.

რედაქტორი: მ. ღარიბაშვილი

© პროგრამა „ლოგოსი“, 2008

ISBN 978-9941-401-17-6

პროგრამა „ლოგოსი“

ილია ჭავჭავაძის გამზირი 13,

თბილისი 0179

ტელ. 25-02-58, ფაქსი 22-11-81

ელ. ფოსტა: greekstudies@caucasus.net

გარეკანზე: მენადა. ბრინჯაოს კრატერი. ძვ. წ. 330. პელოპონესი.

სარჩევი

ოვიდიუსი	7
<i>პროლოგი</i>	27
პენელოპე ულისეს	28
II	
ფილისი დემოფონს	33
III	
ბრისეისი აქილეეს	39
IV	
ფედრა ჰიპოლიტუს	45
V	
ენონე პარის	52
VI	
ჰამსიპილე იასონს	58
VII	
დიდო ენეასს	65
VIII	
პერმიონე ორესტეს	73
IX	
დეიანირა პერკულეს	78
X	
არიადნა თესეეს	84
XI	
კანაკე მაკარეეს	90

XII	
მედუა იასონს	95
XIII	
ლაოღამია პროტესიღაეს.....	103
XIV	
პიპერმნესღრა ლინკეეს.....	110
XV	
საფო ფაონს.....	116
XVI	
პარისი ეღენეს.....	124
XVII	
ეღენე პარისს	138
XVIII	
ღეანღრე პეროს.....	148
XIX	
პერო ლეანღრეს.....	157
XX	
აკონღიუსი კიღიპეს.....	165
XXI	
კიღიპე აკონღიუსს	174
საკუღარ სახელღა საღიეღელი.....	183

აკად. ს. ყაუხჩიშვილის ნათელ ხსოვნას

ოვიდიუსი

(ძვ.წ. 43 – ახ.წ. 18)

პუბლიუს ოვიდიუს ნაზონი, „მსუბუქი სიყვარულის ხალისიანი მომღერალი“, ვერგილიუსისა და პორაციუსის შემდეგ ავგუსტუსის ხანის პოეზიის უდიდესი წარმომადგენელია. იგი დაიბადა 43 წლის 20 მარტს ცენტრალურ იტალიაში, ქალაქ სულმონში. მისი მამა მხედართა წოდებას ეკუთვნოდა. მას სურდა შვილებისათვის – ოვიდიუსისა და მისი უფროსი ძმისათვის – კარგი განათლება მიეცა. ამ მიზნით გაგზავნა ისინი რომში იურისპრუდენციისა და მჭევრმეტყველების შესასწავლად.

რიგორთა სკოლაში ოვიდიუსს ასწავლიდნენ ცნობილი ოსტატები: ავრელიუს ფუსკუსი და პორციუს ლაგრონი. მათი წყალობით დაუფლა პოეტი დეკლამაციის მთავარ სახეებს: სუასორიებსა და კონგროვერსიებს, შეისწავლა რიგორიკული ხერხების, აფორიზმების, შედარებებისა და სენგენციების გამოყენება. ამ სკოლაში შეითვისა ოვიდიუსმა სამართლის, ფილოსოფიის, მითოლოგიისა და ისტორიის საფუძვლები.

მაშინდელი წესების თანახმად, სწავლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები საბერძნეთსა და მცირე აზიაში მოგზაურობდნენ, ისმენდნენ ფილოსოფოსთა ლექციებს, ეცნობოდნენ სიძველეებს, კულტურის ძეგლებს. ოვიდიუსმაც მოიარა ელადა, მცირე აზია, ალექსანდრია. რომში დაბრუნებულმა პოეტმა სახელმწიფო სამსახურში დაიწყო მუშაობა, მაგრამ მალევე უარი თქვა მასზე, რადგან მისი მოწოდება მუდამ პოეზია იყო.

ოვიდიუსი იმ რჩეულ პოეტთა რიგებს ეკუთვნის, რომლებმაც ჭაბუკობიდანვე მოიპოვეს აღიარება თავიანთი ვირტუოზული ლექსებით. რომის საზოგადოება გატაცებით კითხულობდა ოვიდიუსის პირველ ნაწარმოებებს, ვლეგიების კრე-

ბულებს: „ტრობანს“, „პერიოდებს“, „ტრობის ხელოვნებას“, „ტრობისგან განკურნებას“ და ტრაველია „მელეას“.

თავისი ნიჭი და გალანგი ოვიდიუსმა სრულად გამოაქვინა პოემა „მეტამორფოზებში“. მან პოეტს დიდი აღიარება მოუტანა, ოღონდ არა სიცოცხლეში. ეს პოემა, რომელსაც „წარმართულ ბიბლიას“ უწოდებდნენ შუა საუკუნეებში, ოვიდიუსმა ცეცხლის ალს მისცა. პოეტს თავზარი დასცა ავგუსტუსის უცაბედმა გადაწყვეტილებამ მისი რომიდან განდევნის შესახებ. ოვიდიუსი ამ პერიოდში პოემა „ფასტებზე“ მუშაობდა, რომელშიც ყოველ თვესთან დაკავშირებული რომაული დღესასწაულები იქნებოდა აღწერილი. პოეტმა 6 წიგნის დასრულება მოასწრო მხოლოდ, ახ. წ. 8 წ. ავგუსტუსმა იგი რომიდან შორს, შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, ქალაქ ტომისში გადაასახლა, მიზეზად სატროფიალო ელეგიები დაასახელა, სადაც პოეტი თავისუფალი სიყვარულით ტკობას უქადაგებდა რომაელ ახალგაზრდებს. ოვიდიუსის განცხადებით, იმპერატორის რისხვას სხვა მიზეზიც ჰქონდა, რის დაკონკრეტებას პოეტი ერიდება.

ტომისში ოვიდიუსი წერს: „სევდანს“, „წერილებს პონგოდან“, „იბისს“ და „მეთევზეობისათვის“.

10 წელი გაატარა პოეტმა გადასახლებაში იმ მოლოდინით, რომ ავგუსტუსი ოდესმე შეიწყნარებდა. მისი სიკვდილის შემდეგ სუსტი იმედი კვლავ გაუჩნდა ოვიდიუსს, რომ იქნებ ახალ იმპერატორს, გიბერიუსს, ყურად ელო მისი ვედრება სამშობლოში დაბრუნებაზე. ახ.წ. 18 წელს ყველასაგან მიტოვებული პოეტი ტომისში გარდაიცვალა, შორს რომიდან, სადაც ოდესღაც დიდი აღტაცებით კითხულობდნენ მის ლექსებს. მკითხველთა პატივისცემითა და სიყვარულით ოდესღაც განებივრებულ ოვიდიუსს უკანასკნელი სურვილიც კი არ შეუსრულდა, რომ მისი ფერფლი მშობლიური მიწისათვის მიებარებინებათ.

წერა ოვიდიუსმა ადრე დაიწყო. როგორც თავად აცხადებს, პროზაულად გამოთქმას ვერ ახერხებდა, სიტყვები თავისთავად ლაგდებოდა და ლექსის ფორმას იღებდა („სევდანი“ IV, 10).

რომის ახალგაზრდობა დიდი ინტერესით აღევენებდა თვალს პოეტის შემოქმედებას. ოვიდიუსი რომაელების წინაშე წარდგა როგორც ელეგიკოსი, საგრფილო ლექსების ავტორი. მან კარგად აუღო ალლო სამოგადოების მოთხოვნები, იგრძნო, რითი შეიძლებოდა მისი დაინტერესება. არცთუ შორეული წარსულის, სამოქალაქო ომების კომშარული სურათებისაგან გადაღლილი რომაელი ხალხი თავდავიწყებით დაეწაფა იმ დიდ სიკეთეს, რაც მას „ავგუსტუსის მშვიდობამ“ მოუტანა. რომის არისტოკრატია იგემა სიგკბო ხალხისიანი ცხოვრების, დროსტარების, განცხრომის. იმ დროს, როცა ავგუსტუსი რეფორმებით ცდილობდა დაეცმული მორალის აღდგენას, ოჯახის განმტკიცებას, ოვიდიუსი თავისი მხიარული, ეროტიკული ლექსებით სიყვარულის მასწავლებლად მოეკლინა რომის ახალგაზრდობას.

„ნამდვილი ხეპრე ხარ, თუკი შეიმჩნევ მეუღლის ღალატს, ვერ გასცნობიხარ კარგად ჩვენი ქალაქის წესებს.“¹

წერს ავგუსტუსი „ტრობანში“ (III, 4, 35-37). ეს სიტყვები მოწმენდილ ცაბე მეხის გავარღნას ნიშნავდა. ქორწინების რღვევა კულტურის ნიშნად აღიარა ოვიდიუსმა. მას სურდა ეგრძნობინებინა ავგუსტუსისათვის რეფორმების უტოპიურობა. თავისი წინამორბედი ელეგიკოსების: პროპერციუსისა და ტიბულუსისაგან განსხვავებით, ოვიდიუსმა აქცენტი პოეტიდან მკითხველზე გადაიტანა; მის მიერ აღწერილ სამიჯნურო თავგადასავლებში მკითხველი თავის თავს შეიცნობს, იგი პოეტთან ერთად ხდება თანამონაწილე საგრფილო სცენებისა.

ელეგიების კრებული „ტრობანი“ თავდაპირველად ხუთი წიგნისაგან შედგებოდა, შემდეგ თავად პოეტს შეუმცირებია იგი სამამდე. ტრადიციისამებრ, კრებულში შემავალ ლექსებს ჰყავს თავისი გმირი ქალი, კორინა. ძნელი სათქმელია, რეალური პიროვნება იყო ის, თუ ოვიდიუსის მიერ შექმნილი, ზოგადი სახე სასურველი ქალისა. პოეტის სიცოცხლეში რამდე-

¹ თარგმანი მ. ღარიბაშვილის

ნიმე ქალი აცხადებდა პრეგენზიას, რომ სწორედ ის იგულისხმებოდა კორინაში.

კრებული შეიცავს ელევგიური დისტიქებით გამართულ 49 ლექსს. დეკლამაციურ ხელოვნებაში კარგად გაწაფული პოეტი ქებას ასხამს თავისუფალ სიყვარულს. იგი აღწერს სხვადასხვა სამიჯნური ეპიზოდს. „გრფობანის“ ელევგიები ეძღვნება: საგრფოს, საგრფოს მოახლეს, მაჰანკალს, ბრიყვ ქმარს, საგრფოს მცველს. ოვიდიუსი მისთვის ჩვეული იუმორით გადმოსცემს „დრამატულ სიუჟეტებს“ – საგრფოს დალაგს, ჩხუბს, ეჭვიანობას, საგრფოსთან დაშორებას. პოეტის თქმით, მიჯნური მწვავე ვნებებთან მებრძოლი მეომარია (I, 9), კუპიდონი – გრიუმფაგორი, რომლის ეტლს მიჰყვებიან დატყვევებული ჭაბუკები და ქალწულები (I, 2).

ოვიდიუსის ელევგიებში აღწერილი სამიჯნურო თავგადასავლების მონაწილე პოეტთან ერთად მკითხველიც არის. ოვიდიუსის თანამედროვე რომაელს შეეძლო თავისად მიეჩნია ის საგრფილო ეპიზოდები, რომლებიც „გრფობანშია“ წარმოდგენილი, რადგანაც ყოველი კონკრეტული სურათი იმავდროულად ზოგადიც არის. ამიგომ გახდა ოვიდიუსი ეგზომ პოპულარული და საყვარელი პოეტი. მან იმთავითვე იგრძნო მკითხველის განსაკუთრებული პატივისცემა და ინტერესი მისი ლექსებისადმი, რასაც იგი აფასებდა. ოვიდიუსმა თავის ელევგიებში უმდერა არა რომის გმირულ წარსულს, არა ავგუსტუსის დიდებულ საქმეებს, არა რომაელთა წარმატებულ ღამქრობებს, არამედ სიყვარულს, რომელსაც შეეძლო სამოქალაქო ომებით გამოწვეული უბედურებების დავიწყება.

გონებამახვილობა, ფაქიზი იუმორი, ფსიქოლოგიზმი, ლექსის სიმსუბუქე არის „გრფობანისათვის“ დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. კრებულში რამდენიმე ელევგია განსხვავებულ თემას ეძღვნება: III, 9 – ელევგიკოსი პოეტის, ტიბულუსის სიკედილს, III, 13 – ქალღმერთ იუნოს დღესასწაულს, I, 15 – პოეტიის უკვდავებას, III, 1 – პოეტის შეხედულებას საგრფილო ელევგიის ქანრზე.

სიყვარულის თემაზეა აგებული ოვიდიუსის მომდევნო კრებულიც „ჰეროიდები“, რომელიც წარმოადგენს მითოლოგიუ-

რი გმირი ქალების წერილებს ქმრებისა ან საგრფოებისადმი. „გრფობანისაგან“ განსხვავებით, პოემა აქ პერსონაჟ ქალთა სულიერი დრამატიზმი დაგვიხატა. ეს წერილები წარმოადგენს მოგონებებით, სევდითა და გკივილით სავსე მონოლოგებს. ელევების კრებული „პეროიდები“ 15 წერილისაგან შედგება: პენელოპე ულისეს, ფილისი დემოფონს, ბრისეიდა აქილეესს, ფედრა პიპოლიტუსს, ენონე პარისს, პიპსიპილე იასონს, დილო ენეასს, პერმიონე ორესტესს, დეიანირა პერკულესს, არიადნა თესეესს, კანაკე მაკარეესს, მედეა იასონს, ლაოდამია პროტესილაესს, ჰიპერმნესტრა ლინკეესს, საფო ფაონს. აქედან მხოლოდ საფო არის არამითოლოგიური პერსონაჟი. ამ კრებულს კიდევ სამი წყვილი წერილი ერთვის: პარისი ელენეს, ელენე პარისს, ლეანდრე პეროს, პერო ლეანდრეს, აკონტიუსი კილიპეს, კილიპე აკონტიუსს.

ამ კრებულში განსაკუთრებით იჩინა თავი ოვიდიუსის გატაცებამ ე.წ. „სუსასორიებით“. ეს იყო ერთგვარი სავარჯიშო, რომელსაც რიგორიკული სკოლის მოსწავლეებს აძლევდნენ. მათ უნდა შეედგინათ მთაბმეჭდავი სიგყვა რომელიმე ისტორიული ან მითოლოგიური პირის სახელით.

მართალია, ანტიკურ პოეზიაში გვხვდება ამგვარი წერილების ნიმუშები (ევრიპიდესთან, პლავტუსთან, კატულუსთან, პროპერციუსთან), მაგრამ ოვიდიუსის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ფიქტიური წერილების ქანრის დამკვიდრება რომაულ პოეზიაში.

„პეროიდების“ მთავარი მოტივი, ძირითადად, განმორებით გამოწვეული სევდაა. კრებულის პერსონაჟები მიგოვებულნი არიან ქმრების (საგრფოების) მიერ დროებით ან სამუდამოდ. ისინი, ყველანი, ერთნაირ სიგყუაციაში იმყოფებიან, ერთნაირი განცდებით არიან შეპყრობილნი, მიუხედავად ამისა, თითოეული გმირის წერილი გამოირჩევა ინდივიდუალობით, მასში ჩანს პერსონაჟის ხასიათი, რომელიც მითოლოგიურ ფონზე არის წარმოჩენილი.

ოვიდიუსი თავისუფლად იყენებს მითის სიუჟეტებს, სურვილისამებრ ანაწევრებს, ჩართავს მათში ყოფით დეტალებს ისე, რომ მითის შინაარსი არსებითად უცვლელი რჩება. პოე-

გი ახერხებს იმასაც, რომ წერილში ჩანდეს მითის გრაგიკული ფინალი. მაგ. ჰიპსიპილე წყველით ამთავრებს იასონისადმი მიწერილ ბარათს (VI 156-164), რომელშიც ჩანს მედეას მომავალი შურისძიება, მის მიერ საკუთარი ვაჟების დახოცვა:

„იუპიტერო, ერთსა გთხოვ მხოლოდ,
რომ ჩემნაირი მწარე ხვედრი მედეას ერგოს,
გამწარებულმა შეილებიც კი არ
შეიბრალოს, როგორც მამა და ძმა არ დაინდო,
მიწამ, ხმელეთმა გზა მოუჭრას,
ჰაერი დარჩეს: ცოდვებით საესემ და განჯულმა
იხეგიალოს ქვეყნად ეულმა.
გწყველით, იასონ, შენც და ცოლ-ქმრულ სარეცელს თქვენსას
მე, ჰიპსიპილე, თოასის შვილი.

„პეროიდებმა“ რომაელი მკითხველის დიდი მოწონება დაიმსახურა. ოვიდიუსს გამოუჩნდნენ მიზმაძველები. პოეტმა საბინუსმა „პეროიდების“ სტილში გპირი ქალებისათვის განკუთვნილი საპასუხო წერილები შეთხზა.

ამავე პერიოდში დაუწერია ოვიდიუსს ტრაგედია „მედეა“, რომელსაც მაღალ შეფასებას აძლევდნენ ანტიკური ხანის მწერლები (სენეკა, კვინტილიანუსი). სამწუხაროდ, ამ ნაწარმოების მხოლოდ ორიოდე ფრაგმენტმა მოაღწია ჩვენამდე.

სიყვარულის თემას უძღვნა ოვიდიუსმა ელეგიური დისტიქით გამართული პოემა „ტროფობის ხელოვნება“, დაიწერა ძვ.წ. I და ახ. წ. I საუკუნეებში. იგი დიდაქტიკური ხასიათის ნაწარმოებია და იმ დროს გავრცელებული რიგორიკის სახელმძღვანელოების პაროდისა წარმოადგენს; შედგება სამი ნაწილისაგან. I – II წიგნებში ოვიდიუსი რჩევა-დარიგებას აძლევს მამაკაცებს, სად და როგორ მოინადირონ ქალის გული, როგორ შეინარჩუნონ სიყვარული, მესამე წიგნში ქალებს ასწავლის, როგორ მოხიბლონ მამაკაცები.

ეს არის ფრივოლური ხასიათის პოემა, სადაც ოვიდიუსმა გამოამჟღავნა ქალისა და კაცის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნა. დიდაქტიკური ტონი პაროდულ ელფერს ანიჭებს მთელ ნა-

წარმოებს. პოემაში უხედაა ცხოვრებისეული ჩანახატები, პიკანტური ხასიათის თხრობანი, ეფექტური სენტენციები.

ახალგაზრდობა აღფრთოვანებით შეხედა ოვიდიუსის ახალ პოემას, კონსერვატორული ნაწილი საზოგადოებისა კი, როგორც ჩანს – აღშფოთებით, მაშინ როცა, აევსტუსის კანონები მიმართული იყო ფუჟუნების, ვარყვნილების წინააღმდეგ, როცა მკაცრად ისჯებოდნენ არა მარტო ოჯახის დამრღვევნი, არამედ გვიან დაოჯახების მსურველებიც, ოვიდიუსის პოემა აქებებდა ახალგაზრდებს, დაეიწყებინათ მკაცრი მორალი და თავისუფალი სიყვარულით გებობას დასწაფებოდნენ. პოეტი ასწავლის ახალგაზრდა ქალებს, რა არის საჭირო, რომ სასურველნი იყვნენ მამაკაცებისათვის. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ მათ მარტო გარეგნობაზე ზრუნვას კი არ ურჩევს ოვიდიუსი, არამედ იმასაც, რომ გაიწაფონ ცეკვაში, სიმღერაში, დაკერასა და ლექსების კითხვაში.

შეიძლება, პოეტს სულაც არ უნდოდა ოპოზიციაში ჩადგომა აევსტუსს და ამ პოემით სურდა, ეჩვენებინა მხოლოდ იმდროინდელი ქალაქური ცხოვრების წესი.

დიდმა რომაელმა პოეტმა, ვერგილიუსმა, რომაელებს ასწავლა, როგორ მიეხედათ სოფლის მეურნეობისათვის და როგორ დამტკებარიყვნენ სოფლის იდილიით, პორაციუსმა პოემიის მოყვარული გააცნო ლექსების წერისა და სწორად ცხოვრების წესი, ოვიდიუსი კი სიყვარულის მასწავლებლად მოვედინა რომაელ ახალგაზრდებს. ადვილი წარმოსადგენია, როგორ მიიღებდა აევსტუსი „ტრფობის ხელოვნებას“, როცა ნიჭიერი პოეტისაგან იგი თავისი რეკიმის მხარდაჭერას ელოდებოდა. თითქოს გაუგებარია ოვიდიუსის გაუფრთხილებლობა. როგორც ჩანს, პოეტს იმედი ჰქონდა, რომ პოემის ზოგიერთი ადგილი, სადაც აევსტუსის ეპოქის ქება იყო გამოხატული, გაანეიტრალებდა მწვავე სტრიქონებს, ოფიციალური იდეოლოგიის წინააღმდეგ მიმართულს.

ოვიდიუსი უმღერის მშვიდობიან რომს, რაც აევსტუსის დამსახურება იყო, იგი თავს ბედნიერად თელის, რომ სწორედ ამ დროში უწევს ცხოვრება (II, 122), მაგრამ ეს დრო პოეტისათვის მოსაწონი და მისაღებია იმიტომ, რომ აევსტუსის

მიერ აყვავებული და გამშვენიერებული რომი საუკეთესო საშუალება იყო სამიჯნურო თავგადასაულებისათვის, სასიყვარულო ინტრიგებისათვის, რის წინააღმდეგ ილაშქრებდა ავეგუსტუსი თავისი რეფორმებით. ასე პარადოქსებით საუბარი ნიშანდობლივია ოვიდიუსისათვის. დაუფარავი იუმორით ახასიათებს პოეტი თავის თანამედროვე „ოქროს ხანის“ რომის საზოგადოებას:

„ვაიმე, პოეგს არად ავლებენ,
 ლექსები მოსწონთ, მაგრამ უჯობთ ძვირფასი ძღვენი,
 უბირს ირჩევენ, ოლონდაც მდიდარს.
 ოქროს ხანა გვაქვს ჭეშმარიტად, ოქროთი მრავალ
 პატივს მოიხვეჭ, თვით სიყვარულსაც.“

(II 274-278)

ეცყობა, ოვიდიუსმა მაინც ამჯობინა თავის დაზღვევა, ან უკვე იგრძნო ამკარა საფრთხე თავისი სკანდალური პოემის გამო და გამოაქვეყნა „ტრფობისგან განკურნება“ აქ ავტორი იძლევა იმის საპირისპირო რჩევებს, რაც „ტრფობის ხელოვნებაში“ არის წარმოდგენილი. პოეტი სიყვარულისგან გაწამებულ ახალგაზრდას ასწავლის, როგორ დააღწიოს თავი ამ მწველ გრძნობას. მართალია, ეს პოემა ოვიდიუსისათვის ჩვეული იუმორით არის დაწერილი, მაგრამ იგი მხატვრული ღირსებებით ბევრად ჩამოუვარდება „ტრფობის ხელოვნებას“.

ამავე პერიოდს ეკუთვნის გალექსილი ტრაქტატი „ქალის ნელსაცხებელთათვის“, რომელშიც პოეტი აცნობს ქალებს სილამაზის შენარჩუნების საშუალებებს. ამ ნაწარმოების მხოლოდ ასიოდე სტრიქონია შემორჩენილი.

ამით ოვიდიუსმა დაასრულა სიყვარულის თემაზე ლექსების წერა. სატრფიალო ელევგიებით, როგორც თავად აცხადებს პოეტი, იგი უდიდობს მკითხველთა გულის მოგებას, სახელის მოხვეჭას და პოეტურ სარბიელზე ძალების მოსინჯვას („ტრფობანი“ III, I, 26), რათა შემდგომ მაქსიმალურად გამოაქვინოს ნიჭი უფრო ვრცელ, განსხვავებული ჟანრის ნაწარმოებში. „ტრფობისაგან განკურნებით“ ოვიდიუსი კი არ ემშვიდობება მკითხველს, ვისთვისაც დაიწერა ეს პოემა, არა-

მედ უქმნის მას განწყობას ახალი გიპის ნაწარმოების მოსასმენად. პოეტი უკვე მკითხველთა ფართო მასების დაინტერესებას აპირებს.

ოვიდიუსი გრძნობდა, რომ საჭირო იყო გამოეხატა თავისი პოზიტიური დამოკიდებულება არსებული რეჟიმისადმი. მით უფრო, რომ მას მართლაც მოსწონდა მშვიდობიანი, ხალისიანი რომი. რაგომ არ უნდა დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია; თანაც ავგუსტუსს აღიზიანებდა ნიჭიერ პოეტთა ღვიძლი ამის თაობაზე, რაც ძალზე სასიყატო იყო. ოვიდიუსმა გადაწყვიტა, პოემებით: „მეტამორფოზებითა“ და „ფასტებით“ გამოეხატა, რეზობდა ავგუსტუსის იდეოლოგიას. ოვიდიუსისათვის კარგი მაგალითი იყო ვერგილიუსის „ენეიდა“, რომელშიც მარჯვედ არის ჩართული ავგუსტუსის დიდება. მიუხედავად იმისა, რომ იმპერატორი იმელოვნებდა, „ენეიდა“ მთლიანად მას მიეძღვნებოდა, დასჯერდა იმას, რომ მისი ღვაწლი ფრაგმენტულად მაინც აისახა პოემაში. ოვიდიუსიც ამ გზას ირჩევს და პოემის ეპილოგში ხოგბას ასხამს ავგუსტუსს.

„მეტამორფოზები“ ოვიდიუსის შემოქმედების მწვერვალს წარმოადგენს. იგი 15 წიგნისაგან შედგება, მასში გადმოცემულია ცნობილი და იშვიათი მითები გარდასხვათა შესახებ. როგორც „მეტამორფოზების“ დასაწყისში (I 1-2) გვამცნობს პოეტი, იგი უმღერის „ახლადგანსხეულებულ, შეცვლილ სახეებს“; თუ რა იწვევს ამ გარდაქმნებს, ამას პოემის დასასრულს განმარტავს პოეტი, როცა პითაგორას მოძღვრებაზე საუბრობს. გარდა მეტრული საზომისა (იგულისხმება დაქტილური პექსამეტრი), „მეტამორფოზები“ არ ავლენს კლასიკური პოემის ნიშნებს. მასში არ არის ადგილის, დროის, მოქმედების ერთიანობის პრინციპი. მას უწოდებენ თავისებურ პოემას.

„მეტამორფოზებში“ თავმოყრილი და დამუშავებულია 250-მდე ბერძნული და ნაწილობრივ იტალიურ-რომაული მითოლოგიური თქმულება. ყოველი მითის ფინალური ნაწილია ადამიანის გარდაქმნა ახალ სულიერ სხეულად ან უსულო საგნად: ცხოველად ან მცენარედ, ქვად, წყაროდ, ანდა ციურ მნათობად, ან უსულო სხეულის სულიერში გარდაქმნა.

გარდასახვის ეანრს კარგად იცნობს ელინისტური მწერლობა. ალექსანდრიული ხანის III ს. პოეტი კალიმაქოსმა თავის ეგიოლოგიურ პოემა „მიზეზებში“ გამოიყენა ეს მოტივი ისტორიული მოვლენების ასახსნელად, გმირების მნათობებად გარდასახვას უძღვნა ერაგოსთენესმა თავისი მცირე სახის თხზულება იგივე ეანრი გამოიყენეს: ნიკანდროს კოლოფონელმა, ბოიოსმა, რომაელთაგან – მაკერმა. მათგან განსხვავებით, ოვიდიუსმა ორიგინალური კომპოზიცია მოუძებნა თავის პოემას, შექმნა დაუვიწყარი მხატვრული სახეები, უმაღლეს ღონებე აიყვანა ლათინური ჰექსამეტრი.

პოემა იწყება სამყაროს შექმნით, ქაოსის კოსმოსად გარდაქმნით და მთავრდება იულიუს კეისრის კომეგად გარდასახვით. პოეტი სხვადასხვა პრინციპს იყენებს მითების დასაკავშირებლად, რათა პოემა იყოს „ერთი უწყვეტი სიმღერა“. ოვიდიუსი ხან ციკლების მიხედვით აერთიანებს მითებს, ხან – მოქმედების ადგილის, ხან კიდეც – პერსონაჟთა მსგავსების საფუძველზე. ზოგჯერ საგანგებოდ შეთხზულ რგოლებსაც მიმართავს. პოემაში ბევრია ჩართული ეპიზოდი. პოეტი ერთ ამბავში ხშირად ოსგატურად გადააწნავს მეორეს.

ოვიდიუსმა „მეტამორფოზებში“ მოგვცა სამყაროს პოეტური მოდელი, რომელიც მუდმივ ცვალებადობაზეა აგებული. მარადიული არის მხოლოდ სული, რომელიც ახალ-ახალ სხეულებში გარდაიქმნება. ამიგომ, აცხადებს პოეტი, ადამიანებს არ მართებთ შიში სიკვდილისა, რადგან ეს არის არა დასასრული, არამედ საწყისი ახლისა (XV 151-159). პოემის ეპილოგში ოვიდიუსი არაორაზროვნად მიუთითებს, რომ უკვდავია სულთან ერთად პოეტის სახელიც, რადგან მის ქმნილებას დრო და ეამი ვერ მოერევა.

პოემაში სხვადასხვა ეანრისათვის დამახასიათებელი ელემენტებია გამოყენებული: საგმირო ეპოსი – კენგავრებისა და ლაპითების ბრძოლა (XII), ეპილიონები – ფაეთონი, პრიოსერპინა (II), ნოველა – აპოლონი და დაფნე (I), იდილიური რომანი – კეიკსი და ალკინოე (XI), საგრფიალო ელეგია – პოლიფემესი და გალაგვა (XIII), რიგორიკული კონგროვერსია – აიაქსისა და ულიქსეს დავა აქილევისის იარაღისათვის (XII),

ეკურასისი – მზის ღმერთის სასახლე (II). ოვიდიუსი არის არაჩვეულებრივი მთხრობელი. იგი იყენებს მაშინდელი ხელოვნების ნიმუშებს და ხაგონად გადმოსცემს მითის შინაარსს, მაგ. ნიობეს გრაგელიის გადმოცემისას. მითის მოგიერთი ეპიზოდი ისე დინამიურად და პლასტიკურად არის აღწერილი, თვალნათლივ ვხედავთ პოეგის მიერ მოთხრობილ ამბავს. ასევე შთამბეჭდავია დაფხეს გარდასახვა მცენარედ, მედეას მიერ ემონის გაახალგაზრდავების სცენა. მოგჯერ მოქმედება კინოკადრით ვითარდება პოემაში. ამას ოვიდიუსი ასურხებს გეოგრაფიული ადგილების სწრაფი ჩამოთვლით. ასეთი ხერხით არის გადმოცემული მედეას ლგოლვა (VII).

„მეტამორფოზების“ თემა მრავალფეროვანია: სიყვარული, ცოლქმრული ერთგულება, ეჭვიანობა, შურისძიება, ღვთისმოსაობა, ნადირობა, თავისუფლებისკენ ლგოლვა და სხვ. სიყვარულის მოგივი ბევრ მითს უღვეს საფუძვლად. ოვიდიუსი გვიხატავს მრავალნაირ სიყვარულს: წმინდას და ამაღლებულს – პირამუსი და თისბე (IV), პომონა და ვერტუმნუსი (XIV), გაუზიარებულს – აპოლონი და დაფნე (I), ნარცისი და ექო – (III), ღმერთთა გატაცებას – იუპიტერი და ვეროპე (I), იუპიტერი და კალისტო (II), ცოლქმრულ სიყვარულს – კეფალუსი და პროკრისი (VII), ფილომელა და ბაეკისი (VIII), ორფევსი და ეერიდიკე (XI), კეიქსი და ალკინოე (XI), შემოქმედის სიყვარულს თავისივე ქმნილებისადმი – პიგმალიონი (X), ინცესტურ სიყვარულს – ბიბლისი (IX), მირა (X), ვერაგულ სიყვარულს, ბილწ გრძნობებსა ან სამშობლოსა და მამის ღალატზე დაფუძნებულ ვნებას – მედეა და იასონი (VII), ნისუსი და სკილა (VIII). ოვიდიუსს ებრალება მეგრფე, რომელიც იგანჯება, თუნდაც ცოდვიანი სიყვარულის გამო, რადგან, პოეგის განცხადებით, ამგვარი გრძნობების ინიციატორი კუპიდონი კი არ არის, არამედ ფურია, რომელიც ექიდნეს შხამით წამლავს მსხვერპლს.

„მეტამორფოზებში“ ოვიდიუსი ხატავს მეგრფის სტერეოტიპს, რომელიც საგრფოს წინაშე თავს იწონებს თავისი ღირსებებით, ვაჟკაცობით, წარმომავლობით, სიმდიდრით. მაგ. დაფნეს დაღვენებული აპოლონი საყვედურით მიმართავს

ქალს, რომ იგი გაურბის არა ვიღაც უბრალო მწყემსს, არამედ მუსიკისა და მედიცინის ღმერთს (I 505-524). ასევე მოაქვს თავი შეყვარებულ პერსევსს თავისი წარმომავლობითა და გმირობით (IV 697-704), იუპიტერიც კი იძულებულია ასეთი ხერხით შეაჩეროს საგრფო (I 595-596).

თავისებურად გადმოსცემს ოვიდიუსი ქალის სილამამეს. მას პოეტი ხშირად დინამიურობაში აღიქვამს, ზოგჯერ ქალწულის განადობაზე ამახვილებს ყურადღებას, ხან – სხეულის ფერზე, ხან კი – სამოსზე, ან აღწერს იმ მშვენიერ წამს, რომელსაც იწვევს ლამაზი ქალის გამოჩენა. ერთადერთი ადგილი, სადაც უხვი ფერებით არის შემკობილი მომხიბლავობა ქალისა, არის მითი პოლიფემესა და გალაგეაზე (XIII), სადაც მშვენიერებას სიმახინჯე უპირისპირდება. გალაგეას შესაქებად მასზე შეყვარებული ცალთვალა კიკლოპი ფერებსა და საღებავებს ირგვლივ არსებული ფლორიდან და ფაუნიდან იღებს. შედარებითი ზედსართავი სახელების სიუხვე (25 კომპარატივის ფორმა) თავისებურ ელფერს, სინამბესა და სიმსუბუქეს ანიჭებს ლექსს:

„ო, გალაგეაე, კვილოზე უფრო ქათქათავ და
წალკოგ მდელიოზე მშვენიერო, ალვაზე უფრო
განაყრილო, ბროლზე კამკამაე, ციკანზე ანცო,
ტალღით ნაფერებ ნიქარაზე უფრო კრიალაე,
მამთარში მზეზე სანატრელო, ხვატში კი – ჩრდილზე,
დახუნძლულ ხილზე სასურველო, მაღალ ჭადარზე
საჩინო და თვალისმოჭრელო ყინულზე უფრო,
მტევეანზე ტკბილო, გედის ბუმბულზე და მაწონზე
უფრო ფაფუკო, მორწყულ ბაღზე თვალგასახარო,
ო, გალაგეაე, რად რბი, მძინვარეე გიე მოზვერზე,
ბებერ მუხაზე უფრო მტკიცეე, ზღვაზე მაცდურო,
ვაზზე, ტირიფზე მოქნილო და კლდეზე უდრეკო,
ყინზ ფარშევეანგზე მედიდურო, ჩანჩქერზე შმაგო,
ბარღზე მსუსხავო, ცეცხლზე მწველო, გვირთებზე უფრო,
შეუსმენელო, ძუ დათვზე მეტად ულმობელო,
დაუნდობელო, ქუსლდანადგამ ასპიგზე უფრო,
ნეტაე შემძლოს, რომ წაგართვა უნარი ბრძოლის,

ძალღების ყეფით დაჟეთებულ ირემზე მარდო,
უცებ შოვარდნილ ნიავსა და ქარბუქზე სწრაჟო“

(XIII 789-809)

პირველ ცხრა კარელში ნიმფას გარეგნობა უდიდესი სინაგჟით არის შედარებული ბუნების მშვენიერებასთან, შემდგომ 10 კარელში კი ნიმფას დაუმორჩილებელი სული მრისხანე ბუნებასთან არის გაიგივებული. არც ერთი მეტრფე „მეგამორფობებში“ ასე ენაწყლიანად არ ახასიათებს სატრფოს. ვრცლად და პოეტურად არის გადმოცემული პოლიფემის გრძნობები. მას ამ მხრივ ვერც ერთი პერსონაჟი ვერ შეედრება „მეგამორფობებში“. იგი ყველაზე მეტად იგანჯება, „თითქოს ეგნამ გადაინაცვლა მის მკერდში“ (869), „იგი ისე ბორგავს, როგორც ფურის წართმევით შლეგადქცეული ხარი“ (872). მიუხედავად ამისა, მკითხველს მისადმი სიბრალული არ უჩნდება, რადგან კიკლოპისათვის უცხოა ის თავგანწირვა, მიტევების უნარი, რაც ჭეშმარიტ სიყვარულს ახასიათებს. მას სიყვარული ესმის, როგორც სასურველი ქალის დასაკუთრება, რათა იგი თავის სიმდიდრეს შემატოს. გალატეას დათმობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ იგი არავის საკუთრება არ იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მრისხანე შურისმაძიებლად იქცევა (860-875).

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ პირამუსისა და თისბეს მითში, რომელიც ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია „მეგამორფობებში“, ოვიდიუსი არც ქალ-ვაჟთა გარეგნობის აღწერას იძლევა (მხოლოდ მიანიშნებს მათ გამორჩეულობას), არც სიყვარულის გამედავნების სტერეოტიპს გვთავაზობს. აქ პოეტს აქცენტი მითის წარმტაც სიუჟეტზე გადააქვს და პირამუსისა და თისბეს გრაგიკულსა და ამალღებულ სიყვარულზე გვესაუბრება.

„მეგამორფობებში“ ოვიდიუსი ცდილობს ავგუსტუსის ღვაწლის წარმოჩენას. იუპიტერის სახეში ხშირად იმპერატორი იგულისხმება, ხან შეუარვით, ხანაც კი ამკარად. ეს არ იყო უჩვეულო იმ პერიოდში.

ავგუსტუსი იუპიტერის განსახიერებად ითვლებოდა მიწაზე, ამიტომ იუპიტერზე დამუშავებულ მითებში უზენაესი ღმერთი რომის პირველ იმპერატორთან ასოცირდება. „მეგამორფობების“ I წიგნში, რომელშიც ქაოსიდან მოწესრიგებულ სამყაროს შექმნაზეა საუბარი, უნდა იგულისხმებოდეს ავგუსტუსის მიერ კარგად ორგანიზებული მონარქიის დაარსება, როგორც იუპიტერმა დაამარცხა საშიში მგერი ლიკაონი, ასე იხსნა ქვეყანა დალუპეისაგან ავგუსტუსმა კეისრის მკვლელობის შემდეგ (I, 199-201). აქ ძნელი ამოსაცნობი არ არის ომი ანტონიუსისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ. ოვიდიუსი იწონებს იუპიტერის სიმკაცრეს ლიკაონის მიმართ, ამით იგი ამართლებს ავგუსტუსის ლაშქრობას ანტონიუსთან, მაგრამ თვით ძლევამოსილი იუპიტერი – ავგუსტუსიც კი უძლურია მართოს შემოქმედი. ამის საილუსტრაციოდ პოემის ეპილოგი გამოდგება, რომელიც ძალიან ჰგავს პორაციუსის ცნობილ ოდას მელპონემენესადმი:

„ქმნილება ესე განვასრულე; ვერ იავარყოფს
 იუპიტერის, ცეცხლისა თუ მახვილის რისხვა,
 ვერც ვამთა სრბოლა, როს სხეულის მეუფე ხანით
 შეუცნობელი ჩემგან ღლენი მომესწრაფება,
 უკვდავი სულით აღზევებები უმაღლეს ეტლთა,
 სახელი ჩემი არ წარხდება; კაცთა ბაგენი
 ძალმოსილ რომის ღიად ქვეყნად მაღიარებენ.
 მგოსანთ მისნობის თუ ვირწმუნებთ ჭეშმარიტებას,
 უკვდავეყოფილი ვიარსებებ უკუნისამდე.“²

(XV 871-879)

„მეგამორფობებთან“ ერთად ოვიდიუსი მუშაობდა პოემა „ფასტებზე“. ეს იყო რომაული კალენდარი, რომელშიც გადმოცემული უნდა ყოფილიყო ყოველი თვის ეტიმოლოგია, ამ თვის დღესასწაულებების აღწერა, რიგუალების წარმოშობა, მათთან დაკავშირებული ლეგენდებისა და მითების განმარტება.

² თარგმანი ნ. გონიასი.

ეს პოემა არა მხოლოდ შინაარსობრივად უპასუხებდა ავგუსტუსის მოთხოვნებს, არამედ ოფიციალურადაც მისაღმი იყო მიძღვნილი. თავისთავად ასეთი თემის არჩევანი ავგუსტუსის იდეოლოგიის გაზიარებას ნიშნავდა, ძველი რელიგიური წეს-ჩვეულებების, წინაპართა ადათებისადმი პაგივისცემას. თუ ამით რომაელი მკითხველი საჭირო ინფორმაციასაც მიიღებდა, მივიწყებულ ღვთაებებს გაიხსენებდა, პოეტი ავგუსტუსის იდეოლოგიის მხარდამჭერად ჩაითვლებოდა და ამით აიცილებდა საშიშროებას (რომელსაც იგი კარგა ხანია გრძნობდა).

პოემა იწყება იანვრის თვით, სადაც საუბარია იანუსის კულტზე, ასევე აგონალიაზე, კარმენტალიაზე, პაგანალიაზე და სხვ. პოემა მოასწრო მხოლოდ ექვსი წიგნის დასრულება, როცა ავგუსტუსის რისხვა დააგყდა თავს. ოვიდიუსმა აღარ ისურვა პოემის დამთავრება.

„ფასტები“ საყურადღებოა არა მარტო იმით, რომ რომაული კულტურის, წეს-ჩვეულებების შესახებ გვაწვდის ცნობებს, არამედ იმითაც, რომ იგი შეიცავს საინტერესო განმარტებებს რელიგიურ და რეალურ-ისტორიულ ფაქტებთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ „ფასტები“ საკმაოდ სერიოზულ თემას ეძღვნება, რომაულ სიწმინდეებს, ოვიდიუსი ახერხებს აქაც ჩართოს ეროგიკული, მხიარული სცენები, ორაზროვანი გამოთქმებით გაახალისოს თხრობა. პოემაში ბევრი ეპიზოდი მისთვის ჩვეული ოსტატობით აქვს პოეტს გადმოცემული. მაგ. ამალღებულად არის მოთხრობილი ლუკრეციას ტრაგედია, რასაც მოჰყვა ტარკვინიუს ამაციის განდევნა (II წიგნი), რომულუსისა და რემუსის ამბავი (IV წიგნი).

VI წიგნში, სადაც ვესტას კულტზე საუბრობს ოვიდიუსი, მოთხრობილი აქვს რეალურ-ისტორიული ამბავი – როგორ შევიდა აღმოდებულ გაძარში ძვ. წ. 241 წ. ქურუმი მეტელუსი და გადაარჩინა ქალღმერთი. ეს რა თქმა უნდა, შემთხვევით არ ჩაურთავს პოეტს. ამ ისტორიული ფაქტის გაცოცხლებით პოეტი მოაგონებს მკითხველს ავგუსტუსის მიერ ვესტას გაძრიდან ანგონიუსის ანდერძის გამოგანას, მამაკაცის შესვლა

ქალღმერთის ტაძარში კანონით დაუშვებელი იყო. ძნელი სათქმელია, რა უნდოდა ამით ეთქვა პოეტს: მოეგონებინა ავგუსტუსის დანაშაული რომაელთათვის, თუ გაემართლებინა მისი ქმედება. მიზანი ამართლებს საშუალებას. თუ მეტელუსს მიეტყუებოდა თავისი საქციელი, ასევე – ავგუსტუსსაც. ერთმა ქალღმერთი იხსნა ხანძრისაგან, მეორემ კი ქვეყანა – დაღუპვისაგან.

ამგვარი რელიგიურ-ისტორიული პარალელები სხვაგანაც მოიპოვება „ფასტებში“. პოეტი არ იფარგლება რელიგიური წეს-ჩვეულებების ოდენ აღწერითა და განმარტებით. მისი მიზანია, მკითხველს ინფორმაციასთან ერთად მიაწოდოს საინტერესო და სახალისო ეპიზოდები.

ოვიდიუსს გადმოაქვს „ტრფობანისა“ და „ტრფობის ხელოვნების“ ირონიული გონი „ფასტებში“. თუ სატრფიალო ელეგიებში პოეტი არასერიოზულ თემებზე სერიოზულად საუბრობს, რაც ანიჭებს ამ პოემებს პაროდულ ხასიათს, „ფასტებში“ სერიოზულ თემებზე დროდრო არასერიოზულად მსჯელობს.

„მხიარული მომღერალი ნაზი სატრფიალო ლექსებისა“, როგორც თავის თავს უწოდებს ოვიდიუსი, ბედის უკუღმართობამ სევდიანი ელეგიების ავტორად აქცია. დღესაც არ ვიცით ზუსტად, რატომ განურისხდა პოეტს ავგუსტუსი. ოვიდიუსი ამის თაობაზე საუბრობს გადასახლების პერიოდში დაწერილ კრებულებში: „სევდანსა“ და „წერილებში პონტოდან“.

„სევდანი“ ხუთი წიგნისაგან შედგება. პირველ წიგნში მოთხრობილია პოეტის სახიფათო მოგზაურობა ზღვაზე, როდესაც იგი გადასახლების ადგილისაკენ მიცურავდა. დიდი გრავიზმით არის აღწერილი უკანასკნელი ღამე რომში, ახლობლებთან გამოთხოვების სცენა. მეორე წიგნი ავგუსტუსისადმი მიმართული, სადაც ოვიდიუსი თავს იმართლებს იმპერატორის წინაშე და სთხოვს მას შეწყალებას. მესამე, მეოთხე და მეხუთე წიგნებში პოეტი აღწერს გადასახლების ადგილს, მის მკაყარ ბუნებას, სევდით იგონებს ოჯახს, მშობლიურ რომს. IV წიგნის X ელეგია პოეტის ავტობიოგრაფიას წარმოადგენს და ამდენად ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა. „წერილებს პონტოდან“ ოვიდიუსი უძღვნის მეულ-

ლეს, მეგობრებს, ახლობლებს. ამ ნაწარმოებში იგრძნობა პოეტის მშვიდი ტონი. იგი თითქოს შეეგუა თავის საველადლო ყოფას, დაუახლოვდა ადგილობრივ მკვიდრთ. ოვიდიუსი უკვე თამამად ასახელებს წერილის ადრესატებს, რასაც „სეველანში“ ერიდებოდა, რადგან ეშინოდა, პოეტის გამო მათ ავგუსტუსის რისხვა არ დასტეხოდათ თავს.

აქვე დაუწერია ოვიდიუსს პოემა – ინვექტივა „იბისი“, სადაც წყველა-კრულვას უგზავნის რომელიღაც ნაცნობს (შესაძლებელია, მეგობარს), რომელსაც, ეტყობა, დიდი ტკივილი მიუყენებია მისთვის. პოეტს შეუთხზავს პოემა „მეთევზეობისათვის“, რომლის ნაწყვეტებია მხოლოდ მოღწეული.

„სეველანი“ და „წერილები პონტოდან“ ჩვენს ყურადღებას იმითაც იქცევს, რომ აქ ოვიდიუსი თავად ასახელებს გადასახლების მიზეზებს. გარდა „ტროფიანისა“, პოეტის დაღუპვა გამოუწვევია რაღაც კონკრეტულ მიზეზს, შეცდომას. ოვიდიუსს ისეთი რამ დაუნახავს, რაც არ უნდა დაენახა. პოეტი არ ასახელებს ამ დანაშაულს, საგანგებოდ მაღავეს, მაგრამ ამავე დროს აცხადებს, რომ იგი ყველასათვის ცნობილია. ასეთი უცნაური, გამოცანებით საუბარი, დამახასიათებელია ოვიდიუსისათვის. სავარაუდოა, რომ პოეტი არაფერს არ მაღავეს. იგი დაისაჯა იმიტომ, რომ შეულამაზებლად, გულწრფელად აღწერა თავისი დროის რომაული ყოფა და არა ისე, როგორც ეს ავგუსტუსს სურდა.

ოვიდიუსის მრავალმხრივი შემოქმედება ყოველ ეპოქაში იყო მთავრობების წყარო პოეზიისა და ხელოვნების მოყვარულთათვის. ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეში მის ლექსებს კითხულობდნენ, იმეპირებდნენ, მისი ნაწარმოებებიდან ამოღებულ სიუჟეტებზე დგამდნენ სასცენო წარმოდგენებს. ანტიკური ხანის ავტორები აღიარებდნენ ოვიდიუსის დიდ გალანტს.

შუა საუკუნეებში ოვიდიუსს აფასებდნენ და მას ვერგილიუსის გვერდით აყენებდნენ. ოვიდიუსის ლექსებმა დიდი გავლენა იქონია ვაგანტების პოეზიაზე, მისმა სატროფიალო ელეგიებმა განაპირობა შუა საუკუნეების რაინდული სიყვარულის ხასიათი. მას უწოდებდნენ სიყვარულის მასწავლებელს.

რენესანსის ხანამ უფრო ოვიდიუსის „მეტამორფოზებს“ მი-
აქცია ყურადღება, მასში შეამჩნიეს მთხრობელის არაჩვეუ-
ლებრივი ტალანტი. XVII და XVIII საუკუნეებში ამ პოემამ
დიდი სამსახური გაუწია ბევრ საოპერო და საბალეტო დად-
გმას.

XX საუკუნეში გაიმარდა ინტერესი XIX საუკუნეში ოდნავ
მივიწყებული პოეტისადმი. თუ ადრე გადასახლების პერიოდ-
ის ლექსებს ყურადღების ღირსად არ თვლიდნენ, ახლა მათ-
ში შეამჩნიეს მხატვრული ღირსებები.

თავად ოვიდიუსი მაღალ შეფასებას აძლევს საკუთარ
პოემიას. ერთ-ერთ ელეგიაში იგი წერს:

„მორჩილ მსოფლიოს ვიდრე რომი ზეიდად დასცქერს,
არ მოაკლდება ჩემს ლექსს მკითხველი.“

მართალი აღმოჩნდა მისი წინასწარმეტყველება, ოღონდ
პოემა ერთი რამ ვერ გაითვალისწინა, რომის სამხედრო
დიდება კარგა ხნის წინ ჩაბარდა წარსულს, მისი ლექსები კი
დღესაც ცოცხლობს. თუმცა, ეგებ ოვიდიუსი ძლევამოსილი იმ-
პერიის დედაქალაქს კი არ გულისხმობდა, როცა ამ სტრიქო-
ნებს წერდა, არამედ პოეტური შედევრებით მდიდარ რომს.

♦ ♦ ♦

ოვიდიუსის მხოლოდ ორი თხზულებაა ქართულად თარგმ-
ნილი: „მეტამორფოზები“ და „გრფობანი“.

ოვიდიუსი, მეტამორფოზები, ლათინურიდან თარგმნეს:
ნ. მელაშვილმა, ნ. გონიამ, ი. გარაყანიძემ, რედაქცია, შესა-
ვალი წერილი და კომენტარები აკ. ურუშაძისა, თბ., 1980.

ოვიდიუსი, გრფობანი, ლათინურიდან თარგმნა, შესავალი
წერილი და კომენტარები დაურთო მ. ღარიბაშვილმა, თბ.,
1987.

პეროიდებიდან ერთი წერილის (I უსტარი – პენელოპე
ულისეს) თარგმანი ეკუთვნის პ. ქავთარაძეს, რომელიც შესუ-
ლია წიგნში: ბერძენ და რომაელ ავტორთა თარგმანები
შესრულებული პ. ქავთარაძის მიერ, თბ., 1962.

წარმოლგენილი ქართული თარგმანი „ჰეროიდებისა“ ეყრდნობა შემდეგ გამოცემასა და თარგმანებს:

1. Ovid, Werke in zwei B. Aus dem lateinischen übersetzt von W. Herzberg, E. F. Mesger und A. Berg, Berlin und Weimar, 1982.

2. Ovid, Heroides. Amores, With an English Translation by Grant Showemann, revised by, G. P. Good, Harward University Press, Cambridge, Massachusetts, London, England, 2002.

3. Овидий, Элегии и малые поэмы, перевод с латинского. Сост. и предисл. М. Гаспарова. Коммент. и перевод М. Гаспарова и С. Ошерова М.,1973.

சீகந்தாஸ்திரம்

I

პენელოპე ულისეს

- ჩემო ულისე, პენელოპე გიგზავნი წერილს, 1
 პასუხს არ ვითხოვ, დაბრუნდი მალე!
 ძირს არის ტროა პრიამოსის, დანაეულ ქალთა
 ვაების ფასად ღირდა ეს ბრძოლა?
 ნეტავ მშფოთვარე ზღვას დაენტქა ის მექალთანე, 5
 ვერ ჩაეღწია ლაკონიამდე.
 არ ვიწუხებდი, რომ ვაგდივარ მარტო ცივ ტახტზე,
 დრო უსაშველოდ მიიზღაზნება.
 გრძელ ღამეებში შესაქცევად თითისტარს ხელში
 არ ავიღებდი დროს გასაყვანად. 10
 მაშინებს საფრთხე ყოველგვარი — დიდიც, პატარაც,
 ხიფათი მუდამ თან სდევს სიყვარულს.
 მეზმანებოდა, რომ ტროელნი გიტევდნენ შმაგნი,
 ვკრთებოდი, ჰექტორს თუ ახსენებდნენ.
 დამზაფრა ცნობამ — ანტიოქე დაიღუპაო, 15
 პატროკლოს ბრძოლის ველზე დასცესო,
 სხვის იარაღში აღკაზმული. ავტირდი, ნუთუ
 ულისე ვერას ახერხებს-მეთქი.
 ახალი დარდის ტლეპოლემეც გახდა მიზეზი,
 ლიკიას შუბზე ანთხია სისხლი. 20
 ერთ მებრძოლს, თურმე, აქილეესის, გამოსჭრეს ყელი...
 ყინულად მექცა მყის მკერდში გული.
 სამართლიანად წყალობს ღმერთი ერთგულ სიყვარულს,
 ტროა დაემხო და შენც გადარჩი.
 დაბრუნდნენ უკან არგოსელნი უცხო ნადავლით, 25
 ღმერთებს პატივი მიაგეს ტაძრად.

- პატარძლებს ძღვენი მიაქვთ ქმრების გადარჩენისთვის,
 კაცები ტროის ამბებს ჰყვებიან.
- მოხუცებს უკვირთ მონათხრობნი, თრთიან ქალწულნი,
 ცოლები კი ქმრებს შესციცინებენ. 30
- გამლილ სუფრაზე ვიდაც ბრძოლის სურათს აჩვენებს
 და ღვინის წვეთით ხატავს პერგამოსს.
- აი, აქ იყო სიმოისი, აქ კი – სიგეა,
 აქ პრიამოსის მაღალი ზღუდე.
- აქ აქილეესის, იქ ულისეს ბანაკი იდგა. 35
 ცხენი ათრევდა აქ ჰექტორის გვამს.
- მოხუც ნესტორმა ყოველივე მოუთხრო შენს ვაჟს,
 მე კი მიაბო ტელემაქოსმა.
- მითხრა, მაზვილით რომ დაეცნენ რეზუს და დოლონ,
 ის ძილში მოკლეს, ამას უმზაკვრეს. 40
- რამ შეგიყვანა თრაკიელთა ბანაკში ღამით?
 შენიანები სულ დაგვივიწყე?
- მტრების საჟლეტად ერთი კაცი იახლე მხოლოდ,
 ეს სიფრთხილეა და ჩემზე ზრუნვა?
- როცა გავიგე, ისმარიულ ცხენებით ლაშქარს
 წინ მიუძღოდი გამარჯვებული, 45
- დავმშვიდდი, მაგრამ მე რა მარგო ტროის დაცემაჲ,
 რომ ტრიალ მინდვრად აქციეთ იგი?
- მე იგივე ვარ, რაც ვიყავი მის დანგრევამდე.
 მუდამდლე ძვირფას ქმრის მომლოდინე. 50
- დანგრეულია პერგამოსი (ჩემთვის ისევ ღვას).
 მის ველს მშვიდად ხნავს ახლა იქ მტერი.
- იქ, სადაც ტროა იდგა, ახლა ბიბინებს ყანა,
 ფრიგიელთ სისხლით ნაპოხ მიწაზე.
- სახნისს ამოაქვს მიმოფანტულ მებრძოლთა ძვლები,
 ბალახი ფარავს სახლის ნანგრევებს. 55

- შენ კი სად ხარ, გამარჯვებული, რატომ შეყოვნდი,
ვიცოდე მაინც, სად იმალები.
- როგორც კი უცხო გამოჩნდება ჩვენთან ზომალდით,
ვთხოვ, ყველაფერი მიაძბოს შენზე 60
- და წასავლელად გამზადებულს ბარათს თან ვატან,
იქნებ შემთხვევით შეგხვდეს და მოგცეს.
- მოხუც ნესტორსაც გავუგზავნე ერთი წერილი,
კუნძულ პილოსზე, მაგრამ ამაოდ.
- შენი ამბავი არც სპარტაში იცოდა ვინმემ,
რომელ მხარეში ხარ, სად შეჩერდი? 65
- ნეტავ მდგარიყო შეურყეველად ტროის კედლები,
ეს რა წამომცდა, რა სისულელე!
- ნეტავ იბრძოდე, მეშინოდეს ომისა ახლაც;
ვიწუწუნებდი მეც სხვებთან ერთად. 70
- ქვეცნობიერად მეშინია, რისი? არ ვიცი,
ყველაფერს წვდება ჩემი ფიქრები.
- ხან წარმოვიდგენ, ზღვა გაბრკოლებს, ხანაც მგონია
რომ საფრთხეში ხარ სადღაც, ხმელეთზე.
- იქნება ქალის ალერსით ხარ დატყვევებული 75
(რატომ აქამდე არ მომაფიქრდა).
- ხომ არ უამბობ, რომ მდაბიო ქალი გყავს ცოლად,
ხელგაწაფული მხოლოდ ქსოვაში.
- ნეტავ ვცდებოდე, ნიავს გაჰყვეს ჩემი ბრალდება
და დაბრუნება შეძლო შინ მალე. 80
- „გეყო ლოდინი, სანამ უნდა გეძინოს მარტო?“
ბუზღუნებს მამა იკარიუსი.
- დე, იბუზღუნოს, მე მარადის შენი ვიქნები,
მე, პენელოპე, ულისეს ცოლი.
- ჩემი ვედრებით, ერთგულებით გაცოცხლები, 85
ჩუმდება მამა და ბრაზს იოკებს.

- თავს მახეზრებენ სამოსელნი, დულიქიეღნი
და ზაკინთელი სასიძობი.
- შემოესივნენ შენს სასახლეს, ხელს არვინ უშლის
და ჩვენს ქონებას ანიავებენ. 90
- პისანდროსი და პოლიპოსი, გედონტესი და
ევრიმაქოსი და ანტინოეს,
შენს ნაამაგარს ამ თავხედებს ასმევე და აჭმევე,
შენი შორს ყოფნით მათ ათამამებ.
- მელანტიუს და ირუს ჩვენს ჯოგს მათთვის მწყემსავენ,
და ემატება ზარალს სირცხვილიც. 95
- შინ სამნი დავრჩით, უმწეონი: მე, სუსტი ქალი,
მოხუცი ლაერტ, ყრმა ტელემაქოს.
- ძლივს გადაურჩა ამასწინათ მათ ვერაგობას,
პილოსზე წასვლა რომ დაიჟინა. 100
- ღმერთებს ეთხოვ, ჩვენი აღსასრული როცა დადგება,
მისი ხელებით დავხუჭოთ თვალი.
- ამას ნატრობენ: მეჯოგე და მოხუცი ძიძა
და ლაფიანი ღორების მწყემსი.
- ლაერტესს უკვე აღარ ძალუმს მტერთან ჭიდილი,
რათა დაიცვას სამეფო თვისი. 105
- ტელემაქოსს კი მამაცობის ჟამი მოუვა,
მას მამის ხელი სჭირდება ახლა.
- ვერც მე განვდეენი მოძალადეთ, დაბრუნდი მალე
და უპატრონე სახლს, ბურჯო ჩვენო! 110
- კარგად გიმყოფოს ღმერთმა ვაჟი, აღზრდა ხომ უნდა,
შენს ხელოვნებას რომ ეზიაროს.
- ლაერტესსაც ხომ შენ სჭირდება, თვალს დაუხუჭავ,
საბრალო ელის თავის აღსასრულს.
- მე კი, წასვლის წინ რომ დამტოვე სრულიად ნორჩი,
ახლა მოწიფულ ქალად მიხილავ.



ოვიდიუსი ამ წერილის წყაროდ იყენებს პომპროსის „ილიადას“. პენელოპე, ქმრის მომლოდინე, წერს ბარათს ოდისევსს.

5. მექალთანე – პარისი

16. სხვის იარაღში – პატროკლე, აქილევსის იარაღში

52. ოვიდიუსი ელინებს მიაწერს რომაელთა ჩვეულებას, მათ მიერ დამარცხებულ ქალაქებში კოლონიების დაარსებისა.

II

ფილისი ღემოჴორონს

- ვადა დათქმული გასულია, ჩემო სტუმარო, 1
და რახანია გელი ფილისი.
- შემპირდი, მთვარე ნამგალა რომ აივსებოდა,
მყისიერ ღუზას აქ ჩაუშვებდი.
- ოთხჯერ აივსო მცხრალი დისკო, სითონის ზღვაში 5
აქტიის გემი არ შემოსულა.
- აბა, დღეები გადათვალე, არ არის ძნელი,
ნაადრევია წუწუნი ჩემი?
- იმედი დიდხანს მაჩერებდა, ძნელად იჯერებ, 10
რომ გიღალატეს და შეურაცხყვეს.
- ხშირად თავსაც კი ვიტყუებდი და ვიჯერებდი,
ქარს მოჰყვებოდა შენი ხომალდი.
- ვწყევლიდი თესევსს, მეგონა, რომ ის გაბრკოლებდა,
თუმც შენთვის ხელი არ შეუშლია.
- ხანაც ვშიშობდი, სანამ ჰებრის წყალს მოაღწევდი, 15
თეთრ ზვირთებს გემი არ ჩაეძირა.
- შენს გადარჩენას ხშირად ღმერთებს ვთხოვდი, ვერაგო,
წმინდა ტაძარში მავედრებელი.
- როცა უღრუბლო ზეცას და იშვიდ ზღვას შევცქეროდი,
ვაძობობდი: „მოვა, თუ კარგად არის“. 20
- ათასგვარ მიზეზს ვიგონებდი, შენს ხელისშემშლელს,
შენზე უზომოდ შეყვარებული.
- შენ კი აყოვნებ: აღარც აღთქმა ღმერთებისადმი,
არც სიყვარული გეწევა ჩემკენ.
- ქარს გააყოლე იალქანი და შენი ფიციც, 25
ყასიდად მითხარ: დაებრუნდებიო.

- რა დაეაშავე, იქნებ მითხრა – რომ შეგიყვარე
და იხეირე ჩემი შეცდომით?
ერთი მაქვს ბრალი, უმადურო, – შენ შეგიფარე.
დანაშაული არ არის მცირე. 30
- სად არის შენი ერთგულება და გამოწვდილი
მარჯვენა წმინდა ფიცის დასტურად?
ანდა ღმერთნი, მოწმენი ამის და ჰიმენეესი,
ჩვენი კავშირის წმინდა გარანტი.
ზღვას იფიცებდი, აზვირთებულს, გადმოცურულს და 35
კვლავ გადასალახს, პაპაც ახსენე,
ზღვის და ქარების მბრძანებელი, თუ მართლა შენი
პაპაა იგი. მასთან ვენუსიც
დაიფიცე, რომლის საჭურველს მეც ვიცნობ, ერთი 40
ჩირალდანია, მეორე – მშვილდი.
იუნოც იხმე ფიცით, მცველი ქორწინებისა
და ჩირალდნები ქალღმერთის წმინდა.
შეურაცხყოფილ ღმერთებმა თუ იძიეს შური,
რომელი ერთის რისხვას აიცდენ?
ვაი, ხომალდი დამსხვრეული რად შეგიკეთე, 45
რომ გაგეცურა ჩემგან უფრო შორს?
ხოფებიც მოგეც, რომ გაქცევა გეფიქრა მალე?
თავად ჩავირტყი ლახვარი მკერდში.
ვენდე შენს სიტყვებს, საალერსოს, ქათინაურებს,
წარმომავლობას და მოდგმას შენსას. 50
ვენდე შენს ცრემლებს. თვალთმაქცობდი ეგებ კიდევაც,
გაწაფული ხარ იქნებ ამაშიც.
ვენდე ღმერთებსაც, თუმც თავმდები არ მჭირდებოდა,
თავად გავები ტრფობის მახეში.
ის არ მაწუხებს, რომ მიგიღე და შეგიფარე, 55
ეს იყო ჩემი მოვალეობა.

- იმას კი ვნანობ, სარეცელი გავიყავ მენტან,
 მრცხვენია, გვერდით რომ მოგიწევი.
 ნეტავ მანამდე მომკვდარიყავ მე ღირსეულად,
 ეს ღამე ჩემთვის არ დამდგარიყო. 60
- იმედი მქონდა უკეთესი მერმისის, რადგან
 დაეიმსახურე, ვფიქრობდი იგი.
 რა გმირობაა მიამიტი გოგოს შეცდენა,
 ვისაც პატივით უნდა მოექცე.
 შენმა სიტყვებმა შემაცდინა, ქალი ვარ რადგან, 65
 ეს იყოს შენი დიდება მხოლოდ!
 შენი აღმართონ ძეგლი მამის ქანდაკის გვერდით,
 მისეულ ღვაწლის ჩამონათვალით:
 როგორ აჯობა სკირონსა და სძლია პროკრუსტესს,
 კაცისტანიან საოცარ ურჩხულს, 70
 როგორ მოდრიკა თებელნი და ბრგე კენტავრები,
 დასცა სამეფო შავი ღვთაების.
 ამ გმირობათა ნუსხას, დაე, შენიც დაერთოს:
 „აქ არის, სატროფოს ვინც უვერაგა“.
 მხოლოდ და მხოლოდ ერთ საქმეში მიბაძე მამას, 75
 რომ მიატოვა კრეტელი ქალი.
 შენ მოგწონს ის, რაც სანანებლად მამას გაუხდა,
 ეს ვერაგობა ისწავლე მისგან.
 ქალს უკეთესი ქმარი შეხვდა (თუმც არ მშურს მისი),
 მის ეტლს ვეფხვები მიაქროლებენ. 80
 მე თრაკიელმა ყველა კაცმა ზურგი მაქცია,
 რადგან მათ უცხო ქმარი ვარჩიე.
 ჩურჩულიც მესმის: „აქ რა უნდა, ათენს წავიდეს,
 მებრძოლ თრაკიას სხვა უპატრონებს“.
 საქმე შედეგით იზომება – ვინც ასე ფიქრობს, 85
 დე, ნუ ეღირსოს მას წარმატება.

- თუ ბისტონის ზღვას ააქაფებს ათენის გემი,
 იტყვიან, თავსაც ვარგე, ჩემებსაც.
- ჩემი სამეფო აღარ გხიბლავს, აღარც ჩემი ზღვა, 90
 შენს დაღლილ სხეულს აქ არ განიბან.
- ახლაც თვალწინ მაქვს შენი სახე გამგზავრების წინ,
 და ზღვის ნაპირას მდგარი ხომალდი.
- არ მოგერიდა, შემომხვით ხელები ყელზე
 და დამეწაფე ბაგეზე კოცნით.
- ცრემლად იღვროდი ჩემთან ერთად და წუწუნებდი, 95
 ზურგქარმა მალე რად დაქროლაო.
- განშორებისას ამ სიტყვებით დამემშვიდობე:
 „დაგბრუნდები, ოღონდ მელოდე“.
- ვის დაველოდო, ვინც წავიდა, რომ აღარ მნახოს,
 ხომალდს, რომელიც არ დაბრუნდება? 100
- მე გელოდები მაინც ისევ, დაბრუნდი ოღონდ,
 ფიცს მთლად ნუ გასტეხ, დაბრუნდი გვიან.
- სულ ამაოა ჩემი თხოვნა, შენ სხვა ცოლი გყავს,
 სხვა სიყვარული, არ მწყალობს ღმერთი.
- შენთვის ფილისი არ არსებობს, აღარც გახსოვარ. 105
 მგონი არც იცი, ვინ ვარ, საიდან?
- ეს ის ქალია, ვინც გულთბილად მიგიღო სახლში,
 ზღვაზე ხანგრძლივად მოხეტიალე
- თრაკიის ყურეს; დაგასაჩუქრე უხვად, კიდევ
 დაგპირდი მრავალ განძს გიბოძებდი. 110
- შემოგთავაზე ლიკურგუსის ვრცელი სამეფო,
 ქალისთვის მისი მართვა ძნელია.
- ცივ როდობიდან გაშლილია ჰემუსის ტყემდე,
 იქ სათავეა წმინდა ჰემუსის.
- შენ სიქალწულე შემოგწირე, უტიფარ მაცდურს, 115
 უბიწოების სარტყელს რომ მხსნიდი.

- საძინებელში ტიზიფონე მოთქვამდა ალბათ
და სევდიანად კიოდა ჭოტი.
- იქვე ალექტოც ტრიალებდა, გველისთმიანი,
სამგლოვიარო ჩირალდნით ხელში. 120
- დავხეტილობ ნაღვლიანად კლდოვან ნაპირზე
და თვალწინ გაშლილ სივრცეს გავყურებ,
მზე ათბობს მიწას, თუ ცად კრთიან მნათობნი ცივი,
მსურს გამოვიცნო, იქნება ქარი?
- თუკი დავლანდავ შორით ხომალდს, აქეთ მომავალს,
ეცდილობ შევიტყო, ღმერთი თუ მწყალობს. 125
- მიკრებივარ სწრაფად ნაპირისკენ და პირველ ტალღებს
მივეგებები, არ ვუფრთხი ზვირთებს.
- მიახლოვდება ხომალდი და ფეხთ მეკვეთება,
გარს მეხვევიან მოახლეები. 130
- აქ არის ყური, მონამგლული ოღნავ თაღებად,
გადმოშვერილი მაღალ კონცხებით,
გული მკარნახობს გადავეშვა დაბლა აქედან,
რადგან ცრუ იმედს არ უჩანს ბოლო.
- შენს სანაპიროს გამომრიყოს ნეტავ ზვირთებმა,
უსულო გვამი ჩემი იხილო. 135
- ქვაზე მაგარი რომ იყო და რკინაზე მტკიცე,
შეგენანები, ასეთს რომ მნახავ.
- ბევრჯერ სამსალას წავეტანე, ხანაც მახვილი
მსურდა ჩამეცა, ვნატრობდი სიკვდილს. 140
- ეცადე რომ ყულფში გამეყარა ყელი, რომელსაც
შენ ეხვეოდი მაცდური მკლავით.
- დროა სიკვდილით ჩამოვრეცხო ჩემი შერცხენა,
რა გზას მიემართო, გადავწყვეტ მალე.
- ჩემი დალუპვის მიზეზს ქვაზე ამოკვეთავენ
და ამგვარ სიტყვებს წაიკითხავენ: 150

„დემოფონმა გაიმეტა ფილისი, სატრფო,
მისი სიკედელის მიზეზი გახდა“.



თრაკიის მეფის ასულმა, ფილისმა შეიფარა თესევსისა და ფედრას
ვაჟი, დემოფონი და მისი საყვარელი გახდა. ათენში
წასულმა დემოფონმა დააგვიანა უკან ჩამოსვლა ფილისთან, რის
გამოც ამ უკანასკნელმა თავი ჩამოიხრჩო.

36. პაპა – ნეპტუნი

65. თესევსის გმირობების ჩამონათვალი

76. კრეტელი ქალი – არიადნა

III

ბრისეისი აქილოუსს

- გატაცებული ბრისეისი გიგზავნის ბარათს, 1
 მიჭირს ბერძნულად წერა ბარბაროსს.
- აღბათ შეამჩნევ, ცრემლის კვალი ეტყობა ნაწერს;
 სიტყვაზე მეტი ძალა აქვს ცრემლებს.
- მსურს შემოგკადრო საყვედური ქმარსა და ბატონს, 5
 მაქვს ამის ნება? მაშ, მომისმინე!
- მეფეეს, ჟინიანს რომ დაუთმე სატრფო, ამაში
 ბრალს არ გდებ, თუმცა დამნაშავე ხარ.
- ვერიბადესს და ტალთიბიუსს მყის გამაყოლე,
 როგორც კი ჩემი თავი მოგთხოვეს, 10
- ერთმანეთს ჩუმად გადახედეს, თითქოს იკითხეს,
 სად გაქრა ჩვენი გზნება, მხურვალე.
- არც კი შეეყოვნდი, რომ ნუგეშად ეს გამყოლოდა,
 ვაიშე, კოცნაც ვერ მოვასწარი.
- მხოლოდ ცრემლებად ვიღვრებოდი და თმებს ვიგლეჯდი, 15
 კვლავ ტყვე ვიყავი მე, უბედური.
- ვცდილობდი თავი დამელწია მცველთაგან, მაგრამ
 მაინც მტრის ხელში აღმოვჩნდებოდი.
- ვშიშობდი, ღამით გაქცეული არ შემიპყრონ და
 პრიამოსის რძლებს არ მიმცენ-მეთქი. 20
- ტყვე ვიყავ, ტყვე ვარ ახლაც, შენგან მოშორებული,
 გელი, შენს რისხვას რად აგვიანებ!
- თავად პატროკლოს მამშვიდებდა ჩურჩულით ასე:
 „ნუ ტირი, მალე კვლავ აქ იქნები“.
- მაგრამ არ ცდილობ დამაბრუნო, ჩემო აქილევს, 25
 თუმცა მგზნებარე მეტრფე კი გქვია.

- სამნი გეახლნენ თხოვნითა და ურიცხვი განძით:
 ტელამონი და ამინტორის ძე,
 ნათესავია ის, მეორე – თანამოლაშქრე,
 მესამე გმირი ულისე იყო. 30
- ჩემს დაბრუნებას გაირდებოდნენ, ოც ბრინჯაოს თასს,
 კიდევ შვიდ სამფეხს, ლამაზ ნახელავს,
 ამასთან ერთად გთავაზობდნენ ათ ტალენტ ოქროს,
 თორმეტ უსწრაფეს ცხენს, მოჯირითეს,
 ტანკენარ ასულთ, დატყვევებულთ კუნძულ ლესბოსზე 35
 (ეს კი სრულიად ზედმეტი იყო).
- აგამემნონის სამ ასულში ერთის არჩევა
 შეგეძლო ცოლად – გინდოდა ცოლი?
 ასეთ საჩუქრებს ატრიდს თავად უნდა აძლევდე,
 ჩემი სურვილი რომ გკლავდეს მართლა. 40
- ჩემი ბრალთა, რომ არა მაქვს შენს თვალში ფასი,
 რომ სიყვარული აღარ გაქვს ჩემი?
 ბედი იქნება გამუდმებით დევნის უბედურს,
 დადგება მისთვის დრო სასურველი?
 ოდესღაც ვიყავ ბედნიერი მე ჩემს ლირნესში, 45
 გაპარტახებულს მას ესედავ შენგან.
- სამი დაეცა ჩემს სახლიდან, ერთად შობილი,
 ვიყავით ერთი დედის შვილები.
 ენახე მიწაზე რომ დაეცა მკერდსისხლიანი,
 ბრგე, ახოვანი მეუღლე ჩემი.
- იმათ სანაცვლოდ შენლა დამრჩი ერთი ნუგეშად, 50
 შენ ძმაც ხარ ჩემთვის, ბატონიც, ქმარიც.
- თავს ბედნიერად გრძნობდი იმით, ტყვე ვიყავ შენი,
 იფიცებოდი თეტისს, დედაშენს.
 რადგანაც მზითვით მაბრუნებენ, ხელი უნდა მკრა? 55
 არც მე გინდივარ, არც – საჩუქარი?

- ამბობენ, როცა ირიჟრაჟებს, აფრებს აუშვებ
 და ღრუბლიან ქარს გაჰყვები ხვალვე.
 ეს სამწუხარო ცნობა ჩემს ყურს როდესაც მისწვდა,
 გაეშეშდი, გულმა ძგერა შეწყვიტა. 60
- მიდიხარ? – ვაი, მე საბრალოს ვილასთან მტოვებ?
 ვინ შემიწყნარებს, ვინ მანუგემებს?
 უწინამც მიწა გაძისკდეს და თან ჩამიტანოს,
 დაეიწვა ელვის აღისფერ ცეცხლში,
 თუ ფთიისაქენ გააქროლებ უჩუმრად ხომალდს 65
 და ვნახავ როგორ მიაპობ ტალღებს.
 თუ პენატები გენატრება, გსურს დაბრუნება
 შენს ხომალდს ერთი, მე დაეამძიმებ?
 ცოლობას არ გთხოვ, წამიყვანე როგორც ნადავლი,
 მატყლის რთვა მაინც ხომ შემიძლია. 70
- უმშვენიერეს აქაველ ქალს შეირთავ ცოლად,
 მერე რა მოხდა? ოღონდაც იყოს
 იუპიტერის ბადიშისთვის შესაფერისი
 და სასურველი რძალი ნერეუსის.
 ჩვენ კი, მხვეალნი, ვიფუსფუსებთ მატყლის ფთილებთან, 75
 რომ დაიცალოს კალათი სწრაფად.
 შენი მეუღლე ალბათ ჩემზე იეჭვიანებს
 და უსამართლოდ დამიწყებს დევნას.
 გთხოვ, როცა თმებში ხელს წამავლებს, ნუ ეტყვი მშვიდად:
 „ეს ქალი ჩემი ნადავლი იყო“. 80
- მოვითმენ, ოღონდ, არ დამტოვო კუნძულზე მარტო,
 ვაიმე, შიშით მიკრთის სხეული.
 რას ელოდები? ინანიებს აგამემნონი,
 შენს ფერხთ განრთხმულა მთელი ელადა.
 შენც მოერიე რისხვას შენსას, სხვათა მძლეველო, 85
 შმაგი ჰექტორი დანაელთ უტევს.

- სანამ იარაღს დასწვდებოდე, მტერს აოტებდე,
 მარსის შეწეებით, მე დამიბრუნე.
 ამით შეწყდება რისხვა, რისი მიზეზიც ვიყავ.
 ჩემით დაიწყო, ჩემით გათავდეს. 90
- ნუ გერცხვინება, შეისმინო ჩემი ვედრება,
 შენ კარგად იცი, მე კი მსმენია.
 მეუღლის თხოვნით, მეღეაგრემ დაიწყო ბრძოლა,
 ძმებზე მწუხარე დედამ შვილი დაწყევლა თვისი,
 მანაც, გამწყრალმა, არ ისურვა ბრძოლაში ჩაბმა,
 არ დაამწუხრა სამშობლოს ბედმა. 95
- მხოლოდ მეუღლის შეისმინა (როგორ მშურს მისი),
 შენ კი ჩემს თხოვნას ყურად არ იღებ.
 არა, არ ვნანობ, რომ მიხმობდი შენს სარეცელთან,
 არა როგორც ცოლს, არამედ – მხეველს. 100
- ერთხელ ტყვე ქალმა ქალბატონი მიწოდა, ამით
 ჩემი უღელი დამძიმდა უფრო.
 საფლავგაუთხრელ და უდროოდ დალუქული ქმრის
 ძელებს დავიფიცებ (მუდამ რომ მახსოვს),
 სამი ვაჟაკის უკვდავ სახელს, სამშობლოსათვის
 თავგანწირულთა სულს გეფიცები, 105
- შენს თავს ვიფიცებ, ჩემს თავს, შენი მესარეცლისა,
 შენს მახვილს, ისრებს, ჩემებისათვის
 კარგად ნაცნობს – არ შემხებია მე მიკენელი.
 და თუ ვტყუოდე, მყის მიმატოვე. 110
- დაიფიცებდი, მე რომ გთხოვო, უმამაცესო,
 რომ შენც არავის გაჰკარებიხარ?
 დარდობ – ჰკონიათ დანაელებს, შენ კი კითარის
 ხმები გატკობს და ქალის ალერსი.
 ომს რად გაურბი, თუ გკითხავენ, იტყვი, გძულს იგი
 და გირჩევნია ღირა და ტრფობა? 115

- უსაფრთხო არის, მოეხვიო ქალს სარეცელზე,
 თრაკიულ ლირას შეახო ხელი,
 ვიდრე ფარი და წვეტიანი შუბი ატარო
 და ჩამოიმხო თავზე ჩაფხუტი. 120
- წინათ სახელის და დიდების მოხვეჭა გსურდა,
 არ გიტაცებდა მშვიდი ცხოვრება.
 ჩემი მამულის დაცემით და ჩემი დაპყრობით
 გაგიქრა ჟინი ომის, გმირობის? 125
- დიდო ღმერთებო! გევედრებით, გაუქოს მკერდი
 ქექტორს ძლიერად ნატყორცნმა შუბმა.
 ელჩობა მანდეთ, დანაელნო, პირქუშ ბატონთან,
 მის გულს მოკალბობ თხოვნით და კოცნით,
 ფენიქსს ვაჯობებ, ტიეკრუსის ძმას და თვით ენამჭვერ,
 ცბიერ ულისეს, მეტს შევძლებ, გწამდეთ. 130
- ვიცი, მკლავებით ყელზე როგორ შემოვეხვიო
 და გავახსენო ჩემი ალერსი.
 დედის ბობოქარ ტალღებივით შმაგიც რომ იყო,
 უსიტყვოდ, ჩუმად, ცრემლით მოგალბობ.
 დიდხანს იცოცხლოს პელევსმა და, ვაჟმა, პირუსმა 135
 შენგან ისწავლოს ომი ფიცხელი.
 მაგრამ საბრალო ბრისეისსაც ნუ დამივიწყებ,
 ნუ გამაწვალებ შენი სიშორით.
 და თუ განელდა სიყვარული შენი ჩემდამი,
 სჯობს მომისაჯო მაშინ სიკედლილი. 140
- უმოქმედობა შენი მომკლავს, ჩამოეხში დარდით,
 იმედი თუმცა შემომრჩა მაინც.
 ესეც თუ გაქრა, ქმარსა და ძმებს მიუებრუნდები,
 ნუ გამიშეტებ, უმამაცესო!
 რატომ აყოვნებ, დამიმიზნე გულში მახვილი,
 ჯერ კიდევ ფეთქავს სისხლი ჩემს მკერდში. 145

მახვილი ჩამეც, ის, რომლითაც ატრიდს მოკლავდი,

ქალღმერთს რომ ნება მოეცა ამის.

არა!... მაცოცხლე, მე ხომ შენი საჩუქარი ვარ,

მტერი დაინდე, მეგობარს მწირავ?

150

თუ გირჩენია პერგამოსის კედლის დანგრევა,

წადი და ხოცე, მტერი ბევრია.

გაეშურები ხომალდით თუ დარჩები აქვე,

ბრძანე გეახლო, ბატონო ჩემო!



გამოყენებულია სიუჟეტი ჰომეროსის „ილიადადან“, აქილეუსზე გაბრაზებული აგამემნონი ართმევს მას ტყვე ქალს, ბრისეისს.

27-30 იგულისხმება აგამემნონის მიერ გაგზავნილი ელჩების მისვლა აქილეუსთან, რათა დაიყოლიონ განდგომილი აქილეუსი ბრძოლაში მონაწილეობაზე.

45 ლირნესი, ტროის მოკავშირე ქალაქი, რომელიც დაანგრია აქილეუსმა.

92-98 კალიდონის ნადირობის დროს მელეაგრეს შემოაკვდა თავისი დედის ძმები, რისთვისაც იგი დაწყევლა დედამ, იგი უარს ამბობდა ბრძოლაში მონაწილეობაზე თავისი ქალაქის დასაცავად, მხოლოდ ცოლმა შეძლო მისი დაყოლიება.

129 ტევკრისის ძმა, აიაქსი.

IV

ფედრა ჰიპოლიტუსს

- ამაზონის ძეს გესალმები კრეტელი ქალი 1
და კარგად ყოფნას გისურვებ ფედრა.
გადაიკითხე ეს წერილი, რას დაგიშავებს,
იქნებ კიდევაც გესიამოვნოს.
- იღუმალ ბარათს დაატარებს ზღვა და ხმელეთი, 5
მტერიც კი გზავნილს კითხულობს მტრისას.
სამჯერ ვეცადე მესაუბრა შენთან, სამჯერვე
ენა დამება და ხმა ჩამიწყდა.
- რისი გამხელაც დამიშალა სირცხვილმა, ტრფობამ
გამაბედვინა წერილით მეთქვა. 10
რასაც ამური ბრძანებს, უარს ვერ ვიტყვი მასზე,
ვისაც უკვდავნი ემონებიან.
- როცა შემატყო ვყოყმანობდი – „მისწერე“ – მითხრა,
„მოლბება ურჩი, ხელს გამოგიწვდის.“
რაც არის, არის, აგიზგიზდეს ჩემს გულში ცეცხლი, 15
რომ შენც მოგედოს ჩემი სურვილი.
- არა, არ ვარღვევ ცოლქმრულ კავშირს ბილწი გრძნობისთვის,
მინდა იცოდე – უცოდველი ვარ.
ნაკვიანები სიყვარული უფრო მწველია,
გულით ვატარებ ფარულ ჭრილობას. 20
ვერ ეგუება პირველ უღელს მოზვრის კისერი,
ცხენიც პირველად იშორებს აღვირს.
- გამოუცდელი გულიც ასე ტრფობას გაურბის,
ძნელია ჩემთვის ამ ტვირთის ზიდვა.
ცოდვის ჩადენა აღვილია სიყმაწვილეში, 25
მოწიფულ ქალს კი ამძიმებს ვნება.

- შეურყენელ სახელს ვანაცვალებ მე ტრფობის ცოდვას
და ბრალს გავიყოფთ ორივე ერთად.
- საქმე ის არის, ხშირ ტოტებში ხილს მისწვდე ხეზე,
პირველი ვარდი მოწყვეტო ფრჩხილით. 30
- დანაშაულის ლაქა თუკი უნდა მოეცხოვს
სახელს ადრინდელს, უცოდველს ჩემსას,
გრძნობას ჭეშმარიტს ჯობს ვემონო, სამარცხვინოა,
როცა საყვარლად აირჩევ უღირსს.
- ძმა და მეუღლე რომ დამითმოს იუნომ თვისი,
მას, ჰიპოლიტუს, შენს თავს ვარჩევდი. 35
- გაგიკვირდება, გამიტაცა ახალმა საქმემ –
მძვინვარე მხეცზე ვნადირობ ტყეში.
- მხოლოდ დელიას მსურს მივბადო, მშვილდოსან ქაღალდმერთს
და გაგეჯობრო შენ ხელოვნებით. 40
- მომწონს ჭალაში ხეტიალი, მთიდან ირმების
გადმორეკვა და მწვერის მისევა,
ხან მთელი ძალით გასროლილი შუბის ზუზუნი,
ხან მოსვენება მწვანე მინდორზე.
- მიყვარს მსუბუქი ეტლით სრბოლა და შეჩერება
ლაგამმოდებულ ცხენთა აღვირით. 45
- ახლა სიშმაგით ბაკქ ქალს ვგავარ და კიდევ იმათ,
იდის მთის ძირში ტიმპანს რომ სცემენ.
- ზარდაცემულნი ნახევრადღმერთ დრიადებისგან
და რქებიანი ფავნების მიერ. 50
- ბევრი რამ მითხრეს, რაც სიშმაგით ჩამიღენია,
ახლა კი ჩუმად ვითმენ ტრფობის ცეცხლს.
- ბელმა არგუნა იქნებ ჩემს გვარს ასეთი ვნება,
ითხოვს თავის წილს ვენუსი ჩვენგან.
- ზარადქცეული შეიყვარა ღმერთმა ვეროპე,
ახალი მოდგმის ფუძემდებელი. 55

- ხარს მოტყუებით შეეულა დედა პასიფეს
 და მუცლად ილო მან მძიპე ცოდვა.
 ეგიდემ თავი დააღწია ლაბირინთს ჩემი
 დისგან ბოძებულ ძაფის გორგალით. 60
- შემდეგი მე ვარ, ვინც მიჰყვება ჩემს გვარის წესებს,
 ირწმუნებთ, რომ ვარ მინოსის მოდგმის.
 ესეც ბედია, ერთმა სახლმა მოგვხიბლა ორი:
 მე შენ მიყვარხარ, დას — მამაშენი.
 თესვესისა და თესვიდის ტყვე ვართ ორივე. 65
 ერთი სახლიდან ორი ნადაული.
 რად დავესწარი ელევსინზე კერესის ზემს,
 ნეტავ კნოსოსზე დავრჩენილიყავ.
 აღრეც მომწონდი, მაგრამ მაშინ ძალუმად ვნება
 მოუღო მწველი სხეულს მთლიანად. 70
 თეთრი სამოსი გამშვენებდა, ყვაველთგვირგვინი,
 სახეს კი ნაზი სიმორცხვის ფერი.
 ზოგი ამბობს, რომ პირქუში ხარ, კუშტი მზერა გაქვს,
 მე სიმამაცეს ვხედავ ამაში.
 ვერ ვიტან ჭაბუკს, ქალწულივით მორთულ-მოკაზმულს,
 მამაკაცს შვენის ჩაცმა უბრალოდ, 75
 გადავარცხნილი თმები სადად. შენს სახეს ამკობს
 მკაცრი მზერა და ოფლის ნამიც კი.
 სიამით ეუცქერ, როგორ უგრეხ შმაგ რაშებს კისრებს
 და როგორ მოხრი რკალივით ფეხებს. 80
 როდესაც მოქნილ ოროლს მძლავრი მკლავით მოზიდავ,
 თვალს ვერ ვაშორებ კუნთმაგარ სხეულს.
 ან როცა შუბი სანადირო გიჭირავს ხელში...
 მოკლედ, რასაც კი აკეთებ, მომწონს.
 ოღონდ დატოვე მთის ფერდობზე სიმკაცრე შენი
 და ნუ შემწირავ შენს უხეშობას. 85

- რად გირჩენია უერთგულო მხოლოდ დიანას,
ვენუსს მსახურთა მოაკლო რიცხვი.
თუ სიამეზე უარს იტყვი, დაძაბუნდები,
ის ძალას მატებს გადაღლილ სხეულს. 90
- დიანასავით გამუდმებით მშვილდით დადიხარ,
დაჭიმულ ლარს ზომ ასუსტებ ასე.
მამაცი იყო კეფალუსი, მრავალი მხეცი
დაეცა ტყეში, დაჭრილი მისგან,
ხელი არ უკრავს აერორასთვის, ბრძენი ქალღმერთი 95
ქმარს ტოვებდა და სატრფოს ხვდებოდა.
კინერის ვაჟს და ვენუსს ხშირად სარეცლად ჰქონდათ
ბიბინა მოლი მუხის ჭკალაში.
- ინიდს მოსწონდა ატალანტა, ქალი კი მხეცის
ტყავს ატარებდა ამ ტრფობის ნიშნად. 100
- ჩვენც მივეთვალეთ ამ არმიას, ტყეს მოაკლდება
მშვენება, თუკი ვენუსს ხელსა ჰკრავ.
მეც შენთან ვივლი, არ მაშინებს კლდე იდუმალი,
არც ველურ ტახის ბასრი ეშვები.
ორი ზღვა უტევს, ეხეთქება ტალღებით ისთმოსს, 105
ორივეს ღმუილს ისმენს ხმელეთი.
შენთან ვიცხოვრებ ტროიძენში, პითევსის ქვეყნად,
ჩემს სამშობლოზე მეტად ის მიყვარს.
- ნებტუნის გმირი კიდევ დიდხანს არ დაბრუნდება,
მას პირითოის მიწა არ უშვებს. 110
- ზომ ვერ დავმალავთ, პირითოე არჩია შენს თავს,
თესვესმა ფედრაც მას ანაცვალა.
მაგრამ ეს ერთი ცოდვა როდი ადევს კისერზე,
დანაშაული მეტი აქვს კიდევ.
კომბლით უმტერია ძვლები ჩემს ძმას და მიმოფანტა, 115
და კი საჯიჯგნად მიუგლო მხეცებს.

- ყველა ქალს სჯობდა სიმამაცით შენი მშობელი
 დედა, ღირსებით ტოლი შეილისა.
- ახლა სად არის? ხმლით გაუპო ფერდი თესვესმა,
 ვერ იხსნა შენმა დაბადებამაც. 120
- არც ქორწინებით შეუუღლდა, რომ არ მიგელო
 შენ, მის ვაჟიშვილს სამეფო მამის.
- ამას დაერთო ისიც, ძმები გაგიჩნდნენ ჩემგან,
 მამაშენს სურდა ეს ჩემზე მეტად.
- მშობიარობის მტანჯველ ტკივილს გადავყოლოდი,
 თუ შენთვის ავი გულში მქონოდე. 125
- მიდი ახლა და პატივი ეც მამის სარეცელს,
 თავად გაურბის მას, როგორც ხედავ.
- თუ შემამჩნევენ გერს გეხვევი დედინაცვალი,
 ნუ შეგაშინებს შენ მითქმა-მოთქმა, 130
- ძველი სიქველე სატურნუსის დროს იყო მხოლოდ,
 თანდათანობით გაქრება მალე.
- იუპიტერმა დააწესა, დასაშვებია,
 რაც გესიამოვნებს, და-მმის ცოლ-ქმრობაც.
- მტკიცდება უფრო კავშირები ნათესაური,
 თუ ემატება ვენუსის კვანძიც. 135
- ვნების დამალვა ადვილია. მოვიმიზეზებთ
 ახლობლობას და დაეფარავთ ცოდვას.
- თუ ვინმე გენახავს, რომ გეხვევი, შეგვაქებს კიდევ;
 ჰყვარებიანო გერი თავისი. 140
- არ დაგეჭვირდება ღამით კარის გაღება ჩუმად,
 ქმრის მოტყუება და დარაჯების.
- საერთო გვექონდა სახლი, ყველას თვალწინ გკოცნიდი,
 ახლაც იგივე გამეორდება.
- საფრთხე არ გელის, თუნდაც ჩემთან გნახონ საწოლში,
 იტყვიან. რომ მე მომინახულე. 145

- მაშ, ნუ აყოვნებ, ვნება ჩემი გაიზიარე,
 არ გაგაწამოს ჩემსავით ტრფობამ.
- თხოვნით ვიმცირებ თავს ქედმაღლურ სიტყვებს ჩვეული,
 ვაი, სად გაქრა ის სიამაყე. 150
- გებრძოდი ჩემს თავს, რომ ცდუნებას არ აეყოლოდი,
 მაგრამ სიყვარულს ვინ აღუდგება?
- დამარცხებული შემოგახვევ მუხლებზე მკლავებს,
 რიდი და კრძალვა არ იცის ტრფობამ.
- გაქრა სირცხვილი, იარაღი თვისი დაყარა,
 შემინდე, გულიც დაიმორჩილე! 155
- რას მშველის ის, რომ მამაჩემი ბატონობს ზღვებზე,
 ან პაპაჩემი, მტყორცნელი ელვის?
- ან პაპის პაპა, სხივმოსილი, მეწამულ ეტლით
 ცაზე რომ დაჰქრის, მანათობელი. 160
- პატივს, დიდებას ტრფობა არ ცნობს. მე თუ არ მინდობს,
 ჩემები მაინც, გთხოვ, შეიბრალო.
- ჩემი შხითვი იუპიტერის მიწაა კრეტის,
 საჩუქრად გიძღვნი, დაეპატრონე!
- გული დაიცხრე, დედაშენმა ხომ დააოკა
 ხარი, შენ ხარზე შმაგი იქნები? 165
- ვენუსს გაფიცებ, შემიწყალე და არასოდეს
 არ შეიყვარო ის, ვინც ხელსა გკრავს.
- დაე, გწყალობდეს საიდუმლო ტევრებში ვენუს,
 უხვად გიბოძოს ნადირი ტყეში. 170
- სატირები და ტყის პანები გშველოდნენ მუდამ,
 დაეცეს ტახტი, შენგან დაჭრილი.
- ნიმფებმა წყალი მოგაწოდონ, სიცხით გათანგულს,
 თუმცა ამბობენ, არ წყალობ ქალწულთ.
- თან ეტიროდი და თანაც ვწერდი ვედრების ბარათს,
 რომ შეამჩნიო კითხვისას ცრემლი.



ოვიდიუსმა ამ წერილის წყაროდ გამოიყენა ვერიპიდეს ტრაგედია „ჰიპოლიტუსი“. ფედრას, არიადნას დას, შუყვარდება თავისი ქმრის, თესევსისა და ამაზონ ანტიოპეს ვაჟი, ჰიპოლიტუსი.

92 დაჭიმული ლარი... მშვილდს ინახავდნენ მოშვებულს, მხოლოდ ბრძოლის წინ მოჭიმავდნენ,

93 კეფელუსს დიანამ უბოძა მშვილდი, რომელიც უცილობლად ხვდებოდა მიზანში.

119-120 ერთ-ერთი ვერსიით, ჰიპოლიტუსის დედა, ანტიოპე, ამაზონებთან ბრძოლის დროს გაიგმირა თესევსის ისრით.

V

მწიგნი პარისს

- რას იზამ, ბარათს წაიკითხავ, მიკენურს ჩემსას, 1
 თუ შენი ცოლი არ გაძლევს ნებას?
 გულნატკენი ვარ შენზე, ჩემო... (მოგმართო ასე?)
 სახელგანთქმული ფრიგიის ნიმფა.
 რომელ ღმერთს არ სურს შეისმინოს ეედრება ჩემი? 5
 მაინც არ დაგთმობ, რაც უნდა მოხდეს.
 სასჯელს მოვითმენ, თუკი იგი დავიმსახურე,
 თუ არა — მას ვერ შევეგუები.
 ხელი არ მიკრავს, შეგეუღლე დიდი მდინარის 10
 ამაყი ნიმფა შენ, უცნობ ჭაბუკს.
 მეფის ძე კი ხარ ახლა, უწინ მსახური იყავ,
 მაგრამ ვიკადრე დაწოლა შენთან.
 გახსოვს, გვეძინა ჯოგთან ერთად ხეების ჩრდილქვეშ,
 ფოთლებისა და თივის ბულულზე.
 ხან კიდევ ზვინზე გამოტყობებს უბრალო ქოხი 15
 გეიტავდა ქარის და ყინვისაგან.
 ვინ გიჩვენებდა სანადიროდ ვარგის ადგილებს,
 კლდეს, სადაც მხეცი მალავდა ბოკერებს.
 ხან შენთან ერთად მარყუჟიან ბადეს ვაგებდი,
 ვერეკებოდი მთის ქედზე მწვერებს. 20
 ახლაც შემორჩა წიფლის ხეზე ჩემი სახელი,
 შენ მიერ ნამგლით ამოკაწრული.
 ხე იზრდება და მინაწერიც მალლდება უფრო,
 ჩემი დიდებაც მიიწვეს ზევით.
 მდინარის პირას მაგონდება ჩინარი ერთი, 25
 მასზედაც არის სახელი ჩემი.
 ამაყად იდექ, გთხოვ, ჩინარო, და შეინახე

- სიტყვები შენი ფესვის კოჟრებზე:
 „თუ სიცოცხლეში მიატოვებს ენონეს პარის,
 აღმა იაროს ქსანთუსის წყალმა“.
- 30
 წყალი უკულმა დააბრუნე, ქსანთუს, სასწრაფოდ,
 ფიცის გამტეხი ცოცხლობს პარისი.
 თავზარდამცემი გაეიგონე ერთ ღლეს ამბავი
 და დაუზამთრდა ჩემს ტრფობას მაშინ.
 თურმე ელოდნენ შენს განაჩენს: ენუს, იუნო,
 ბრძენი მინერვა, ზუნმოელვარე.
- 35
 ამაკანკალა, დამიარა ტანში სიცივემ,
 როცა მიაბგეს ეს ყველაფერი.
 შეშინებული უხუცესებს მოვეთათბირე,
 არ მოგიწონეს ეს განაჩენი.
- 40
 მერე დაჩეხეს და გარანდეს ნაძვის მორები
 და შეაცურეს ზღვაში ხომალდნი.
 ნუთუ უარყოფ, წასვლის წინ რომ მწარედ ატირდი,
 ცრემლები ეღვარეთ ორივემ ერთად.
- 45
 ნუ გერიდება ძველი ტრფობის, გრცხვენოდეს ახლის,
 შენც ტიროდი და მეც შენთან ერთად.
 შენი მკლავები შემომეჭდო კისერზე ისე,
 როგორაც თელას ეხვევა ვაზი.
 ქარი მიშლისო – ფეხს ითრევედი, ეცინებოდათ
 მეგზურებს, რადგან ქროდა ზურგქარი.
- 50
 მკოცნიდი დიდხანს, განშორება გეძნელებოდა,
 ლულულდით ძლივსლა მითხარ: „ნახვამდის“.
 მსუბუქმა ქარმა შეარხია გემის აფრები
 და ააქაფეს ხოფებმა ტალღა.
 დამწუხრებული გავცქეროდი იალქნებს დიდხანს,
 ცრემლით ვალტობდი ზღვის სანაპიროს.
- 55
 შენს დაბრუნებას ნერეიდებს იმიტომ ვთხოვდი,
 რომ მოგეტანა ტკივილი ჩემთვის?

- რისთვის ვილოცო, რომ სხვა ქალთან ერთად მოხვიდე?
 რად გავისარჯო მეტოქისათვის? 60
- ფართო მორევთან, ვიდექ მაშინ მიწის გორაზე
 (ოდესღაც თურმე მთა იყო იგი),
 როდესაც თვალი მოვკარ შენი ზომალდის ანძას.
 ზღვაში შევარდნა მომინდა უცებ.
- ვხედავ, რომ ჭვინტზე მეწამული ფერი გამოკრთდა, 65
 გავშრი, შენს სამოსს ვერ მივამსგავსე.
 მსუბუქმა ქარმა მოაცურა ზომალდი ნაპირს
 და ქალის სახეს შევაველე თვალი.
- ეს არ კმაროდა სიშმაგისთვის? რამ შემაჩერა?
 ურცხვი დიაცი გეკეროდა მკერდში. 70
- შემოვიძარცვე ტანთ სამოსი, მჯიღეები ვირტყი
 და დაეიხოკე ფრჩხილებით სახე.
 ჩემი ღალადით შევადრწუნე იდის წმინდა მთა,
 იქ, ჩემს კლდეებზე ვღვარე ცრემლები.
- ასე ელენე აქვითინდეს, ქმრისგან ეული, 75
 თავად იწვნიოს, რაც მე დამმართა.
 მისნაირები არ გკიცხავენ, შენი გულისთვის
 მიატოვებენ მყისვე თავის ქმრებს.
- როცა ღარიბი იყავ, ცხვრების უბრალო მწყემსი,
 მხოლოდ ენონე გინდოდა ცოლად. 80
- მე არც სიმდიდრე მიტაცებს და სამეფო შენი,
 არც პრიამოსის რძლობა არ მზიბლავს.
- თუმც არ იტყოდა იგი უარს, რომ რძლად მიველე,
 მე არც ჰეკუბე დამიწუნებდა.
- არ ვომსახურებ, არ ვარ ღირსი, მატრონა გავხდე? 85
 სკიპტრასაც კარგად შევიფერებდი.
- ნუ ითაკილებ, წიფლის ძირს რომ მეძინა შენთან,
 მეწამულ საწოლს უკეთ ვიგუებ.

- ჩემს ტრფობას საფრთხე არ მოჰყვება, არც განრისხებულ
მებრძოლთა ფლოტი, სასტიკი ომით. 90
- ტინდარიდს მოსდევს მტრის ლაშქარი, ამაყობს ამით,
ასეთი მზითვით მეუღლე შენი.
- ელენე უნდა დააბრუნო? ჰკითხე ძმას, ჰექტორს,
დეიფობოსსაც და პოლიდამანტს.
- რას გირჩევს მკაცრი ანტენორი და პრიამოსი, 95
ასაკითა და სიბრძნით მდიდარი.
- სამარცხვინოა, ქალის გამო სწირავ სამშობლოს,
სამართლიანად იწყებს ომს ქმარი.
- ერთგულებას ნუ მოსთხოვ იმ ქალს, დაუფიქრებლად
ყელზე რომელიც ჩამოგეკიდა. 100
- როგორც უმცროსი ატრიდი წუხს, გამწარებული
და ღმუის ცოლის სიმუხთლის გამო,
- დაიტანჯები შენც ასევე. უმწიკვლო სახელს
ვერ დაიბრუნებს, რომელმაც სცოდა.
- გიუღება შენთვის? ხომ უყვარდა მენელაოსიც, 105
ახლა რომ სძინავს მიამიტს მარტო?
- ბედნიერია ანდრომაქე, ერთგულ ქმარს ჰყვარობს,
მეც ვიქნებოდი ასეთი ცოლი.
- შენ კი, პარისო, მსუბუქი ხარ გამხმარ ფოთლებზე,
მობერილ ნიავს რომ მიჰყვებიან. 110
- წონა არა გაქვს, როგორც თავთავს, მზის მცხუნვარებით
გამომშრალსა და მალლა აშვერილს.
- რა დამავიწყებს შენს მისან დას, დალალებგაშლილს,
სასტიკი ხვედრი მან მიქადაგა:
- “რად გინდა თესლი ზღვის ნაპირზე მიმოაბნო,
ღორღსა და ქვიშას ხარი ვერ მოხნავს. 115
- სპარტიდან მოდის დეკეული, იმას უფრთხილდი,
სახლ-კარს, სამშობლოს, შენც შეგიწირავს.

- ღმერთნო, ჩაძირეთ ზღვის ტალღებში მტრული ზომალდი,
 ფრიგიელთა სისხლს მოწყურებული“. 120
- ასე ყვიროდა, გამშაგებულს ეცნენ მსასურნი,
 მე შიშით თმები ყალყზე დამიდგა.
 ჭაშმარიტებას ღაღადებდი, მისანო, მოდის
 ჩემს საძოვარზე ის დეკეული.
- პირმშვენიერი არის, მაგრამ მრუშია, ღმერთებს 125
 აქცია ზურგი, გამოჰყვა სტუმარს.
 იგი თესვესმაც მოიტაცა ადრე (მეშლება?),
 იქნებ ის სულ სხვა თესვესი იყო.
 არ მწამს, რომ უკან დააბრუნა ხელუხლებელი 130
 (შეყვარებულის ბუნებას ვიცნობ).
 შენ მას უწოდებ უცოდველ მსხვერპლს ძალადობისა,
 ვისაც არ უნდა, არ იტაცებენ.
- მე კი, ენონე, მაცდური ქმრის ერთგული დავრჩი,
 თუმცა ღირსი იყო ის მოტყუების.
 მოსატაცებლად მეც დამდევდნენ მარდი სატირნი, 135
 ვერიდებოდი თავხედურ ბრბოსაც,
 რქებიან ფავნუსს, თავზე ნაძვის ტოტებით მორთულს,
 იდის ვრცელ ქედზე ვემალებოდი.
- ღირაზე დამკვრელს შევუყვარდი, ტროის მშენებელს,
 მან სიქალწულე წაიღო ჩემი. 140
 ვერაფერს გაეხდი. თმები ვაგლიჯე თითებით და
 ფრჩხილებით სახე ჩამოეუკაწრე.
 არ მითხოვია საზღაურად ოქრო და ვერცხლი,
 არ მივაჭრია ჩემი სხეულით.
- ღირსად ჩამთვალა მკურნალობა ესწავლებინა, 145
 ეს ხელოვნება გაეცნო ჩემთვის.
 ვიცი ყოველი ბალახის, ხის, ფესვების ძალა
 და სად რომელი მცენარე ხარობს.

სიყვარულის მსხვერპლს ვერ განვკურნავ ბალახ-ბულახით,
 მაკლია სიბრძნე და ხელოვნება. 150

ფერეის მთაზე ძროხებს მწყემსდა ეს ღმერთი თურმე,
 როდესაც ჩემი ტრფობით დაიწვა.
 არც ერთ ღვთაებას ჩემი შველა არ შეუძლია
 და არც ერთ მიწას, შენა ხარ მხოლოდ
 ჩემი მხსნელი, ჩემი იმედი, ღირსი ვარ ამის. 155

მე არ მოგიყვან დანაელთ ლაშქარს.
 ყმაწვილი იყავ, მე თან გახლდი, ახლაც შენი ვარ
 და შენთან ყოფნას ვისურვებ მარად.



ტროის მეფეს, პრიამოსს როცა უწინასწარმეტყველეს, რომ მისი
 ახლადდაბადებული ვაჟი, პარისი, დაანგრევდა საკუთარ ქალაქს,
 მეფემ ჩვილი მოიშორა, მწყემსების მიერ ნაპოვნი პარისი იზრდე-
 ბოდა იდის მთის ძირას, იგი იქ ცხვრებს მწყემსავდა, მისი სატ-
 რფო იყო ნიმფა ენონე, სანამ პარისი ელენეს მოითაცებდა.

101 უმცროსი ატრიდი, მენელაოსი.

113 და, კასანდრა.

127 თესევსმა მოითაცა ელენე, სანამ მას მენელაოსი შეირთავდა,
 იგი ელენეს ძმებმა, პოლუქსმა და კასტორმა დააბრუნეს.

139 ტროის მშენებელი, აპოლონი

151 იუპიტერის მიერ დასჯილი აპოლონი (რადგან მან კიკლოპები
 დახოცა, რომლებიც ელვას უმზადებდნენ იუპიტერს), შვიდი წელი
 მწყემსად იღვა მეფე ადმეტოსის კარზე.

VI

ჰიპსიპილმ იასონს

- თესალიაში შენი გემით ჩასულხარ უკვე 1
 და ოქროს ვერძიც ჩაგიტანია.
- შინ დაბრუნებას მოგილოცავ, მიკვირს, ამბავი
 რომ არ მაცნობე თავად წერილით.
- გზას აგაცდინა ქარმა იქნებ და აუარე 5
 ჩემს კუნძულს გვერდი, თუმც გსურდა მოსვლა.
 მაგრამ ბარათის მოწერასაც გიშლიდა ქარი?
 თუ სალმის ღირსად არც კი ჩამთვალე.
- რად არ მაუწყე წერილით, რაც ვიცი ყურმოკვრით,
 მარსის ხარები როგორ მოდრიკე, 10
 მიწიდან უცებ ამოზრდილი გოლიათები
 როგორ დახოცე ხელგაუნძრევლად.
- ცხერის ტყავის დარაჯს, ფხიზელ ღრაკონს მამაცურ მკლავით
 როგორ მოსტაცე ოქროს საწმისი.
- რა სიამაყით ვუჩვენებდი შენს წერილს იმათ, 15
 ვინაც ამ ამბებს ეჭვით უყურებს.
 რად ვბრაზობ, მიკვირს, არ გახსოვარ მეუღლე შენი,
 თუკი ყველაფერს ვითმენ და გელი.
- თურმე გრძნეული, უცხო ქალი, ჩემი მოცილე,
 გამოგყოლია თანამეცხედრედ, 20
 რა მაცდურია სიყვარული. ვცდებოდე ნეტავ
 და უსაფუძვლოდ ბრალს გდებდე მართალს.
- ამ ცოტა ხნის წინ თესალიას ჰემონიელი
 გვესტუმრა ერთი. მას შემოსვლაც კი
 არ ვაცადე, ვთხოვე რომ შენზე მოეთხრო რამე, 25
 შეცბა, უსიტყვოდ დახარა თავი.

- წამოვხტი მყისვე და სამოსი შემოვიძარცვე:
 „ხომ ცოცხალია, გაფიცებ ღმერთებს,
 თუ სიკვდილი მეც მასთან მიხმობს?“. მან დამამშვიდა,
 თუმც გამიჭირდა მერწმუნა მისი. 30
- სული ჩავიღგი და მყის შენი საქმენი ვკითხე.
 მან ყველაფერი მიაბო: მარსის
 სპილენძჩლიქიან ხართა მიერ ხნულის გავლება,
 დრაკონის კბილთა თესვა, მიწიდან
 უცებ მებრძოლთა ამოზრდა და ძმათამკვლელ ომში 35
 ურთიერთჟლეტა ამ უღლეურთა.
- შემდეგ დრაკონის დამარცხება. „მაშ, ცოცხალია?“
 კვლავ შიშნარევი იმედით ვკითხე.
 წვრილად მიაბო ყოველივე ისე ხატონად,
 ისევ გამეხსნა იარა ძველი. 40
- რად მინდა ფიცი საქორწინო, ან ჩირალდანი,
 სამარხის ცეცხლის გასაღვივებლად?
 ჩვენ ხომ მალულად არ შეგუღლდით, იუნო გვყავდა
 მოწმედ, ჰიმენეც, გვირგვინოსანი.
 თუმც ჩირალდანი მათ არ ჰქონდათ, ის ერინიას 45
 ხელთ ეპყრა ნიშნად უბედურების.
- მე რად მინდოდა მინიები, მათი ხომალდი,
 შენ კი, ტიფისო, — სამშობლო ჩემი?
 აქ ხომ არ იყო მშენიერი ოქროს საწმისი,
 არც აიეტიის იყო ლემნოსი. 50
- ჯერ განვიზრახე, გამერეკა უცხო ვაჟკაცი
 (რაც წესად გვქონდა) ქალთა რაზმებით,
 ერთ დროს ვიძიეთ შური ქმრებზე ლემნოსელებმა,
 გვქონდა მიზეზი ჩვენ საპატიო.
 შენ კი გაგიღე სახლის კარი, გულიც გაგიხსენ. 55
 და ერთად განვვლეთ ჩვენ ორი წელი.

- მესამე დადგა შემოდგომა, აფრები ახსენ,
 თვალცრემლიანმა მითხარი ასე;
 „გშორდები, მაგრამ, გწამდეს, ბელი თუ ღამაბრუნებს,
 მე მუდამ შენი ქმარი ვიქნები. 60
 დაე, იხაროს შენს წიაღში ჩემმა ნაყოფმა,
 რომ ორივენი გაეხლეთ მშობლები.“
- მაშინვე ცრემლი დაგიგორდა ცბიერ ღაწვებზე,
 აღლეუებისგან გაგიწყდა სიტყვა.
 ყველაზე ბოლოს შენ ახვედი წმინდა არგოზე, 65
 გაფრინდა იგი, მიენდო ზურგქარს.
- აპობდა ტალღებს, ლაუვარდოვანს ხომალდი სწრაფი.
 მე შევცქეროდი ზღვას, შენ კი – ნაპირს.
 კოშკს მივაშურე მალლა, ზღვას რომ გადაჰყურებდა,
 ღვარად დამდინდა სახეზე ცრემლი. 70
- სველი თვალებით დაჟინებით გავცქერდი სივრცეს,
 რომ დამელანდა საგნები შორით.
 ვევედრე ღმერთებს, აღთქმაც დავდე და შენც გადარჩი,
 ამიტომ ფიცი უნდა დავიცვა,
 რომ იხეიროს და სიკეთე ერგოს მეღვას? 75
 ვბრაზობ და მიყვარს, თან გული მტკივა,
 ვკარგავ იასონს, მივიტანო ტაძრებში ძღვენი?
 მსხვერპლი შეეწირო ჩემი მარცხისთვის?
 მშვიდად არასდროს მიცხოვრია, არგოსელი
 არ შეგერთო ცოლად შენ მამის რჩევით. 80
- რას ვიფიქრებდი, ბარბაროსში თუკი გამცვლიდი.
 უცნობი მტრისგან მივიღე დარტყმა.
 არც სათნოებით, არც მშვენებით თავს არ იწონებს,
 იცის მაგიურ ბალახთა ფასი.
 მას ძალუძს მთვარეს შეუცვალოს მიმართულება 85
 და დააბნელოს მზის ბრწყინვალება.

- მდინარეებსაც იმორჩილებს, წყალს შეაჩერებს,
გადაადგილებს ტყესა და კლდეებს.
- ახალ სამარხთან თმაგაშლილი დაძრწის და ეძებს
მიცვალებულთა ძელებს თბილ ნაცარში. 90
- დასამარებს კაცს შორიდან, ცვილის ფიგურას
ძერწავს და ნემსებს ჩაურჭობს ღვიძლში.
- თავს შეაყვარებს ვისაც უნდა ბალახის ძალით,
არა მშვენებით და სათნოებით.
- მის ხვევნასა და ალერსს, მიკვირს, როგორ იგუებ,
ან როგორ გძინავს მშვიდად მის გვერდით. 95
- იქნებ მოგდრიკა შენც უღელქვეშ, როგორც ხარები,
მოგნუსხა ისე, როგორც ღრაკონი.
- ან ეგებ კიდევ გეცილება შენ გმირობაში
და გართმევს სახელს, ღიღებას ცოლი. 100
- პელიასისგან მოდის ჭორი და ხალხსაც სჯერა,
რომ გაიმარჯვე თილისმის ძალით:
“ფრიქსეს ცხვრის ტყავი ესონიღს არ მოუტაცნია,
ის ფაზისელმა მას უწყალობა.”
- დედას არ მოსწონს (ჰკითხე თუ გსურს) და არც მამაშენს, 105
ცივი ქვეყნიდან მოსული რძალი.
- იქ, ტანაისში, სკვითიაში ანდა მშობლიურ
ფაზისთან უნდა ეძებნა ქმარი.
- შენ კი, იასონ, მსუბუქი ხარ ნიავექარივით,
შენს ფიცს, პირობას აქვს რამე წონა? 100
- წახვედი როგორც ჩემი ქმარი, დაბრუნდი — სხვისი,
მე ვიყავ შენი და შენად ვრჩები.
- მოდგმით მოგხიბლა? შვილიშვილი ვარ მეც მინოსის.
ხოლო თოანტი მამაა ჩემი,
- ბაკქუსი — პაპა. აკრთობს ვარსკვლავებს სიკაშკაშით 115
ცაზე გვირგვინი მისი მეუღლის.

- მზითვად მიიღებ ჩემგან ლემნოსს, მდიდარს, ნოყიერს,
გვერდს დაგიმშვენებ მეც ჰიპსიპილევც.
- გილოცავ, ჩემო, დედა გაეზღი, არ იყო მძიმე
ტარება შენი ნაყოფის მუცლით. 120
- ბედნიერი ვარ იმითაც, რომ ორი ვშვი შვილი,
ლუცინამ ტყუპი მაჩუქა ვაჟი.
- მკითხავ, ვის გვანან? ამოიცნობ შენს სახეს მათში,
სიცრუეში კი არ გგავს არც ერთი. 125
- ჩემს ნაცვლად მათი გამოგზავნა შენთან მინდოდა,
მაგრამ გზიდანვე გამოვაბრუნე.
- შევშინდი სასტიკ დედინაცვლის, მეღვას გამო,
ხელი ნაცადი აქვს სიავეში.
- ძმა ვინც აკუნა, მიმოფანტა ველად სხეული,
არ შეიბრალებს ის ჩემს ვაჟებსაც. 130
- ო, უგუნურო, მოწამლულ კოლხური შხამით,
ამბობენ, დამთმე მისი გულისთვის.
- ურცხვი ქალწული აგეკიდა, იშოვა ქმარი,
ჩვენ საქორწინო ლამპრები გვენთო.
- მან უღალატა მამას, მე კი თოანტი ვიხსენ,
მან მიატოვა კოლხეთი, მე კი 135
- ლემნოსზე დავრჩი, მაგრამ რა მომცა ამ სიკეთემ?
მან კი, ბოროტმა იშოვა ქმარი.
- ლემნოსელ ქალთაც ვკიცხავ, მაგრამ დიდი ტკივილი
შეიქნა მათი რისხვის მიზეზი. 140
- აბა, მითხარი, ქარს თქვენი გემი ჩემს ნაპირთან
რომ შემოეგლო — ხომ ზღება ასეც,
ტყუებთან ერთად მოვსულიყავ შენს შესახვედრად,
არ ინატრებდი მიწის გასკდომას?
- გამისწორებდი თვალს, ვერაგო, მე ან შენს ვაჟებს?
შენთვის რა სასჯელს მოვიფიქრებდი? 145

აღბათ არაფერს ვიღონებდი, თუმცა კი ღირსი
არ იყავ, მაგრამ მოგიტყეებდი.

ნეტავ ხელები შემეღებოს მეტოქის სისხლით,
ვინც გრძნეულებით მომტაცა ქმარი. 150

მედვას ძალა მე რომ მომცა... იუპიტერო,*
იქნებ ისმინო ვედრება ჩემი:

აკენუსდეს ის, ვინც სარეცელში შემეზიარა,
ჩემს ბედში თავად აღმოჩნდეს ისიც, 155

მიტოვებული ქმრისგან მე ვარ, ორ შვილთან ერთად,
ის შვილებმაც და ქმარმაც დატოვოს.

რაც ბოროტებით მოიპოვა, დაკარგოს მალე,
იხეტილოს ქვეყნად ლტოლვილმა.

როგორც მოექცა ძმას და მამას, ასე სასტიკი
იყოს ქმრისა და შვილების მიმართ. 160

ზღვა და ხმელეთი გადაუდგეს, ჰაერი დარჩეს
და იყილოს ცოდვილმა მარტო.

გწყევლი თოანტის შვილი, ქმრისგან მიტოვებული,
თქვენს ქორწინებას და თქვენს სარეცელს.



ოვიდიუსი ამ წერილის წყაროდ იყენებს აპოლონიოსის „არგონავტიკას“ და სავარაუდოდ, ევრიპიდეს „ჰიპსიპილეს“. კუნძულ ლესბოსზე მცხოვრებმა ქალებმა, ქმრებზე გაბრაზებულებმა, ამოხოცეს მამაკაცები, მხოლოდ ჰიპსიპილემ დაინდო მოხუცი მამა, მეფე თოანტი. კოლხეთისაკენ მიმავალმა არგონავტებმა გზად შეიარეს ლემნოსზე, იასონი შეეუღლა დედოფალ ჰიპსიპილეს, რომლისგანაც შვა ტყუპი ვაჟები. იასონმა გატეხა სიტყვა და ოქროს საწმისის მოპოვების შემდეგ არ შეიარა კუნძულზე.

10-13 მედვას დახმარებით იასონმა შეასრულა კოლხეთის მეფის, აიეტის დავალებები: უღელი დაადგა მძვინვარე ხარებს, რომელთაც

სპილენძის ჩლიქები და ნესტოები ჰქონდათ და პირიდან ცეცხლის
აღს აფრქვევდნენ, დაამარცხა დრაკონის კბილებიდან აღმოცენებუ-
ლი მეომრები და მიაძინა ფხიზელი დრაკონი

129 კოლხეთიდან გამოქცეულმა მედეამ, მდევარი მამა, აიეტი რომ
შეეჩერებინა, ვერაგულად შოკლა მმა, აბსირტე, აკუწა და ტომის-
თან (შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე) დააგდო.

VII

დიდო ქნასს

- ასე მეანდრეს ნაპირებთან, ცერიან ბალახზე 1
 მღერის სიკვდილის წინ თეთრი გედი.
 იმედი არ მაქვს, ჩემი თხოვნა გულს აგიძვერებს,
 ღმერთი არ მწყალობს, ვიცი... გწერ მაინც.
- ამოდ გიძღვენ სული, გული, პატიოსნება, 5
 ახლაც ამოდ გესაუბრები.
 მაინც წახვედი, მიატოვე საბრალო დიდო,
 ქარს გააყოლე აფრები, ფიცი.
 ღუზა ახსენი და გაწყვიტე ჩემთან კავშირი,
 გასწიე უცნობ ქვეყნის საძებრად. 10
- არც კართაგენის მშენებარე კედლები გზიბლავს,
 არც ჩემი ქვეყნის სამეფო კვერთხი.
 მზა ქალაქს ტოვებ, ახალს ეძებ ასაშენებელს?
 უცნობ მხარისკენ მიგიწევს გული?
- როცა იპოვი, როგორ ფიქრობ, დაგიტოვებს ვინმე 15
 საკუთარ მინდვრებს და სახნაუ-სათესს?
 ახალ სიყვარულს იპოვი იქ და ახალ დიდოს,
 ახალ ფიცს დადებ და მასაც გატეხ?
- როდის ააგებ ქალაქს, სადარს კართაგენისა,
 ზვიადად შენს ხალხს რომ გადმოჰხედო? 20
 ყველა სურვილიც რომ აგიხდეს, სადღა იპოვი
 ცოლს, ჩემნაირად უყვარდე ისეთს?
 ვიწვი ვითარცა ჩირალდანი გოგირდიანი
 და საკმეველი აალებული.
- დღისით და ღამით მხოლოდ შენზე ვფიქრობ, არ მძინავს 25
 და შენი სახე მუდამ წინ მიდვას.

- რა არ გიბოძე, უმადურო, ჭკუა რომ მქონდეს,
 ეხარობდე უნდა, რომ გაიქეცი.
- მინც არ მძულხარ, თუმც მიმტყუნე, ფიცის გამტეხო,
 მრცხენია, მაგრამ მიყვარხარ მინც. 30
- გთხოვს შენი რძალი, ვენუს, ამურს უბრძანო ლაშქრად
 რომ იმსახუროს თვისი გულქვა ძმა.
- ის, ვინაც მიყვარს (არა, არ მძულს), ისევე გახდეს
 საგანი ჩემი ტრფობის და ზრუნვის.
- კვლავაც მაცდურად მისი სახე წარმომიდგება,
 სულაც არა ჰგავს დედას ზნობით. 35
- შენ ალბათ ქვამ გშვა, მთებმა, ანდა მაღალ კლდის მუხამ,
 ან კიდევ მხეცმა დაუნდობელმა.
- იქნებ ზღვამ გშობა, ხედავ, როგორ აღელვებს ზვირთებს?
 არ ეპუები მინც შმაგ ტალღებს. 40
- სად გარბი? ჩემდა სასიკეთოდ გებრძვის აედარი.
 შეხე! ევრუსი აგორებს ზვირთებს,
 ჯავრი იყარა ქარიშხალმა შენზე ჩემს ნაცვლად,
 სამართლიანად გებრძვის ზღვაც, ქარიც.
- ამაოდ ფიქრობ, ვზად ჩემ გამო დაილუპები
 (არ იმსახურებ იქნება ამას?) 45
- როგორ აკერპე სიძულვილი ასე ძალიან,
 რომ ჩემს დანახვას გიჯობს სიკვდილი.
- ქარი ჩაწყნარდა, მოლივლივე ზღვის მშვიდ ტალღებზე
 მიჰქრის ტრიტონი ცისფერ რაშებით. 50
- შენც შეიცვლიდე ქართან ერთად ნეტავ გუნებას,
 მაგრამ უდრეკი ხარ მუხასავით.
- გაშმაგებულ ზღვას რა ძალაც აქვს, კარგად იცოდი,
 გამოცდილი გაქვს და მინც ენდე.
- როცა ტალღები ნებას გაძლევს, აუშვებ აფრებს,
 მაშინაც ხიფათს უნდა ელოდე. 55

- ორპირი კაცი ნაოსნობას უნდა ერიდოს,
 სასჯელს უმზადებს ზღვა მოლაღატეს,
 უფროვე ტრფობის ფიცის დამრღვევს, რადგან ამურის
 დედა კითხვის ტალღებმა შობეს. 60
- მე, უბედური, შენზე ვშიშობ, ზღვამ არ დაგლუპოს,
 შენი ზომალდი ზვირთმა არ ჩანთქას.
 არა, იცოცხლე, დაგსჯი იმით, გემახსოვრება
 შენი მიზეზით სიკვდილი ჩემი.
- ვთქვათ, ქარბორბალამ აგიტაცა (ღმერთმა გაშოროს), 65
 რას გაიფიქრებ ნეტავი იმ წამს?
 მოგაგონდება მყისიერად შენი ცრუ ფიცი
 და თვითმკვლელობა განწირულ ღიღოს.
 წარმოგიდგება სევდიანი სახით მეუღლე,
 თმებგაშლილი და სისხლით მოთხვრილი. 70
- ‘ღირსი ვარ, რაც მჭირს, მაპატიეთ’ – წამოიძახებ,
 გეგონება, რომ ცა ჩამოგექცა.
 დამშვიდდი ცოტა, ზღვაც დაწყნარდეს, ეს საწინდარი
 უსაფრთხო გზისა იქნება შენთვის.
- შვილზე იფიქრე, მამას მკვლელის ერქვას სახელი 75
 ჩემი გულისთვის, ასატანია?
 ყრმა ასკანიუსს რა ბრალი აქვს, ანდა პენატებს,
 ცეცხლს გამოსტაცე, რომ ზვირთებს მისცე?
 არ მჯერა შენი კეცხნა, თითქოს საკუთარ მხრებით
 ატარე მამა და წმინდანები. 80
- ცრუობდი მუდამ. მე არ ვიყავ პირველი მსხვერპლი
 შენი ქლესობის და ქსელ-ხლართების.
 დარდობ, მშვენიერ იულუსის დედა სად არის?
 მოკვდა ქმრისაგან მიტოვებული.
- შენ თავად მითხარ, მაგრამ არც კი შეეწუხებულვარ, 85
 ვისჯები ჩემი დიდი ცოდვისთვის.

- ეჭვი არა მაქვს, ღმერთთა ნებით დახეტილობ
 ზღვასა და ხმელზე შეიდი წელია.
- როცა გვესტუმრე, ვინაობა შენი შევიტყვე,
 გულით მიგიღე ჩემს სამეფოში, 90
- დავეკერებოდი ნეტავ ამას და გამეფანტა
 ჭორი, რომ შენი მეუღლე გავზდი.
- იმ დღემ დამღუპა, მღვიმეს თავი რომ შევაფარეთ
 დელგმა წვიმისგან გალუმპულემა.
- ხმა მესმა, თითქოს ქვითინებდნენ ნიძვები, თურმე 95
 ჩემს ბელზე ბჭობდნენ ევმენილები.
- შური იძიე, ქმრის აჩრდილო, ფიცის გამტეხზე,
 მზად ვარ, საბრალო, მტანჯოს სირცხვილმა.
- სიქეესის სახე ტაძრად არის დავანებული,
 გვირგვინი მოსავს და თეთრი ბეწვი. 100
- სწორედ აქ ვიგრძენ, ნაცნობი ხმა ჩამესმა ოთხჯერ,
 წყნარად მომიხმო: 'მოდი, ელისა'.
- უკვე მოვდივარ, შენი ცოლი მოვდივარ შენთან,
 სირცხვილი მბოჭავს, მოვდივარ ნელა.
- შემინდე ცოდვა, მოვიხიბლე ტროელი გმირით, 105
 ჩემი შეცდენაც კი ვაპატიე.
- ქალღმერთის ძე და მოხუც მამის დამფასებელი,
 ვიფიქრე, ქმრობას კარგს გამიწვედა.
- მე მის ღირსებას მივენდე და მის მტკიცე ფიცსაც,
 რად დავიტანჯო თავი ამისთვის? 110
- უწინდებურად მღვენის ბედი ბოლო წუთამდე,
 ჩემი ცხოვრების დასასრულამდე.
- ქმარი მომიკლა ჩვენს ტაძარში საკუთარმა ძმამ,
 ქონების გამო დაიდო ცოდვა.
- დავთმე სამშობლო ამის გამო და ქმრის საფლავიც, 115

- მტერი ყოველმხრივ მღევნიდა ლტოლვილს.
 ძმას გამოვექეც ზღვით და უცნობ მხარეს მოვედი,
 ვიყიდე მიწა, შენ რომ გაჩუქე.
- ზედ კი ქალაქი წამოვმართე, მაღალ გალავნით,
 შურის აღმგზნები მეზობელ ხალხთა. 120
- ბჭენი შევეკიდე ქალაქს და მყის ატყდა ომები,
 ვიბრძოდი ქალი, უცხოტომელი.
- სასიძო ბევრი გამომიჩნდა, გაბრაზდნენ, როცა
 შენ აგირჩიე თანამეცხედრედ.
- რატომ ყოყმანობ, რომ გეტულებს მიმცე იარბას? 125
 მერე რა, რომ მე გიხსენ საფრთხისგან.
- მტერი სხვაცა მყავს, ვინც გამწირავს, იგი ძმა არის,
 ვინც არ დაინდო მეუღლე ჩემი.
- ნუ ვედრებ ღმერთებს, ნუ შებილწავ წმინდანთ შეხებით,
 უღეთო მარჯვენით მიაგებ პატივს? 130
- ხანძარს წმინდანნი გამოსტაცე მათზე მზრუნველმა,
 ნანობენ, ცეცხლში რომ არ დაიწვენენ.
- იქნებ ფეხმძივე მიმატოვე, რატომ არ ფიქრობ,
 ვატარებ შენი სხეულის ნაწილს?
- გაიზიარებს შენი შვილი დედის მწარე ხვედრს, 135
 წირავ საკუთარ ვაჟს გაჩენამდე.
- იულუსის ძმა თავის დედას თან გადაჰყვება,
 ერთ სასჯელს ორი გაიზიარებს.
- ამბობ: გიბრძანა ღმერთმა წასვლა – ნეტავ ტევკრელნი
 არ შემოგვეშვა პუნიკთ მიწაზე. 140
- ღმერთის ნებაა, ქარს რომ ებრძვი ამდენი წელი,
 ბობოქარ ტალღებს შეჭიდებული,
- ასეთი ჟინით დასალაშქრად არ ღირდა წასვლა
 ჰექტორის დროის პერგამოსისაც..
- ტიბრისკენ ილტვი, არა შენი სიბოისისკენ. 145
 ჩახვალ იქ, მაგრამ უცხოდ ჩაგთვლიან,

- თვალს ეფარება ხმელი, შენს ფლოტს გაურბის თითქოს,
ჩააღწევ ნაპირს, ალთქმულს, მოხუცი.
- სადავო მიწას არ სჯობს მორჩილ ხალხზე იმეფო,
მას მზითვად მოგცემ, ძმის ქონებასაც. 150
- გადმოიტანე ილიონი კართაგენში და
აიღე წმინდა სამეფო კვერთხი.
- თუკი გწყურია ომი გულით, ასკანიუსსაც
გამარჯვება სურს და ტრიუმფები,
- მე ვეტყვი, თუ ვის შეებრძოლოს, ომის წესებიც 155
იციან ჩვენთან და მშვიდობისაც.
- გაფიცებ დედას, ძმის საჭურველს, ლტოლვილ თანამგზავრთ,
მშობლიურ ღმერთებს და თქვენს წმინდანებს,
- გაფიცებ ტეკერებს, ვინც გადარჩა, მშვიდობით ევლოთ,
შენს გვერდით, მარცხი აღარ ენახოთ, 160
- შენს შვილს გაფიცებ, ბედნიერად განვლოს ცხოვრება
და განისვენოს ანჭიზემ მშვიდად.
- მოწყალე თვალით შეხედე სახლს, შენ რომ გიბოძე.
ბრალს რაში დამდებ, შენ რომ მიყვარხარ?
- არც მიკენში ვარ, არც ფთიაში დაბადებულნი, 165
არც ქმარი გამტრობდა ჩემი, არც მამა.
- თუ გრცხვენია, რომ მაღიარო მე შენს მეუღლედ,
არ ვდარდობ, ოღონდ კი შენი მერქვას.
- ერთი ზღვა არის აფრიკასთან, ნაპირს აწყდება,
ხან გამოაჩენს გზას, ხანაც კეტავს. 170
- აფრა გაშალე, დაუბერავს როცა ზურგქარი,
მანამ კი მწვანე კორდთან შეჩერდი.
- დარს დაელოდე შესაფერისს გასამგზავრებლად,
ხელს არ შეგიშლი, არ დაგაბრკოლებ.
- თანამგზავრთაც სურთ მოსვენება, ფლოტს – შეკეთება, 175
დრო ხომ სჭირდება ყველაფერს, ამას.

- მოიცა ცოტა, დამიმადლე ეს სამსახური
 მე, მოიმედეს შენი ცოლობის.
- სანამ ტალოები მიყურდება და სიყვარული,
 მაცადე, სევდას რომ მოვერიო. 180
- თუ სისასტიკეს არ მოიშლი, დიდსანს არ ვიცდი,
 თავს არ ვიცოცხლებ, გჯეროდეს ამის.
- ნეტავ შეგეძლოს შემომხედო, ამ წერილს რომ ეწერ,
 მუხლებზე მიდევს შენი მახვილი,
- ახლა მას ღვარად წამოსული ცრემლები აწვიმს,
 მალე კი ჩემი სისხლი დანამავს. 185
- გამიწევს შენი საჩუქარი მე კარგ სამსახურს,
 (ჩემს დასამარხად დიდ ხარჯს არ გასწევ),
 პირველად როდი შეეხება ჩემს მკერდს მახვილი,
 ადრე დაიჭრა ამურის ისრით. 190
- ანა, ცოდვისკენ შენ მიბიძგე, ძვირფასო დაო,
 პატივს მიაგებ მალე ჩემს საფლავს,
 მას ნუ წააწერ: 'ელისა, ცოლი სიქვესისა',
 სამარხზე ლექსი სჯობს ამოკვეთოთ:
- 'ენეასისგან დაილუპა დიდო, მახვილი 195
 სატროფოსი თავად ჩაიცა მკერდში'.

◇
 ამ წერილის წყაროს წარმოადგენს ვერგილიუსის „ენეიდის“ IV წიგნი. ფინიკიის დედოფალმა, დიდომ, მას შემდეგ, რაც ძმამ, პიგ-მალიონმა მოუკლა ქმარი, სიქვესი, მიატოვა სამეფო და აფრიკის სანაპიროზე დააარსა ქალაქი კართაგენი (შემდგომში რომის უძლიერესი მოქიშპე), მის სამეფოში მოხვდა იტალიისაკენ მიმავალი ენეასი, ქალღმერთ ვენუსის ხელშეწყობით, დიდო შეეუღლა ენეასს. მაგრამ ღმერთთა ბრძანებით ტროელი გმირმა მიატოვა დიდო და კვლავ განაგრძო მოგზაურობა ახალი სამშობლოს დასაარსებლად, 31-32 ენეასი, ვენუსის შვილი, ძმად ერგებოდა ამურს.

80 ენეასმა აღმოდებული ტროიდან გამოიყვანა მოხუცი მამა, ანქი-ზე და პენატები.

84 ტროიდან გამოქცეული ენეასის ცოლი, კრეუზა, მოულოდნელად გზაში გარდაიცვალა, ენეასი შებრუნდა ცოლის საძებნად აღმოდებულ ქალაქში, მაგრამ ვერ იპოვა იგი, ბოლოს გამოეცხადა ცოლის აჩრდილი, რომელმაც უთხრა, განეგრძო გზა, რადგან იგი ცოცხალი აღარ იყო. ასე რომ, ენეასს არ დაუტოვებია მეუღლე, რასაც საყვედურობს მას ღიღო.

149 ლავინიაში ჩასულ ენეასს მეფე ლატინუსი დაპირდა სამეფოს, შესთავაზა თავისი ქალიშვილი ცოლად, მაგრამ ტროელ გმირს დაუპირისპირდა ტურნუსი, რომელთანაც ბრძოლა მოუხდა ენეასს, რათა დამკვიდრებულიყო ახალ სამშობლოში.

VIII

ჰერმიონე ორესტეს

- ჩემო მეუღლე, ჩემო ძმაო, ჩემო ორესტე,
 ძმად დარიჩი მხოლოდ, ქმარი სულ სხვა მყავს.
 აქილევსის ძემ, მამასავეთ შმაგმა პირუსმა
 უღვთოდ ჩამკეტა აქ, უკანონოდ.
- მარტო ის შევძელ, არ დავენბდი საკუთარ ნებით, 5
 ვერ გაუუმკლავდი სუსტი ხელებით.
 „რას ჩადი“ – მეთქი, „ეაკილო, შურს იძიებენ,
 შენს ტყვეს, იცოდე, სხვა ჰყავს ბატონი.“
 ყური არ მიგდო, რომ ვყვიროდი ორესტეს სახელს,
 ომებში მწვდა ძალით და წამათრია. 10
 სპარტას შესეულ ბარბაროსს რომ ჩავეგდე ხელში,
 უფრო ცუდ დღეში არ ვიქნებოდი.
 ანდრომაქეც კი არ უტანჯავს ასე აქაველს,
 თუმც ტროა ნაცარ-ტუტად აქცია.
- შენ თუ გაწუხებს ჩემი ბედი, მოდი, ორესტე, 15
 და მოითხოვე, რაც შენ გეკუთენის.
 შენი ფარა რომ გაერეკათ, ხომ მიჰყეებოდი
 მტრის კვალს ხმლით, ცოლის გამოხსნა გიჭირს?
 შენი სიმამრი გაიხსენე, ცოლი პარისს რომ
 არ შეარჩინა, მოტაცებულნი. 20
 სასახლეში რომ უღარდელად დარჩენილიყო,
 პარისს დედაშენს ვინ წაართმევდა?
 შენ არ გჭირდება დანაელთა ურიცხვი რაზმი,
 არც დიდი ფლოტი, მხოლოდ შენ მოდი.
- შენი ვალია, დამაბრუნო, სამარცხენინოა 25
 ბრძოლის დათმენა მეუღლის გამო?

- საერთო პაპა გვყავს ორივეს – პელევსის ვაჟი,
 შენ ქმარიცა ხარ, ძმაცა ხარ ჩემი.
 გთხოვ, მომეშველო, როგორც დას და როგორც მეუღლეს,
 ორმაგი გაწევს მოვალეობა. 30
- შენ ჩემი თავი ტინდარევსმა გიბოძა, პაპამ
 ჰქონდა უფლება მოხუცს ამისი.
 ეს არ იცოდა მამამ და ქმრად სხვა მომიძებნა,
 პაპამ დაასწრო მას არჩევანი.
- შეეუღლდით ისე, შეგვიღახავს ღირსება არვის, 35
 პირუსთან ყოფნით შენ შეურაცხყოფ.
 მამა შეგვიწოდებს ამ სიყვარულს, მენელაოსი,
 ამურის ისრით ისიც დაჭრილა.
- ტრფობას ემონა თავად, სიძეს რატომ დაუშლის?
 მაგალითია ელენე მისთვის. 40
- მე ელენე ვარ შენთვის და შენ – მენელაოსი.
 პირუსი კი ჰგავს ქცევით დარღანელს.
 იყოყლოჩინოს მამამისის, დაე, გმირობით,
 სათქმელი შენც გაქვს ბევრი მამაზე.
- ტანტალიდს ყველა მორჩილებდა, სარდალთა სარდალს, 45
 თვით აქილევსიც თავისი ლაშქრით.
 პელოპსი, მისი მამაც შენი ნათესავია,
 იუპიტერი კი – ღიღი პაპა.
- უშიშარიც ხარ, თუმც ხმალს ცუდი საქმისთვის დასწვდი,
 რა უნდა გექნა, მამის ბრალია. 50
- შენს მკლავს გმირობა, სიძამაცე მოუხდებოდა,
 შენ არ გინდოდა, გიბრძანეს ასე,
 რომ დაგენტხია სასახლეში ეგისტეს სისხლი,
 სადაც მამაშენს გამოსჭერეს ყელი.
- პირუსი გკიცხავს ამის გამო, ცოდვილს გიწოდებს, 55
 თან გამომწვევად მომჩერებია.

- ბრაზისგან სახე მიელავს და სული მიშფოთავს,
 გულში ფარული გიზგიზებს ცეცხლი.
 ორესტეს ლანძღვას მაგონებენ ცოლს, ჰერმიონეს,
 რა ვქნა, არც ძალა მაქვს, არც — მახვილი. 60
- ტირილის ნება მაქვს და მოთქმით ვიოკებ რისხვას,
 ნიაღვარივით მდის მკერდზე ცრემლი.
 ეს ერთი შვება არის ჩემთვის, ცრემლს რა გამოლევს,
 გაუხეშებულ ღაწვებს მინამაკს.
 ჩვენ, ტანტალიდებს, მოტაცების ბედი გვაქვს ქალებს,
 იოლი მსხვერპლი ვხვდებით კაცების. 65
- რად მოვიგონო მე მაცდური ფრინველი წყლისა,
 გელად ქცეული იუპიტერი.
 სადაც ისთმოსი ორ ზღვას შუა გადაჭიმულა,
 იქ გაიტაცეს ჰიპოდამია. 70
- კასტორი დას ხომ დაედევნა პოლუქსთან ერთად
 დასაბრუნებლად მოპსოპის ქალაქს.
 ზღვიდან მოსული უცხოელის მოტაცებულ ქალს
 ბერძენთა მთელი არმია მიჰყვა.
 თუმცა ბუნდოვნად, მაინც მახსოვს ეს ყველაფერი:
 შიში, წუხილი და შემფოთება. 75
- ტიროდა პაპა, დაი ფებე და ტყუპი ძმები,
 და იუპიტერს ვედრებდა დედა.
 მე ჩემი მოკლე დალალები ჩამოვიშალე,
 ყვეიროდი: დედა, რად მტოვებ-მეთქი. 80
- მამა შორს იყო... ჭემმარიტად პელოპიდი ვარ,
 რადგან ნადავლი გავხდი პირუსის.
 ნეტავ პელიდი გაქცეოდა მშვილდს აპოლონის,
 შვილს გაკიცხავდა თავხედობისთვის.
 გვერდით დაუდგა ის ქმარს, ვისაც წაართვეს ცოლი,
 შვილს ძალადობას მოუწონებდა? 85

- ნეტავ ვიცოდე, ცისიერნი რად განმირისხდნენ,
რომელ მნათობმა მიმტრო საბრალოს.
- ღელა მომტაცეს, მამა მუდმივ ლაშქარში იყო,
ასე რომ, მაინც ობოლი ვიყავ. 90
- არ გაგიგია ქალიშვილის ალერსიანი
ტიტინი ნაზი, შენ, დედაჩემო,
- არ მოგხვევივარ ყელზე ჩემი პატარა ხელით,
არც შენს მუხლებზე ვმჯდარვარ განცხრობით.
- არც ჩემს მორთვაზე გიზრუნია, როცა გავთხოვდი, 95
არც ჩემს ოთახში შემოგიხედავს.
- გამოგიტყდები, რომ დაბრუნდი, შემოგეგებე,
მაგრამ სახე კი არ მეცნო 'შენი.
- თუმცა ვხედავდი, მშვენიერი იყავ ელენე.
ვერც შენ მიცნობდი, რომ არ გეკითხა. 100
- ორესტე იყო, ქმარი ჩემი ნუგეში მხოლოდ,
მანაც თუ დამთმო, მარტო დავრჩები.
- მტერს სძლია მამამ ჩემმა, მე კი პირუსის ტყვე ვარ,
ძღვნად ეს მივიღე ტროის დაცემით.
- როცა ტიტანი გააქროლებს სხივმოსილ ცხენებს, 105
მხოლოდ მაშინ ვგრძნობ შეებას ბედრკული.
- მაგრამ ღამეს კი სად გავექცე, მიმერეკება
მე საწამებლად საწოლ ოთახში.
- თვალი ცრემლისგან მიმძიმდება, არა — ძილისგან.
ქმარს გაეუბივარ, ისე როგორც მტერს. 110
- ზშირად არც მახსოვს, სად ვარ, რაც მჭირს და უნებურად
მკლავით ვეხები სკიროსელის ტანს,
- ელდანაკრავი წამოვიღებ ხელს სწრაფად უკან,
ვნანობ, სიბილწეს რომ გავეკარე.
- ზოგჯერ პირუსის ნაცვლად სახელს ვამბობ ორესტეს 115
და ეს შეცდომა გულს შვებით მიხვებს.

ჩემს დაწყველილ გეარს გეფიცები და უკვდავ ღმერთებს,
 ვისაც მორჩილებს მიწა და წყალი,
 ძვლებს მამაშენის (ჩემი ბიძის), შენი წყალობით
 რომ განისვენებს მშვიდად საფლავში,
 თავს არ ვიცოცხლებ, თუ არ გავხდი მე, ტანტალიდი
 ცოლი ბადიშის ტანტალოსისა.

120



მითის ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, ჰერმიონე, მენელაოსისა და ელენეს ქალიშვილი, პაპამ, ტინდარეესმა, მიათხოვა ორესტესს, აგამემნონისა და კლიტემნესტრას ვაჟს, იმ დროს, როცა მენელაოსი პირუსს (ნეოპტოლემუსს), აქილევსის ვაჟს შეჰპირდა, რომ მიათხოვებდა ჰერმიონეს. პირუსმა მოიტაცა ელენეს ქალიშვილი.

13 ჰექტორის ცოლი, ანდრომაქე ნადავლად ერგო პირუსს.

19 იგულისხმება მენელაოსი.

45 იგულისხმება აგამემნონი.

67 საუბარია გელად ქცეულ იუპიტერზე, ვინც შეაცდინა ლედა.

71 საუბარია თესევსის მიერ ელენეს მოტაცებაზე და პოლუქსისა და კასტორის მიერ მის დაბრუნებაზე.

72 მოპსოპის ქალაქს, ე. ი. ათენში.

IX

დემიანირა კერპულეს

- მომილოცნია ექალის დალაშქერა შენთვის,
დასანანია, ტყვე ქალს დანებდი.
- პელაზგიაში ეს ამბავი გავრცელდა ყველგან,
შენს სახელს ჩრდილი მიადგა ამით.
- იუნოს მტრობას გადაურჩი, მაგრამ იოლეს 5
ულელში თავად გაჰყავი თავი.
- გაუხარდება შენი მარცხი ევრისტევსს, დასაც
მეხთამპყრობელის, შენს დედინაცვალს.
- მამას კი — არა. შეეულლა იგი ალემენეს,
გრძელ ღამეს, შენ რომ გაჩენილიყავ. 10
- ვენუსი უფრო გიმორჩილებს, ვიდრე იუნო,
ზეაგიტაცებს, გიმონებს იგი.
- აბა, შეხედე, შენს ძალას ცნობს სამყარო, მიწა,
ცისფერ ნერევსით გარშემორტყმული.
- ზღვასა და ხმელზე შენი ძალით სუფევს მშვიდობა, 15
მზის ქვეშეთში ქუხს სახელი შენი.
- ცად აღზევდები, ადრე იგი შენ მზრებით ზიდე,
ახლა ატლანტი აბრწყინებს მნათობთ.
- გინდა, სახელი მოიპოვო ამ სირცხვილითაც?
ეს უკადრისი ქცევა რას მოგცემს? 20
- ორი ასპიტი რომ მიახრჩვე აკვანში ჩვილმა,
ჩანდა, რომ მამის ღირსება დაგყვა.
- კარგად დაიწყე ყველაფერი, ამთავრებ ცუდად,
ყრმა სხვა იყავი, ახლა კი სხვა ხარ.
- ვერა დაგაკლო ურჩხულმა და ვერც ევრისტევსმა, 25
ვერცა იუნომ, ამურმა გძლია.

- პერკულესის ცოლს ბედნიერად მიმიჩნევს ყველა,
 რძალს ეტლით მქროლავ მეხთამპყრობლისა.
 უღლის გაწვევა ორ ერთნაირ ხარს შეუძლია,
 ქმარი თუ ცოლზე მეტია, მაშინ
 მძიმე ტვირთია ეს პატივი, ცოლს აჭკნობს მალე,
 ამიტომ ტოლი უნდა ეძებო.
- ქმარი სტუმარი მგონია. შინ არასდროს არის,
 სულ მხეცთან იბრძვის, საშიშ ურჩხულთან,
 მე კი, ელოცულობ შიშით, სახლში გამოკეტილი, 35
 რომ უცაბედად მტერმა არ ავნოს.
- ხან გაეურბივარ გველებს, შმაგ ლომს და ველურ ტახებს,
 ხან სამსახოვან ურჩხულს, ქოფაკებს.
 ხან სიზმრად ვხედავ ცხერის შიგნეულს, ათასგვარ ბოდვას
 და მაფრთხობს ღამის იდუმალება. 40
- გაურკვეველი ხმა ჩამესმის ყურში უბედურს,
 ხან შიში მიპყრობს, ხანაც – იმედი.
- არც დედა არის აქ, ღმერთისგან მოტყუებული,
 არც პილუსი და ამფიტრიონი.
- ვერისთევსია, ვინც ჩვენ გვდევნის, გულღრძო იუნოს 45
 ნების უსიტყვოდ აღმსრულებელი.
- ეს არ კმაროდეს თითქოს, ქალებს ეტრფი უცხოებს,
 იქნება შეილიც კი გაგიჩინონ.
- არ ვიტყვი, ავგე ვით აცდუნე პართენის ველზე,
 ორმენის ნიშნამ რომ გიშვა ვაჟი. 50
- არ მოგაგონებ, როგორ ეცი ტევორანტის ასულთ
 და დაერიე ყველას უკლებლივ.
- შენს ბოლო ცოდვას მოვიგონებ, შენი წყალობით
 დედინაცვალი გაეხდი ღამესის.
- ნახა მდინარე მუანდროსმა, ტოტებს რომ ხლართავს 55
 და წყალს უკანეე აბრუნებს თვისას,

- როგორ შეიბა ჰერკულესმა მძივი კისერზე,
 ცის თალი ვისაც ემჩატებოდა.
- არ მოერიდა შემოეჭლო მკლავებზე ოქრო
 და მორთულიყო ძვირფასი ქვებით. 60
- ნუთუ ამ ხელმა დაამარცხა ნემის მხეცი,
 ვის ტყავსაც მარცხნივ ბეჭზე ატარებ?
 გაბედე მიტრა ჩამოგეცვა შენს გრუზა თმებზე,
 როდესაც ალვის ფოთლები გშენის.
- მეონიური სარტყელი რომ მოგიჭერია 65
 კეკლუს ქალივით, არა გრცხვენია?
 არ გაგონდება დიომედე, ვინც თავის ცხენებს
 ადამიანის ხორცით კვებავდა,
 ასე მორთული რომ ენახე ბუსირიდს, ალბათ,
 თავის მარცხს შენთან ითაკილებდა. 70
- ანტიოს ყელზე ჩამოგგლეჯდა სამშენისს, ძლევას
 ვერ აიტანდა ქალაჩუნასგან.
- დაატარებდი თურმე კალათს იონიაში
 ქალებთან ერთად, ყოველ ბრძანებას
 ქალბატონის ისმენდი, კალათს ავსებდი უხმოდ. 75
 არ თაკილობდი უძლეველ ხელით
 დაპენტვას, დართვას უხეშ მატყლის, თანაზომიერ
 ნართის მირთმევას ქალბატონისთვის.
- ბევრჯერ ყოფილა, უხეშ თითებს ვერ მოუზომავს
 და თითისტარი შემოგმტკვრევია. 80
- შიშით მუხლებში ჩაუვარდი, ალბათ, ქალბატონს,
 როცა საბრალოს მათრახს გიღერდნენ.
- შენს გმირობაზე მასთან ბევრი გისაუბრია,
 იმაზეც, რაზეც ჯობდა ღუმილი.
- ელისის ჰიდრებს უზარმაზართ, ყელს შემოხვეულთ, 85
 როგორ სწვდი ჩვილი, გაგუდე ხელით.

- ტეგვის ტახი ერიმანთის კიპარისებში
 ზათქით მიწაზე ვით დაანარცხე.
- სასახლის კარზე, თრაკიაში დაკიდულ თავებს
 მოიგონებ და კაცის ზორცნაჭამ 90
- ცხენებს, გერიონს მდიდარს და იბერიის ურჩხულს,
 კაცს სამი ტანით, ერთ მასად ქცეულს.
- საშინელ კერბერს, სამთავიან ქოფაკს, ასპიტნი
 ბანჯგვლების ნაცვლად შემოხვევიან.
- გველს გაიხსენებ, თვის ჭრილობით გაძლიერებულს,
 ერთ თავს რომ კვეთდნენ, ორი ჩნდებოდა. 95
- ანტეოსს, ვისაც მოუგრიხე ყელი მარცხნივ და
 ფერდს და მკლავს შორის ამოიჩარი.
- როგორ გარეკე თესალიის მთიდან ფეხმარდი
 ჯოგი გოროზი კენტაურებისა. 100
- როგორ მოყვები გმირულ ამბებს გამოპრანჭული
 და მოკეკლუცე ძვირფას სამოსით.
- იარდანიდმა საჭურველი, ნადავლი შენი,
 ტანზე მოირგო და დაგიმონა.
- მიდი ახლა და დაიკვებნე შენი საქმენი,
 თითქოს ის იყო ქმარი, არა — შენ. 105
- იგი შენ გჯობნის გამარჯვებით; მან დაგამარცხა
 კაცი, მრავალგზის სხვათა მძლეველი.
- მას ერგო ახლა პატივი და დიდება შენი,
 დაუთმე შენზე ღირსეულს იგი. 110
- ვაი, სირცხვილო, შენ რომ მოჰკალ, იმ ლომის ბეწვით
 მან დაიმშვენა ბეჭები ნაზი.
- არა, ის შენი ტყავი არის, შენ ვერც მიმხვდარხარ,
 შენ მხეცს გააძვრე ტყავი, შენ კი — მან.
- აზიდა ლერნეს შხამისაგან შავი ისრები, 115
 მატყლის კალათს ვინც ძლივს სწევდა ხელით.

- კომბალსაც დასწვდა, მრავალ მხეცს რომ გაუპე თავი,
ქმრის საჭურველით სარკმელთან დადგა.
მიაბხეს ასე, იქნებ არც კი არის მართალი.
მაგრამ სევდამ კი შემიძყრო მაინც. 120
- მოვითმენ მანამ, სანამ უცხო ხარჭას არ ვნახავ,
მერე კი ველარ დავფარავ წყენას.
შენ არ გსურს თვალი ავარიდოთ, მოურიდებლად
შემოგყავს იგი შუა ქალაქში.
- აწეწილ თმებით როდი მოდის ტყვე ქალის მსგავსად, 125
არც კი აწუხებს თავისი ხვედრი,
ლაღად აბიჯებს, მოკაზმული ოქროს სამოსით,
შენ ფრიგიაში რომ იყავ, ისე.
- ხალხს ისე უცქერს, ჰერკულესი დამარცხდა თითქოს,
ექალიას კვლავ ევრიტოს მართავს. 130
- დეიანირას გაგდება სურს, რომ გახდეს ცოლი
და არა ხარჭა ჰერკულესისა.
რათა ჰიმენემ შეაერთოს თქვენი სხეული,
ურცხვი იოლეს და ალკიდესი.
- ვფიქრობ ასე და ეუფლება სხეულს სიცივე, 135
ხელებს ულონოდ ვიწყობ მუხლებზე.
ბევრი მოგწონდა, გულით მხოლოდ მე შემიყვარე,
გამოტყდი, ორჯერ იბრძოლე ჩემთვის:
- აქელოუსი რქებს მტირალი წყლის პირას ეძებს
და შუბლს მდინარის ლერწმებში ჩარგავს. 140
- კენტავრ ნესოსი შეერია ვენის ტალღებს
და ცხენის სისხლმა შელება წყალი.
მაგრამ რატომ გწერ ამას, უკვე მოვიდა მაცნე,
რომ კვდები ჩემი ტუნიკის შხამით.
- ვაიმე, ეს რა ჩავიდინე, რამ გადამრია!
დეიანირა, რატომ ყოყმანობ? 145

ეტნაზე კვდება ჩემი ქმარი ჩემივ მიზეზით,
 მე, ავის მქმნელი, ცოცხალი დაურჩე?
 რა გავაკეთე პერკულუსის ცოლობისათვის?
 არც არაფერი. ახლა ვეცდები. 150

შენც აღიარებ, მელეაგრე, რომ და ვარ შენი,
 რაღას ვზოზინობ ვეახლო სიკვდილს?
 დაწყევლილია სახლი ჩემი, მამაჩემს, მოხუცს,
 საკუთარმა ძმამ წაართვა ტახტი.

ჩემი ძმა, ტიდეუს, ვინ იცის სად დაეხეტება,
 მეორე ძმა კი ცეცხლის აღს მისცეს. 155
 დედამ მახვილი გულში თავის ხელით ჩაიტა.
 დეიანირა, რატომ ყოყმანობ?

შენი დალუპვა არ მინდოდა, იცოდეს ყველამ,
 ვფიცავ უწმინდეს, ჩვენს ცოლქმრულ კავშირს. 160
 ისრით დაჭრილმა თავის სისხლი მომცა ნესუსმა,
 დაიბრუნებო ამით სიყვარულს.

ის შევასხურე მოსასხამს და გამოგიგზავნე.
 დეიანირა, აყოვნებ სიკვდილს?
 კმარა, ნახვამდის, დაო გორგო, მამავ მოხუცო, 165
 სამშობლოვ, ჩემო ძმაო, დევნილო,

უკანასკნელო შუქო მზისა, ნახვამდის, ქმარო
 (მოგვწვდება ეს ხმა), და, შეილო, პილუს.



პერკულუსმა ქალაქ ექალიის აღების შემდეგ ტყვედ წამოიყვანა მეფის ასული, იოლე, დეიანირამ, პერკულუსის მეუღლემ, გადაწყვიტა ქმრის სიყვარული დაებრუნებინა და გაუგზავნა მას პერკულუსის მიერ მოკლული კენტავრის სისხლით გაუღენთილი სამოსი, არ იცოდა, რომ ამით სასიკვდილოდ წირავდა ქმარს.

64 ალვის ხე პერკულუსის წმინდა მცენარე იყო.

97-98 იგულისხმება ანტეოსი.

X

არიალნა თმსმსს

- არ მსუცი, როგორც მივსული, შენზე მივინჯარცა
არ გაქმნიავდა შენსაჲთ არეინ.
- იმ კუნძულიდან გწერ ამ წერილს, სადაც დამტოვე,
როცა უჩემოდ ახსენ აფრები.
- მახე დამიგე ეერაგულად და მომატყუე, 5
როდესაც ღრმა ძილს მივეცი თავი.
- ის იყო ნამი, მოციმციმე დაეცა ბალახს
და აჟღურტულდნენ ჩიტები ტყეში.
- ჯერ ძილ-ბურანში ვიყავ ისევ, გამოვიწვდინე
მკლავები შენკენ, რომ მოგხვეოდი, 10
- მაგრამ არ იყავ შენს საწოლზე, კვლავ ვაფათურე
ხელები ირგვლივ, არსად არ ჩანდი.
- გამომაფხიზლა შიშმა მყისვე და სარეცლიდან
წამოვხტი უმაღ დაფეთებული.
- მკერდზე ხელები ვიბრაგუნე და ავიწეწე 15
თმები, ისედაც დაუვარცხნელი.
- ნეტავ გავარჩევ მთვარის შუქზე ნაპირზე საგნებს?
თვალწინ წყლის სივრცე მოჩანდა მხოლოდ.
- მე უთავბოლოდ აქეთ-იქით ვიწყე სირბილი,
ღრმად ვეფლობოდი ქვიშაში ფეხით. 20
- და თან ხმამაღლა გავყვიროდი: „თესევეს, სადა ხარ?“
კლდე მიბრუნებდა შენს სახელს ექოდ.
- რამდენჯერაც კი დაგიძახე, შემეხშიანა,
თითქოს უნდოდა ეშველა ჩემთვის.
- აქ მთავა ერთი, წვერზე მოჩანს ბუჩქნარი უცხო, 25
კლდედ იქცა, ტალღით გადარეცხილი.

- აფოფიხდი მასზე, მოვიკრიბე ძალები, რათა
 შორს გასწვდენოდა ზღვას ჩემი მზერა.
 უცებ იქიდან შევამჩნიე, წყეულმა ქარმა
 ააფრიალა შენი აფრები. 30
- არ ვიცი, მართლა დავინახე, თუ მომეჩვენა,
 ტანში ყინული ჩამიდგა თითქოს.
 მაგრამ ტკივილი დაეძლიე და წამოვხტი უძალ,
 და მთელი ძალით მოვიხმე უკან.
 „საით გარბიხარ?“ – დაგიყვირე, ვერაგო თესევეს,
 მობრუნდი, ერთი გაკლივარ მგზავრი“. 35
- ხმა რომ ჩამიწყდა, მკერდში ცემა დავიწყე მჯილის,
 ვაძლიერებდი სუსტ ძახილს ამით.
 ჩემი სიტყვები თუ ვერ მოგწვდა, ნახავდი ალბათ,
 როგორ გიქნევდი ხელს გამალებით 40
 და რომ მიმეპყრო შენი მზერა, თეთრი მანდილი
 ჭოკს მივამაგრე, ავაფრიალე.
 რომ მიეფარე თვალს, დანამა ცრემლებმა სახე,
 უწინ ტკივილით გაქკავებული.
 რა დამრჩენოდა სხვა თუ არა, ცრემლები ცხარე. 45
 აღარსად ჩანდა ზომალდი შენი.
 დაკბრწოდი მარტო, თმაგაშლილი, ვით ბაკქი ქალი,
 ოგიგიელი ღმერთი რომ დვენის.
 ხან მაღალ კლდიდან გაყინული ზღვას გავყურებდი,
 ქვაზე ვიჯექი, ქვადვე ქცეული. 50
- ხანაც სარეცელს მივაშურე, საერთო საწოლს,
 ვერ შეგვაერთებს აწი ვერასდროს.
 ყველგან ყველაფერს ნაკვალევი ეტყობა შენი,
 საბანს სითბო აქვს შემორჩენილი.
 დაწვექი, ცრემლით სარეცელი დავნამე, ვკითხვე: 55
 „ჩვენ ორნი ერთად აქ ვნებივრობდით,

- სად არის იგი, დამიბრუნე. ორნი ვიყავით,
 ფლიდო, სად არის ჩემი მეწყვილე?
- აქ რა უნდა ექნა, ამ კუნძულზე, კაცს რომ ვერ ნახავ,
 მის ნამოღვაწიარს და არც ხარ-კამეჩს. 60
- ირგელივ წყალია, უსარგებლო მეზღვაურთათვის,
 არ შემოდინან აქ ხომალდები.
- გემიც რომ მომცენ, წყნარი ქარი, თანამგზავრებიც,
 სად წაველ? ხელს მკრავს სამშობლო მიწა.
- სანდო ხომალდით სასურველ ქარს რომ გავყვე ზღვაში,
 მაინც დევნილი ვიხეტივალბე. 65
- ვერასდროს ვნახავ ასქალაქა კრეტას, საოცარს,
 იუპიტერის ბავშვობის კუნძულს.
- მე ვულვალატე მამას, ჩემი ქვეყნის მბრძანებელს,
 და ჩემთვის ძვირფას ადამიანებს. 70
- როცა სასახლის ხვეულებში გზის გასაკვლეკად,
 გადასარჩენად მოგეც გორგალი,
- მაშინ მითხარი: „გეფიცები ამ საფრთხეს, მარად
 ვიქნებით ერთად ჩვენ სიკვდილამდე“.
- ჩვენ ცოცხლები ვართ, თესვეს, მაგრამ არა ვარ შენი,
 დამასამარე ქმარმა ცრუ ფიცით. 75
- და შემიწირე ისე, როგორც ჩემი ძმა კომბლით.
 შენს ფიცს დაარღვევს სიკვდილი ჩემი.
- საკუთარ საფრთხეს არ განვიცდი, მადარდებს უფრო
 ზოგადად ბედი მიტოვებულთა. 80
- წამების სახე მრავალია, სიკვდილზე მძიმე
 სასჯელი მისი შეყოვნებაა.
- ველი, საცაა, მგლების ხროვა გამოვარდება,
 ბასრი კბილებით გულ-ღვიძლს დამიგლეჯს.
- იქნებ კუნძულზე ბინადრობენ მწითური ლომნი,
 ანდა დაძრწიან შმაგი ვეფხვები, 85

- ზორბა სელაპებს შემოაგდებს აქ თურმე ტალღა,
 ეგებ მახვილსაც მიმიზნებს ვინმე?
 ოლონდ არ გავხდე ტყვე, დაბმული მძიმე ჯაჭვებით,
 ან ძაფს არ ვრთავდე მონებთან ერთად 90
 მე, შვილიშვილი აპოლონის, შვილი მინოსის
 (რაც მთავარია) საცოლე 'შენი.
 უდიდეს საფრთხეს ველოდები ყოველი მხრიდან,
 ზღვას გავხედავ თუ ხმელეთს ან ნაპირს.
 ცა დამრჩა მხოლოდ, მაგრამ ღმერთთა სახე მაშინებს,
 გავხდები ველურ მხეცთა ნადავლი. 95
 თუ ცხოვრობს ვინმე კაცთაგანი, მას არ ვენდობი,
 მათი ბუნება ვიცი და ეუფრთხი.
 ნეტავ ეცოცხლა ანდროგეოსს, არ შეერცხვინა
 თავი კეკროპთა მიწას მკვლელობით. 100
 არ მოუქნევდი ძლიერ კომბალს შენ მოსაკლავად
 ხარისთავა კაცს, ურჩხულ მინოტავრს.
 მეც არ მოგცემდი ხელში გორგალს დასაბრუნებლად
 გზა რომ გაგეგნო ძაფის წყალობით.
 აღარ მიკვირს, რომ გამარჯვება შენ დაგრჩა, თესევს,
 კრეტის ნიწაზე განართხე მხეცი. 105
 ვერ წამოგაგო რქებზე, ფერდი ვერ შეგინგრია,
 არ სჭირდებოდა შენს მკერდს ჯავშანი.
 იგი კლდესავით მტკიცეა და ადამანტივით,
 კაჟის ქვასაც კი გააპობს იგი. 110
 ძილქუშო, რატომ გამაბრუე, დაუნდობელო,
 ნეტავ აღარც კი გამღვიძებოდა.
 თქვენც უღმობელი ხართ, ქარებო, თესევსს მიემხრეთ,
 რომ მე ცრემლები მეღვარა ცხარე..
 ყველაზე მეტად მეც და ძმასაც გვიმტრო მარჯვენამ
 და დაფიცებამ ლიტონ სიტყვებით. 115

- ყველამ შეკარით ერთად პირი ჩემ წინააღმდეგ,
სამივემ: ძილმა, ქარმა და ფიცმა.
- ველარ ვიხილავ სიკვდილის წინ მე დედის ცრემლებს,
ვერ დამიხუჭავს თვალს ახლობელი. 120
- და ჩემი სული უცხოეთის ცას შეერთვება,
ტანს ნელსაცხებლით არეინ დამიზელს.
- მიმოფანტულ ძელებს ზღვის ჩიტები შეესევიან.
არ ვიყავ მეტი პატივის ღირსი?
- შენ კი მიცურავ მშობლიური კეკროპისაკენ, 125
რომ გადახედო ხალხს სიამაყით.
- უამბო წვრილად გამარჯვება ხარსა და კაცზე,
კლდეში ნაკვეთი სასახლის გზებზე.
- ჩემზეც უამბე, რომ დამტოვე კუნძულზე მარტო,
არ დაივიწყო არც ეს გმირობა. 130
- არა, შენ არ ხარ ეგეპსის და არც ეთრას ვაჟი,
შენ კლდემ გშობა და შმაგმა ტალღებმა.
- ნეტავ გემიდან მოკუნტული გენახე სევდით,
დალონდებოდი უთუოდ შენაც.
- ახლა თუ შეძლებ, დამინახე, ოლონდ გონებით, 35
ჩავცქერი კლდიდან ტალღებს ბობოქარს,
თმაგაწეწილი და მწუხარე, ვით მგლოვიარე.
- ცრემლის წვიმისგან სველი ტუნიკით.
- სხეული მითრთის, როგორც ფეჯილს, ქარით მონაბერს.
აკანკალეულ ხელს უჭირს წერა. 140
- არა, სიკეთეს არ გამადლი (ის ჩაველილია),
ვთქვათ და არა გაქვს შენ ჩემი ვალი,
- შენს დასახსნელად არ გავრჯილვარ, სიკვდილს ხომ მაინც
არ ვიმსახურებ შენგან სასჯელად?
- მკერდში ცემისგან დაღლილ ხელებს მე უბედური 145
შენ გამოგიწვდენ შორიდან ზღვაზე.

ჩემს ნაწინავებსაც დაგანახებ, აღარ შემომრჩა,
 გავედრებ შენთვის დაღვრილ ცრემლებსაც.
 თესვეს, ხომალდი მოაბრუნე, ქარს გამოჰყევი,
 თუ მკედარი დაგხვდე, ჰვლები წაიღე.

◇
 თესვესმა გადაწყვიტა ჭაბუკებისა და ქალიშვილების ხსნა, რომელთაც ყოველ ცხრა წელიწადში ერთხელ ხარკის სახით ათერი უგზავნიდა კრეტაზე მეფე მინოსს, რომელიც მათ მიუგდებდა ურჩხულ მინოტავრს. ათენელები ისჯებოდნენ იმიტომ, რომ მათ მოკლეს მინოსის ვაჟი, ანდროგეოსი. თესვესმა კომბლით მოკლა მინოტავრი და ლაბირინთიდან გამოვიდა მინოსის მეფის ასულის, არიადნას დახმარებით, რომელმაც გზის გასაკვლევად მისცა მას ძაფის გორგალი. თესვესმა მადლიერების ნიშნად, ცოლად შეირთო არიადნა და ათენისაკენ მასთან ერთად გაეშურა, გზად დასასვენებლად კუნძულ ნაქსოსზე შეჩერდნენ, თესვესს ძილში ეზმანა ბაკქუსი, რომელმაც აუწყა, რომ არიადნა უნდა მიეტოვებინა კუნძულზე, რადგან იგი ბაკქუსისათვის იყო განკუთვნილი, ასეთი იყო ღმერთთა ნება. ამგვარად, მძინარე არიადნა მიატოვა თესვესმა.

29-30 ძველების წარმოდგენით, ქარებს შეეძლოთ საგანთა ხატები გადაეადგილებინათ და მირაჟის სახით დაენახებინათ ადამიანებისათვის.

48 ოგიგიელი, ბაკქუსი.

48 იგულისხმება მინოტავრი, თესვესის მიერ მოკლული, მინოტავრი იყო არიადნას ნახევარძმა.

100 კეკროპთა მიწა, ათენი.

XI

კანაკე მაქარეუსს

- ნუ გაიკვირვებ, თუ მიიღებ გაღლაბნილ წერილს,
გაპოხილია ის ჩემი სისხლით.
- მარჯვენა ხელში კალამი მაქვს, მარცხნივ — მახვილი,
მუხლზე გაშლილი ქაღალდი მიღევს.
- რომ დაენახა, რა სახით ვწერ ამ ბარათს ჩემს ძმას,
გაიხარებდა, უთუოდ, მამა. 5
- ნეტავ ჩემს სიკვდილს შესწრებოდა, მის თვალს ენახა,
როგორ აღსრულდა მისი სურვილი.
- რომ ქართა მეფეს, უმოწყალოს შმაგი ქარივით,
მშვიდად ეცქირა ჩემს ჭრილობისთვის. 10
- იქნებ ქარებმა შეუცვალეს ბუნება ბატონს
და გრიგალივით გახდა სასტიკი.
- მას მორჩილებენ: აკვილონი, ნოტი, ზეფირი,
შენც, ევრუს, შენი მრისხანე ფრთებით.
- ქარებს იმონებს, რისხვას — ვერა, მისი ვნებანი
დიდია უფრო მის სამეფოზე. 15
- ვითომ მარგია წინაპართა სახელი დიდი,
იუპიტერთან ნათესაობა?
- რატომ მიპყრია მამ მახვილი ქალს ბასრი ხელში,
საბედისწერო ეს საჩუქარი? 20
- ნეტავ სიკვდილის ჟამი მანამ მწვეოდა, სანამ
მოგიწვებოდი გვერდით, მაკარევს,
- ნეტავ როგორც და გყვარებოდი და მეტად არა,
და ვიყავ შენი, ეს არ იკმარე.
- მეც ავევე გრძნობას და შევიგრძენ გულით ის ღმერთი,
რომელსაც აღრე არც კი ვიცნობდი. 25

- ილაჯი, ფერი დაკარგე და პირს ძლივს ვალებდი
 ორიოდ ლუკმის გადასაყლაპად.
- არც ძილი მქონდა მშვიდი, ღამე არ ილეოდა.
 კვენესოდი, თუმცა ტკივილს არ ვგრძობდი. 30
- რა მჭირდა, ამის არ ვიცოდი მიზეზი, ისიც –
 რა იყო ტრფობა, თუმცა მიყვარდა.
 მოხუცმა ძიძამ იგრძნო ჩემი უბედურება,
 მხოლოდ ის მიხვდა – გიყვარსო – მითხრა.
 თვალებით მიწას ჩავამტერდი, შემრცხვა, გავწითლდი, 35
 ასე უთქმელად გავეცი თავი.
- აი, მუცელიც გამეზარდა და გამიჭირდა
 ტარება ჩუმად ცოდვის ნაყოფის.
 არც ბალახები მშველოდა, არც სხვა რამ წამალი,
 რასაც მზრუნველი ძიძა მაძლევდა. 40
- რათა ნაყოფი საშოშივე დაღუპულიყო,
 (შენ არ გიმხედლით ოღონდაც ამას).
 პაწია ერთობ მედგარი და მძლავრი აღმოჩნდა,
 თავი როგორღაც გადაირჩინა.
- წარმტაცმა ფებემ ცაზე ცხრაჯერ გამოანათა,
 მათედ ცისკრის განდევნა შუქი, 45
 როცა ტკივილმა შემაწუხა, ვერ მიეხვდი მიზეზს
 მე, მშობიარე გამოუცდელი.
- კვიროდი, ძიძა მაჩუმებდა, პირს მიკუმავდა,
 ასე ხომ ცოდვას გასცემო შენსას. 50
- მკლავდა ტკივილი, ვერ ვბედავდი კვენესას ბედშავი,
 სირცხვილის, შიშის და ძიძის გამო.
 ვუმკლავდებოდი ტანჯვას და ხმას ვიხშობდი უმაღ,
 თუ დამცდებოდა, ცრემლებს ვყლაპავდი.
- სიკვდილს ვუსტქერდი, არ უნდოდა შეელა ლუცინას,
 სიკვდილით ცოდვას ვერ ავიცდენდი. 55

- შენ გვერდით იყავ, თმებს იწეწდი, სამოსს იგლეჯდი,
 მერე მითბობდი მკერდს შენი ხვევენით:
 ძვირფასო დაო, იცოცხლეო — მეხვეწებოდი,
 შენი სიკვდილით ორს დაღუპავო. 60
- დაე, იმედმა გაგამხნევოს, ცოლი გახდები
 ძმისა და შენი შვილის მამისა.
- მკვდარი გავცოცხლდი შენს სიტყვებზე, მენდე ასეა,
 და გაჩნდა ქვეყნად ცოდვის ნაყოფი.
 რა გიხარია? ეოლუსი სასახლეში ზის, 65
 გამოაპარებ ცოდვის კვალს მის თვალს?
 ჩვილს საფუნებში ახვევს ძიძა მოხერხებულად
 და ზეთისხილის რტოებს აფარებს.
- ვითომ რიტუალს ატარებს და ლოცვებს წარმოთქვამს,
 ხალხი გზას უთმობს, თვით ეოლოსიც. 70
- აი, მივიდა კართან უკვე, ატირდა ჩვილი,
 თვითონვე გასცა თავი პაწიამ.
- ეცა „სიწმინდეს“ ეოლუსი, ხელთ ბავშვი შერჩა,
 მეფის ყვირილმა შეძრა სასახლე.
- როგორც ნიავი აათრთოლებს მშვიდი ზღვის ტალღებს 75
 და თბილი ქარი არხვეს იფნის ტოტს,
 ასე კანკალმა ამიტანა მთელი სხეულით,
 და ძაგძაგებდა ჩემი საწოლიც.
- მომვარდა მამა, ყველას ამცნო ღრიალით ცოდვა,
 ხელი აღმართა, მაგრამ შეჩერდა. 80
- მე მთლად ვიწვოდი სირცხვილისგან და ცრემლებს ვღვრიდი
 დამუნჯებული შიშით და ზაფრით.
- დაეგდოთ ჩვილი — მამამ ბრძანა — უკაცრიელში
 ძაღლებისა და ფრინველთ საჯიჯგნად.
- მორთო ღრიალი ბავშვმა, თითქოს მიხვდა ყველაფერს, 85
 ევედრებოდა პაპას ტირილით.

- მიხედები, ალბათ, რა ხდებოდა ჩემს გულში, მძაო,
 შენაც ხომ თავად იმასვე გრძნობდი,
 როცა უსიერ ტყეში პირმშო მიჰყავდა ჩვენი
 მტერს უმოწყალოს მგლების საგლეჯად. 90
- გავიდა მამა ოთახიდან, ვიჯერე გული,
 ჩამოვიკაწრე სახე და მკერდი.
 ამ დროს შოვიდა მამის მაცნე მწუხარე სახით
 და ამაზრზენი სიტყვით მაუწყა:
 „მახვილს გიგზავნის ეოლუსი, გიბრძანებს, მიხედე,
 რაც მას სურს, რასაც შენ იმსახურებ“. 95
- ვიცი და მახვილს, სასიკვდილოს ჩავიცემ მკერდში,
 მამის ნაჩუქარს მკერდში ჩაემალავ.
 ეს არის შენი საჩუქარი, მშობელო მამავ,
 ამ მდიდარ მზითევს აძლევ ქალიშვილს? 100
- უკან წაიღე ეს ლამპარი, მოტყუებულ
 ჰიმენევს, ცოდვილ სახლს გაეცალე.
 თქვენ მომიტანეთ ჩირაღდანი, ერინიებო,
 აენტოს ჩემი სამარხის ცეცხლი.
 დებო, პარკებმა ბედნიერად დაგაქორწინონ,
 მაგრამ გახსოვდეთ ჩემი დაღუპვა. 105
- ასე ხანმოკლე რატომ ერგო ჩემს ჩვილს სიცოცხლე?
 რა დაუშავა ბიჭმა პაპამისს?
 დაიმსახურა მან სიკვდილი? არა! საბრალო
 ისჯება ჩემი ცოდვების გამო. 110
- დედის ტკივილო, ჩემო ბიჭო, ნადავლო მხეცთა,
 ვაი, გაჩენის დღეს დაღუპულო!
 ტკბილი გრძნობების უბედურო ნაყოფო ჩემო,
 შენი პირველი დღე ბოლოც არის.
 არ მაქვს საფლავთან მოსვლის ნება და დატირების,
 არც რომ კულული დავლო მოჭრილი. 115

- ვერც შენს სამარხთან დავემზობი შენს საკოცნელად,
ველური მხეცნი დაფლეთენ შენს გვამს.
- გულდაკოდილი ჩვილის აჩრდილს დავედევნები,
ხანმოკლე იყო ჩემი დედობა. 120
- შენ გვეედრები, ძმაო ჩემო, იმედო დისა,
აკრიფე ძელები შენი შვილისა
და ჩემთან ერთად ერთ სასაფლაავში დამარხე იგი,
დაგვიტევეს ვიწრო ურნა ორივეს.
- იცოცხლე, ჩვენი ჭრილობები განბანე ცრემლით, 125
ნუ შეგაშინებს სატრფოს სხეული.
- ერთს გთხოვ, სურვილი ძვირფასი დის არ დაივიწყო,
მე ავასრულებ მამის ბრძანებას.



ამ წერილის სიუჟეტი არის ინცესტური სიყვარული, ეოლოსის (ოვიდიუსის მიხედვით, ქართა მეფის) ქალიშვილს, კანაკეს შეუყვარდა თავისი ღვიძლი ძმა, მაკარევსი, რომლისგანაც შობა ვაჟი. ამ თემაზე შეუთხზავს ევრიპიდეს ტრაგედია „კანაკე“, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. მითის მიხედვით იღუპება არა მარტო კანაკე, არამედ მაკარევსიც, თუმცა ამ წერილში ეს არ ჩანს.

25 იგულისხმება ამური.

45-46 ე. ი. გავიდა ცხრა თვე.

XII

მეფე იასონს

მახსოვს, კოლხეთის მეფის ასულს შეკვლას რომ მთხიელი,
 მყისვე მოუხმე ჯადო-თილისმას.
 ბელის მრთველნი რომ ჩემს თითისტარს შემოსწყრომოდნენ
 და გაეწყვიტაო სიცოცხლის ძაფი,
 მაშინ მედღეა ნეტარ სიკვდილს ეელირსებოდი 5
 და ამ სატანჯველს არ ვიხილავდი.
 ნეტავ არასდროს შეეცურათ პელაზგებს ზღვაში
 ხომალდი ფრიქსეს ოქროს ვერძისთვის
 და არ ეხილათ კოლხებს არგო მაგნეტიდების,
 ხოლო ელინებს – წყალი ფაზისის. 10
 რად მოვიხიბლე ოქროს თმებით, შენი მშვენებით,
 ენამზეობით, იასონ, მაშინ?
 როცა ჩვენს ნაპირს უჩვეულო გემი მოადგა
 მამაც ჭაბუკთა, ნეტავი მაშინ
 უმეცარი წინ დადგომოდი მძვინვარე ხარებს 15
 და მათი ცეცხლით დაფუფქულიყავ,
 თესლი გეთესა, იმდენსავე მტერს გაიჩენდი,
 დალუპულიყავ მხენელი ხნულშივე.
 გადავრჩებოდი მზაკერობას და შენს ვერაგობას,
 არ ჩავიდენდი ცოდვას უამრავს. 20
 როცა სიკეთეს დააყვერდი უმადურს, თითქოს
 რაღაც შეებას გრძნობ, ეს სიხარული
 მაქვს ახლა შენგან. კოლხეთს გიბრძანეს წამოსვლა და
 მოხველ ჩემს ნეტარ სამფლობელოში,
 შენი საცოლუ რაც აქ არის, მეც იქ ის ვიყავ 25
 ასული მეფის აიეტიისა.

- ზღვიან ეფირეს თუ განაგებს აქ მისი მამა,
 მამაჩემს ეპყრა სკვითია ვრცელი,
 თოვლით მოცული. პატივით შეგხვდათ აიეტი
 და მოგასვენათ ოქროს ტახტებზე. 30
- შემოგხვდე და მყის ვიკითხე შენი ამბავი,
 ეს იყო ჩემი დიდი შეცდომა.
- დავკარგე გონი, უჩვეულო ცეცხლით ავენთე,
 როგორაც ფიჭვი საკურთხეველზე.
 შენმა მშვენებამ დამატყვევა, ბელისწერამაც. 35
- შენც შეამჩნიე, როგორ გიმზერდი.
 ვერაგო, იგრძენ, რომ მიჭირდა ვნების დაფარვა,
 ცეცხლს თავისივე ბუნება აელენს.
- ამასობაში დავალუბაც გადმოგცეს მეფის:
 მარსის ხარების უღლით მოდრეკა. 40
- შეგაშინებდათ ხილვა მათი მარტოდენ რქებეს,
 პირიდან საშიშ ცეცხლებს აფრქევედნენ,
 ბრინჯაოს ჰქონდათ ჩლიქნი, ნესტოც, ჩამუქებული
 ამონაბოლქვი შავი კვამლისგან.
- გიბრძანეს უხვად მიმობნევა თესლის მინდორზე,
 ხნულიდან ლაშქრის ამოსაზრდელად. 45
- ასეთ უცნაურ სამკალს როგორ გადურჩებოდი,
 მხენელს დაგიმენდნენ უმაღვე ისრებს.
- ფხიზელი მცველის დაძინება რაღაც ხერხებით –
 ბოლო მოთხოვნა აიეტისა. 50
- მეფის ბრძანებამ დაგამწუხრათ, წამოიშალნეთ,
 აიღეს ტაბლა და სავარძლები.
- შორს იყო ამ დროს კრეონტი და მისი სამეფო,
 კრეუსას, შენი საცოლის მზითვი.
- მძიმედ მიმაეალს დაგადევნე ჩემი ცრემლები,
 „ნახვამდის“ – მეთქი, ჩუმაღ წარმოვთქვი. 55

- გულდაკოდელი შევლასლასდი საძინებელში,
 ძლივს გავათენე ღამე ცრემლებში.
- წარმოვიდგინე: ხარები და მტრული ნათესი,
 დრაკონი, თვალს რომ არ ხუჭავს წამით. 60
- ხან ტრფობა, ხანაც შიში მძლევედა, აჯობა ტრფობამ.
 დილით საწოლში და შემოვიდა,
 თმაგაჩეჩილი, დამზობილი ვეგდე სარეცელს,
 ცრემლების კვალი აჩნდა ყველაფერს.
- შემომავედრა მინიები, მთხოვა მეშველა 65
 ესონიდისთვის და დამითანხმა.
- ხშირ ფიჭვნარსა და ფოთლოვანი მუხის ჭალაში,
 სადაც სხივები ძლივს წვდება მზისა,
 სამლოცველოა, იქ ღიანას ოქროს ქანდაკიც
 დგას ბარბაროსთა ხელით შემკული. 70
- გახსოვს თუ ისიც დაივიწყე, ვით შენი ცოლი?
 ჭალას შესულმა მითხარ, ცბიერო:
 „ბედმა ინება სამართალი რომ შენ განსაჯო,
 გინდა მომკლავ და გინდა დამარჩენ,
 თუ ჩემს დალუპვას მოისურვებ, არ არის ძნელი, 75
 ჩემი ხსნა სახელს შეგმატებს უფრო,
 გთხოვ, გვედრები ჩემს გასაჭირს უშველე რამე,
 გაფიცებ პაპას შენს, ყოვლისმზედველს,
 მის ვაჟს, აიეტს, გზაჯვარედინთ მფარველ ღიანას,
 თქვენს ღმერთებს, ყველას და სალოცავებს. 80
 ნუ გაგვიმეტებ, ო, ქალწულო, უცხო ჭაბუკებს,
 გამხადე მარად შენი მსახური.
 თუკი მიკადრებ ქმრად და პელაზგს არ დამიწუნებ
 (თუ მიშველიან ჩემი ღმერთები).
- უმაღლე სული გამშორდეს და ღრუბელს შეერთოს, 85
 სხვა თუ შევირთო შენ გარდა ვინმე.

- იუნო იყოს, ქორწინების მფარველი, მოწმე
და ის ქალღმერთი, ვის ტაძარშიც ვართ.“
შემძრა ქალწული მიამიტი ამ სიტყვებმა და
ხელზე შეხებამ სათუთად ხელის. 90
- ცრემლიც შეენიშნე, თვალთმაქცობდი იქნებ, რა ვიცი,
უმაღ ვირწმუნე სიტყვები შენი.
ასე რომ, ცეცხლმა არა გავნო, მოღრიკე ხარნი,
კვალი გაავლე გუთნით ყამირზე
და შხამიანი კბილნი თესლად მიმოაბნიე, 95
წამოიძარტა უმაღ ლაშქარი.
- თუმცა გიბოძე ჯადო, მაგრამ ფერდაკარგული
ვუცქერდი ისრებს როგორ გიშენდნენ,
მერე კი მტრულად დაერივნენ (ო, საოცრებავ!)
მიწის შობილნი ძმები ერთმანეთს. 100
- აი, სისინებს, იგრაგნება, ქერცლს ატკაცუნებს
ოქროს საწმისის მცველი ფხიზელი.
მეფის ასული, მისი მზითვი, ანდა ისთმოსი,
ზღვათა გამყოფი რით დაგეხმარა?
მე ვიყავ იგი (ვისაც ცოდვილს უწოდებ ახლა,
ბარბაროსსა და უპოვარს, გლახაკს), 105
ჯადო-თილისმა ვინც შეჰყარა ცეცხლოვან თვალებს,
საწმისი ხელში რომ ჩაგვარდნოდა.
- მამა გავწირე, სამეფო და სამშობლო ჩემი
და სიხარულით გამოგედევნე. 110
- ნადავლად გიძღვენ სიქალწულე უცხოელ ყაჩაღს,
ძვირფასი დედა, დაც მივატოვე,
ოღონდ შენ, ძმაო, ვერ იქნა და ვერ შეგელიე.
არა, ამის მეტს ვერაფერს ვიტყვი,
რაც ჩავიდინე, ამის წერას ვეღარ გავბედავ. 115
ჩვენც ვინმეს ასე რომ ავეკუწეთ!

- არც კი შევმკრთალეარ, მერე უფრო უშიში გავხდი.
 მივენდე ტალღებს ცოდვილი ქალი.
 ღმერთნი სად იყვნენ, ზღვის ფსკერზე რომ ღრმად ჩავემარხეთ,
 შენ ფლიდობისთვის, მე კი — ნლობისთვის. 120
- ან სიმპლეგადებს მოვესრისეთ, რომ ჩემი ძვლები
 შენს ძვლებთან ერთად ათქვეფილიყო,
 სკილას მივეგდეთ დასაგლეჯად ჩვენ ქოფაკებთან,
 ვერ იტანს იგი უჰადურ კაცებს.
 ტრინაკრიის წყალს ჩავეყლაპეთ ნეტავ მორევში, 125
 უკანვე ისევ ამოვენთხიეთ.
- მხნე და ამაყი დაუბრუნდი შენ თესალიას
 და ღმერთებს უძღვენ ოქროს საწმისი.
 რად მოვიგონო, როგორ დაჰკლეს მოსიყვარულე
 ქალიშვილებმა მეფე პელიას. 130
- დე, გამამტყუნონ სხვებმა, შენგან ვარ ქების ღირსი,
 ცოდვა დავიდე შენ გამო ბევრჯერ.
 შენ კი გაბედე თქმა, გავცლოდი სახლს ესონიდის
 და უსამართლოდ მატკინე გული.
 გავშორდი შენს სახლს, შვილები თან გამოვიყოლე, 135
 შენდამი ტრფობაც (მუდამ თან დამდევეს).
- ერთხელ შინ ვიყავ და “ჰიმენე“ მოსწვდა ჩემს ყურებს,
 ანთებულ ლამპარს მოვკარი თვალი,
 ფლეიტა ყველგან საქორწინო ჰანგებს აბნევედა,
 მე გლოვის ხმებად ჩამესმა იგი. 140
- შევშინდი, თუმცა არ ველოდი ასეთ სიმუხთლეს,
 მეკერდში ყინული ჩამიდგა თითქოს.
 ხალხი „ჰიმენეს“ გაჰყვიროდა, რაც უფრო ახლოს
 ისმოდა ხმები, ცუდად ვხდებოდი.
 ტიროდნენ ჩუმად ზურგშექცევით ჩემგან მსახურნი, 145
 ვინ მოგახარებს უბედურებას?

- მეც წავეყურე, არ მინდოდა გამეგო რამე,
 თუმცა სიავეს მიგრძნობდა გული.
- ამ დროს უმცროსი ვაჟი კარის ზღურბლთან შეჩერდა,
 მოყვინე ბრბო რომ დაენახა. 150
- წადიო, მითხრა, მამა უძღვის მაყრიონს ცხენით,
 ოქროს სამოსში არის მორთული.
- ტანთ გაეძარცვე, დავიგლიჯე გულ-მკერდი ბრაზით,
 სახე ფრჩხილებით სულ დავიხოკე.
- ბრბოში შევარდნა მოვინდომე, გვირგვინი თავზე
 რომ ამეგლიჯა მეტოქისათვის. 155
- ძლივს შევიკავე თავი, თმებში რომ არ ეწვედნოდი,
 არ დამეყვირა: ჩემია-მეთქი.
- იხარეთ ყველამ: მამაჩემო, თქვენაც, კოლხებო,
 და ძმის აჩრდილო, მიიღეთ მსხვერპლი. 160
- მან მიმატოვა, ერთადერთი ვინც იყო ჩემთვის,
 ვისთვისაც დავთმე სამშობლო, სახლი.
- შმაგი ხარები და დრაკონი დავიმორჩილე,
 შენარჩუნება ვერ შევძელ ქმრისა.
- ჯადო-თილისმით გავენელე ალი გიზგიზა
 და ვერ ჩავიქრე მკერდში ხანძარი. 165
- არც ჯადო მშველის, არც შელოცვა, არც ბალახები,
 აღარც ჰეკატეს საკურთხეველი.
- არც გათენება მახარებს და არც — დაღამება,
 მშვიდი სიზმრები სანატრელი მაქვს. 170
- დრაკონს მოვკვარე რული, თავად ვერ შევძელ ძილი,
 სხვას ვეხმარები, ჩემს თავს კი ვერა.
- ვინც დავიხსენი, ახლა იგი სხვის მკლავებშია,
 სხვა ტკბება ჩემი შრომის ნაყოფით.
- ვინ იცის, იქნებ სულელ ცოლთან თავს იწონებ და
 ცდილობ გაართო ჩემზე საუბრით. 175

- ზნეს მიწუნებ და გარეგნობას, ცილს მწამებ იქნებ,
რომ აკისკისო ჩემს ნაკლზე იგი.
- მეწამულ ტახტზე გაწოლილი იცინის გულით,
იტირებს, დაწვავს კოცონი ჩემი, 180
- ვიდრე მახვილი ხელთ მიპყრია, ცეცხლი და შხამი,
თავს ვერ დააღწევს ჩემს რისხვას მტერი.
- ჩემი ვედრება თუ მოგილობს მაგ ქვასავით გულს,
მოკრძალებული ისმინე თხოვნა:
- ბავედრებელი ახლა მე ვარ, როგორც შენ იყავი, 185
მზად ვარ მუხლებზეც დავეცე შენ წინ.
- მე თუ არაფრად მაგდებ, შეილებს რას ემართლები?
ავ დედინაცვალს ჩაუგდებ ხელში?
- ალი და კვალი არის შენი ორივე ვაჟი,
მათ შეხედვაზე ცრემლი მადგება. 190
- გაფიცებ ღმერთებს, პაპაჩემის ცეცხლოვან სხივებს,
ჩემს სიყვარულს და ჩვენს ვაჟიშვილებს,
- სარეცელს ვითხოვ ჩვენსას, რასაც შეეწირე ყველა,
დაიცავ ფიცი, შენც დამეხმარე.
- ბრძოლას ხარებთან არ გიბრძანებ, არც მეომრებთან 195
და არც ღრაკონის დამარცხებას გთხოვ.
- შენი თავი მსურს, შენ მამა ხარ ჩემი ვაჟების,
მოვითხოვ, რაც მე დავიმსახურე.
- მზითვს ითხოვ? იგი იმ ველზეა, შენ რომ გიბრძანეს
მოგენნა ოქროს საწმისისათვის. 200
- ვერძი ოქროსი, მოკაშკაშე, მზითვია ჩემი,
რომც მოვისურვო, არც დამიბრუნებ,
- მზითვია ჩემი, შენ გიხსენი და ჭაბუკებიც.
მაშ, შეადარე სიზიფეს ოქროს.
- შენ რომ ცოცხლობ და გყავს მდიდარი სიმამრი, ცოლი, 205
ჩემი წყალობით გაქვს ყველაფერი.

მე რას ვაპირებ, ჩემს სასჯელზე არაფერს ვიტყვი,
 დიდი მუქარა მზადდება გულში,
 მივეყვები რისხვას, თუმცა იქნებ ვინანო ბოლოს,
 ვწუზვარ, ვერაგ ქმარს რომ დავეხმარე. 210
 ღმერთო, რა ცეცხლი მიტრიალებს, რა მემართიება?
 არ ვიცი ჯერაც, რას მოვიფიქრებ.



ისევე როგორც VI წერილში, აქაც არგონავტების ცნობილი მითია დამუშავებული, იასონისაგან უარყოფილი მედეა, რომელმაც ორი ვაჟი უშვა ბერძენ გმირს, აყვედრის იასონს დახმარებას ოქროს საწმისის მოპოვებაში. მას ჯერ არა აქვს მოფიქრებული საშინელი შურისძიება, რომლის მომზადებასაც აპირებს. ამ წერილში აშკარად იგრძნობა აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკისა“ და ევრიპიდეს „მედეას“ გავლენა.

3-4 იგულისხმებიან პარკები, რომლებიც რთავდნენ ადამიანის სიცოცხლის ძაფს.

13 „არგო“ უჩვეულო გემი იყო, რადგან მის ჭვინტს ზევსის წმინდა მუხისგან გამოთლილი მორი ამშვენებდა, რომელიც თავად ათენამ დაამაგრა. იგი მეტყველი იყო,

62 და, ქალკიოპე.

78 იგულისხმება ჰელიოსი.

115-116 საუბარია მედეას მიერ ძმის, აბსირტეს, მკვლელობაზე.

129-130 იგულისხმება მედეას მიერ იასონის ბიძის, პელიასის, დაღუპვა.

XIII

ლაოლაშია პროტმსილაჲს

- ჰემონიდან გესაღმები, ჩემო მეუღლე,
 მშვიდობით გეელოს, გისურვებ ამას.
 თურმე ავლიდში ქარის გამო შეყოვნებულხართ,
 ნეტავი ჩვენთან ჩაკეტილიყავ
 და დაეღეწა გრიგალს აქვე ხომალდის ხოფნი, 5
 რას ეიხარებდი შმაგი ტალღებით!
 გულს ვიჯერებდი შენი კოცნით, ღარიგებებით,
 რამდენი რამე დამრჩა სათქმელი.
 ჩქარობდი, რადგან ზღვისკენ წყნარი გიხმობდათ ქარი,
 საამო თქვენთვის, ჩემთვის კი — არა. 10
 მეზღვაურთათვის სანუკვარი, სატრფოსთვის — არა.
 ჩამეხვიე და გამშორდი სწრაფად,
 გინდოდა რალაც გეთქვა, მაგრამ გაგიწყდა სიტყვა,
 მეც სევდიანად გითხარ: „ნახვამდის“.
 უცებ მოვარდა ქარიშხალი, ეცა იაღქნებს, 15
 ბედად გაასწარ, მეუღლე ჩემო.
 თვალსაწიერზე სანამ ჩანდი, გიცქერდი დიდხანს,
 ვლამობდი შენი მზერის დაჭერას.
 მალე დაგკარგე. მივაშტერდი ახლა იაღქნებს,
 ვერ ვაშორებდი თვალებს შენს ხომალდს. 20
 მალე აფრებიც მიიმალა, შენ — მასზე ადრე.
 მხოლოდ ზღვის სივრცე მოჩანდა ირგვლივ.
 შენ წახვედი და შუქიც გაგყვა, მწუხრი ჩამოწვა,
 ფეხთ მომკვეთია თურმე მაშინვე.
 ძლივს მომაბრუნა მამამთილმა, მითხრეს, ცივი წყლით, 25
 პაპა აკასტემ, მწუხარე დეღამ.

- არ დამანებეს სიკვდილს, მათი ეს იყო ვალი,
 ვწუხვარ, ამაოდ რომ გაისარჯნენ.
- სული ჩავიდგი და ტკივილიც მყის განმიაზლდა,
 გულს სიყვარული მიკოდავს წრფელი. 30
- არც თმების ვარცხნა მსიამოვნებს, არც – ოქროს სირმით
 მოქარგულ კაბის ტანზე მორგება.
- თითქოს ბაკქუსი თავის ვაზის კვერთხით შემეზო,
 ისე დავძრწვიარ გაშმაგებული. 35
- ფილაკიელნი მეზვევიან ქალნი ყვირილით,
 დედოფლის სამოსს რად არ იცვამო.
- მეწამულისფრად შეღებილი ვატარო კაბა,
 როცა ის ტროის კედლებთან იბრძვის?
- დალალდაწული ახალ სამოსს ვაფრიალებდე,
 ის ხმალს იქნევდეს ჩაფხუტით თავზე? 40
- თალხებს ჩავიცვამ ნიშნად შენი განსაცდელისა
 და გავატარებ ომის წლებს სევდით.
- ავო სტუმარო, მტერი მაინც იყავ მოწყალე,
 ლამაზო პარის, სამშობლოს ჭირო!
- ნეტავ ელენე უსახური მოგჩვენებოდა,
 ან ის შენით არ მოხიბლულიყო. 45
- შურისძიებას, მენელაოს, მეუღლის გამო
 ბევრი მსხვერპლი და ცრემლი მოჰყვება.
- ღმერთო, წყალობა მოგვივლინეთ, იუპიტერს რომ
 შესწირონ ხმლები ჩვენმა კაცებმა. 50
- რამდენჯერაც ომს გაეიხსენებ, ჩამომდის ცრემლი
 ვით ნიაღვარი თოვლის დნობისას.
- ტროის, ქსანთუსის, ტენედოსის, სიმოისის და
 იდის სახელზე მაჟრჟოლებს შიშით.
- ვერ გაბედავდა მოტაცებას პარისი ქალის,
 რომ დაცვა მისი არ შეძლებოდა. 55

- მდიდრულად მორთულს და მოკაზმულს შვენოდა თურმე
ტანთ ფრიგიული ოქრო მრავალი.
- ფლოტიც თან ახლდა და ლაშქარი, ომს სხვა რა უნდა?
მაგრამ რა შერჩა მას სამეფოსგან? 60
- ლედას ასულიო, დაგატყვევა, ვფიქრობ, სიმდიდრით,
ის დანაელთაც ამით დაღუპავს.
- ჰექტორს არ ვიცნობ, მაგრამ მზარავს, პარისი ამბობს,
მის ძმას ფიცხელი ომი არ აკრთობს.
- კინც უნდა იყოს! თუ გიყვარვარ, ერიღე ჰექტორს,
მუდამ გახსოვდეს სახელი მისი, 65
- მას გაექეცი, ფრთხილად იყავ, ყველა მებრძოლში
ჰექტორის სახე გელანდებოდეს.
- არ დაგავიწყდეს, შეიბრაღე შენ ლაოდამია,
ეს დარიგება გახსოვდეს ომში. 70
- არგოსელთ ხელით ტროა თუკი უნდა დაემზოს,
დაეცეს ისე, შენ არა გევენოს.
- მენელაოსმა, დე, იბრძოლოს, აოტოს მტერი
და გამოსტაცოს მტრის ლაშქარს ცოლი.
- ხმლით მოიპოვოს გამარჯვება სამართლიანად
და იხსნას ასე მეუღლე ქმარმა. 75
- შენ სხვა ვალი გაქვს, ბრძოლა გამართებს დასაბრუნებლად,
რომ ჩაეხვიო მკერდში მეუღლეს.
- დარდანიდებო, გთხოვთ, დაინდეთ ეს ერთი მტერი,
რომ ჩემი სისხლიც არ დაიდვაროს. 80
- იგი არა ჰგავს მას, ვინაც ხმლით მიიწვევს მტერზე,
შიშველი მკერდით მიდის მახვილზე.
- ბრძოლაში არა, მეზნებარეა ის სიყვარულში,
დე მას უყვარდეს, იბრძოლონ სხვებმა.
- მსურდა ყვირილით უკან მესმე, ენა ვერ დაეძარ,
ცუდი ნიშანი არ იყოს-მეთქი. 85

- ომში მიმავალს, მამისეულ სახლის კარებთან
 ფეხი დაგიცდა, ცუდად მენიშნა.
 კენესა აღმოძხდა, გავიმაგრე გული სიტყვებით:
 „შინ დაბრუნების ნიშანი იყოს“.
- 90
- ამას ახლა გწერ, რათა ომში არ გათამამდე,
 ეცადე, ჩემი დარდი ქარს გაჰყვეს.
 ნეტავ პირველი ფეხს ვინ დადგამს ტროის მიწაზე,
 ერგება ხვედრი ბედისგან მწარე.
- 95
- საბრალო ქალი, ვინც პირველი ქმარს დაიტირებს,
 ღმერთებო, სულსწრაფს ნუ გახდით ჩემს ქმარს.
 ათას ზომალდში მეთათსე, დე, იყოს შენი
 და დაღლილ ტალღებს აპობდეს ბოლო.
- ესეც გახსოვდეს, სხვაზე უწინ გემს ნუ დატოვებ,
 სად გერქარება, მშობლიურ კუთხეს?
- 100
- აფრა, ზოფები უკან გზაზე გამოიყენე
 და მოაშურე შენს სანაპიროს.
 დილით და ღამით შენზე ვწუხვარ, ანათებს ფებუს
 სხივებით მიწას, თუ ცაზე არ ჩანს,
 უფრო კი მწუხრში. სანეტარო ღამე ის არის,
 თუ თავი გიღვეს სატრფოს მკლავებზე.
- 105
- ვწევარ საწოლში მარტოკა და სიზმრებს ვიხსენებ,
 და გულს ვიმშვიდებ ცრუ იმედებით.
 ნეტავ ფერმკრთალი რად მეჩვენა მე შენი სახე?
 რა გაწუხებდა, რატომ ჩიოდი?
- 110
- გამოვიღვიძე, შევევედრე ღმერთებს სიზმრისთვის,
 ყველგან შევწირე ცისიერთ მსხვერპლი.
 საკმეველს ცრემლიც ჩაეაყოლე, ავარდა ალი,
 თითქოსდა ცეცხლზე მოვასხი ღვინო.
- როდის იქნება, ვნებიანად შემოგხვევ მკლავებს
 ღონემიხდილი სიხარულისგან.
- 115

- როდის იქნება, ტახტზე ჩემთან ჩაკონებული
 მიამბობ შენი გმირობის ამბებს.
 თხრობას, საამოს მოსასმენად მოჰყვება ზოგჯერ
 თავდავიწყებით კოცნა გაუური. 120
- ტკბილმოუბარი ამის შემდეგ ზდება მოხრობელი,
 ნაწყვეტ საუბრებს აქვს თავის ზიბლი.
 როდესაც ტროა მაგონდება, ქარები და ზღვა,
 ქრება იმედი და შიში მიჰყრობს.
 იმაზეც ვშფოთავ, როცა ქარი არ გაძლევთ ნებას,
 არ შეაცუროთ ზღვაში ხომალდი. 125
- ამ დროს შინაც რომ ბრუნდებოდე, არ უნდა გსურდეს,
 მით უფრო სხვაგან წასვლა სახლიდან.
 თავად ნეტუნმა გზა ჩაკეტა თვის ქალაქისკენ,
 თქვენ სად გარბიხართ? დაბრუნდით უკან. 130
- სად გექქარებათ, დანაელნო, ქარებს უსმინეთ,
 ღვთის ნება გიშლით, გზა რომ განაგრძოთ.
 ასეთ ბრძოლაში რატომ იწვეთ ურცხვი ქალისთვის?
 სანამ დრო არის, მოცურდით უკან.
 რას ვამბობ, უკან მოხმობა ხომ ცუდს მოასწავებს,
 დაე, დაჰბეროს ზურგქარმა თქვენთვის. 135
- ტროელ ქალთა მშურს, შეუძლიათ დანახვა მტერთა,
 თავისიანთა დაცემა ველზე.
 მამაც ქმარს ცოლი გაუსწორებს მუზარადს ხელით
 და მტრის საჭურველს მიიტანს მასთან. 140
- დაიშახურებს კოცნას ქმრისას ცოლი, ეს გარჯა
 სიხარულს მოჰგვრის ორივეს ერთად.
 ქმარს გააცილებს, ამ სიტყვებით მისცემს იარაღს:
 „შესწირე მალე ის იუპიტერს“.
 იგი მორჩილად მოუსმენს და სახლს გადახედავს,
 ჰპირდება, რომ თავს გაუფრთხილდება. 145

- მოტრიალდება ქმარი უცებ, ცოლი საჭურველს
მოხსნის და მკერდში ჩაეკონება.
- მე კი არ ვიცი, რა მომელის, მაშინებს საფრთხე
და მეღანდება უბედურება. 150
- სანამ შენ იბრძვი იარაღით ხელში ამ ომში,
მე ვტკბები შენი ცვილის ქანდაკით.
- ისიც სიამით ისმენს სიტყვებს, ჩემს საალერსოს,
ჩემს ხვეწნაზედაც არ ამბობს უარს.
- მენდე, ნამდვილი მეჩვენება ზოგჯერ ეს სახე, 155
ეს არის მხოლოდ, რომ ხმა არა აქვს.
- მას ვუყურებ და ქმრის მაგივრად ვეხვევი მაგრად,
თითქოს შეეძლოს ჩემი ნუგეში.
- შენს დაბრუნებას გეფიცები და ჩემს ღმერთებსაც,
ცოლქმრულ ჩირაღდანს. ფიცს ერთგულების 160
და შენს თავს (ომში გადარჩენილს, მოგვიანებით
თმებზე დათოვლილს ლამაზ ჭადარით),
- თან გამოგყვები თუ მომიხმობ, გინდაც ცოცხალი...
(არ მინდა რამე ცუდი წამომცდეს).
- ახლა ისმინე დარიგება ჩემი, რასაც გწერ, 165
თუ გსურს ვიცოცხლო, თავს გაუფრთხილდი.



ორაკულის მისნობის თანახმად, ტროის მიწაზე ვინც პირველად
დაადგამდა ფეხს აქაველ მებრძოლთაგან, დაიღუპებოდა, ეს აღ-
მოჩნდა თესალიელი პროტესილაე, რომელიც ჰექტორის ხელით
განგმირული დაეცა. მისმა მეუღლემ ქმრის სიკვდილის შემდეგ თა-
ვად მოისწრაფა სიცოცხლე. ამ წერილში, რომელსაც ლაოდამია
ავლისში უამინდობის გამო შეჩერებულ პროტესილაეს უგზავნის,
აფრთხილებს, მოერიდოს ჰექტორთან შეხვედრას, რადგან გული
ცუდს ეუბნება.

43 ავ სტუმარში პარისია ნაგულისხმევი, რადგან სპარტაში
სტუმრობისას მოიტაცა მან ელენე.

144 ბერძნები (ასევე რომაელები) გამარჯვების შემდეგ ღმერთს
(ამ შემთხვევაში იუპიტერ-ზევსს) სწირავდნენ იარაღს,

XIV

ჰიპერმნესტრა ლინკმესს

- მშებში ერთადერთს, ვინც გადურჩი სარძლოს მზაკრობას,
 გიგზაენის ბარათს შენ ჰიპერმნესტრა.
- გამომწყვდეული ვარ სახლში და მადევს ხუნდები,
 ვისჯები შენი შებრალებისთვის.
- ბრალს მდებენ, ყელი ვერ გამოგჭერ, ეს ვერაგობა 5
 რომ ჩამედინა, მომიწონებდნენ.
- სჯობს დავისაჯო მამაჩემის ურჩობისათვის,
 რომ სისხლში ხელი არ გავისვარე.
- დე, დამიშანთოს მამამ სახე წმინდა ჩირადღნით,
 ჩემს საქორწინოდ რომ ენთო სახლში. 10
- ჩამცეს მახვილი, რითაც ქმარი უნდა მომეკლა.
 მისი ხსნისათვის უნდა ვზლო ცოლმა.
- არა, თავს არ ვგრძნობ დამნაშავედ სიკვდილის წინაც,
 სათაკილოა ქმნა სიკეთისა?
- მონანიება ჩემს დებს მართებთ ვერაგობისთვის, 15
 სინდისის ქენჯნა მოსდევს მზაკრობას.
- სული მიშფოთავს, რომ ვიგონებ იმ სასტიკ ღამეს,
 შიშისგან ხელი კვლავ მიკანკალებს,
- ფიქრობ, შევძლებდი ქმრის დაღუპვას, როცა წერაც კი
 მიჭირს ამდაგვარ ბოროტებაზე? 20
- ვეცდები მაინც. ის-ის იყო, ჩამოწვა ბინდი,
 დღე მიიწურა, დაღამდა უკვე.
- მაღალ პელაზგის ღარბაზებში თვით მამამთილი
 შეგეხვდა პატარძლებს, საჭურველასხმულთ.
- ოქროს შანდლები ელვარებდა და უღვთო აღი 25
 არასასურველ კერიას ენთო.

- ბრბო „ჰიმენეთი“ ღმერთს უხმობდა, იგი გარბოდა,
იუნოც თავის ქალაქს ტოვებდა.
- აი, ისინიც, ყვავილების გვირგვინით თავზე,
მოდინან მთვრალნი, მზლებლებთან ერთად. 30
- მზნედ მოიწევენ სასაკლავო სარეცლებისკენ,
ჭმუჭნიან ზეწრებს, სუდარას თვისას.
- ღრმა ძილს მიეცნენ ნაყროვანნი ჭამა-სმისაგან
და დაეუფლა არგოსს სიმშვიდე. 35
- უეცრად გმინვა მომაკედავთა მომესმა, არა!
ნაღდად ისმოდა ახდა ყოველი.
- სისხლი ძარღვებში გაშეყინა, დაეკარგე გონი,
სარეცელს ვეგდე გაცივებული.
- როგორც ზეფირი არხევს ჯეჯილს, ან ქარი ცივი
ჭადრის ხის ფოთლებს შეაშრიალებს, 40
- მეც ასე ვთრთოდი, იქნებ მეტად, შენ კი გეძინა,
ბანგივით იყო ღვინო, რაც გასვი.
- შეურაცხყოფილ მამის ნებას დავემორჩილე,
შიშს ვძლიე, მახვილს დაეწვდი სიფრთხილით.
- არ ვცრუობ, სამგზის შევეცადე, რომ მომექნია, 45
სამჯერ უმწეოდ დაუშვი ხელი.
- ყელს მოგაბჯინე (ნება მომეც სიმართლე გითხრა),
ჰო, მოგიღერე მახვილი მამის.
- ღვთისმოსაობამ, შიშმაც სძლია ბოროტ განზრახვას,
არ დამმორჩილდნენ სუფთა ხელები. 50
- თმაგაწეწილმა ტანთ სამოსი შემოვიძარცვე
და დაბალი ხმით თავს შევუძახე:
- „ნუ ეურჩები სასტიკ მამას შენ, ჰიპერმნესტრა,
და გაუყენე ძმების კვალს ქმარი.“
- მაგრამ ქალი ვარ, ახალგაზრდა, ბუნებით ნაზი, 55
მახვილის ჭერას არ ვარ ჩვეული,

- რალას აყოვნებ, სანამ სძინავს, მიბაძე შენს ღებს,
 ალბათ გამოსჭრა ყველამ ქმარს ყელი.
 თუ ამ ხელს ძალუმს ჩაიდინოს მკვლელობა, მაშინ
 დე, შეიღებოს ჩემივე სისხლით. 60
- სამეფოს გამო შურისგება ღირდა, თუკი მას
 ბოლოს სიძეებს დაურიგებდი?
 დაიმსახურეს მათ სიკვდილი, ჩვენ რა ბრალი გვაქვს,
 არ მინდა სისხლი, არა მაქვს ნება?
 რად მინდა ხმალი ქალს ხელში და მახვილი ბასრი,
 ჩემი საქმეა ძაფი და მატყლი, 65
- და სანამ ასე ეწუწუნებდი, წამსკდა ტირილი,
 ცრემლები შენს ტანს ეპკურებოდა.
 შენ ძილ-ბურანში მკლავს იწვდიდი ჩემს მოსახვევად,
 კინადამ ხელი მოგიხვდა მახვილს, 70
- შევშინდი, დილას არ მოესწრო, მამას ან მსახურთ
 და ამ სიტყვებით ძილი დაგიფრთხე:
 „ადექ, ბელიდო, ძმებში მხოლოდ შენ ხარ ცოცხალი,
 არ გექცეს ღამე უკანასკნელად.“
 წამოხტი სწრაფად, გამოფხიზლდი, თვალი შეაველე
 მახვილს, ხელში რომ მიკანკალებდა. 75
- სანამ ღამეა, თავს უშველე – ეუთხარ დაბნეულს,
 გაქრი წყვილიდში, მე აქ დაერჩები.
 გათენდა. მამამ დაზოცილი სასიძოვები
 გადაითვალა, ერთი არ ჩანდა. 80
- გაბრაზდა, გვაძი ვერსად რომ ვერ აღმოაჩინა,
 გაშმაგდა, მსხვერპლი ეჩვენა ცოტა.
 ძლივს გამომგლიჯეს მამის ფეხებს, დილეგს ჩამაგდეს,
 სათნოებისთვის ეს მერგო ჯილდოდ.
 ჩანს, რომ იუნო ისევ ჯავრობს ჩვენზე, რომ ქალი
 ჯერ ძროხად იქცა, მერე – ქალღმერთად. 85

- განა სასჯელი ის არ იყო, პირმშენიერი
სატრფო აღმუვლდა იუპიტერის?
ძროხადქცეული დადგა ზღვასთან, მამის სამშობლოს,
წყალს ჩახედა და რქებს მოჰკრა თვალი, 90
სცადა ეყვირა და ბლავილი აღმოხდა მწარე.
ხმაც ეუცხოვა და გარეგნობაც.
რატომ წრიალებ. უბედურო, დასცქერი შენს ჩრდილს,
რად ითელი ფეხი თუ რამდენი გაქვს?
იუნო შენზე ეჭვიანობს, ხარჭაზე ქმრისა, 95
აწ ხის ყლორტებით მოიკლავ შიმშილს,
დაეწაფები წყაროს, შენი შეგაკართობს სახე,
შეგეშინდება შენივე რქების.
მდიდარი იყავ, სასურველი იუპიტერის,
ახლა შიშველი დაეხეტები. 100
დაძრწი მშობლიურ ჭალებში და წყლის სანაპიროს,
გზას გითმობს მიწა, ზღვა და მდინარე.
რას გაურბიხარ, სად მიჰყვები წყლის გრძელ დინებას?
ვერ გაექცევი შენს ახალ სახეს.
სად გეჩქარება, ინაქიდო? შენს კვალსვე მისდევ. 105
წინამძღოლიც და მდეუარიც შენ ხარ.
შვიდტოტად ზღვაში ჩამდინარე ნილოსი შეძლებს,
ძროხას კვლავ მოგცეს ქალწულის სახე.
მაგრამ გარდასულ ამბებს რატომ ვიგონებ, თითქოს
ახლა არ მქონდეს სადარდებელი. 110
მამა ძმას ებრძვის, სამეფო და სახლი წაგვართვეს
და შევეფარეთ შორეულ მხარეს.
ბიძამ ჩაიგლო კვერთხი, ჩვენ კი დაეძრწივართ ქვეყნად,
მოხუც მამასთან ერთად დატაკნი.
ძმათა ლაშქრიდან ერთადერთი დარჩი ცოცხალი, 115
დარდი მაქვს ყველას, ვინც დაიღუპა.

- მე და დაკარგე იმდენივე, რამდენიც ძმები,
ორივე მხარეს დავტირი ერთად.
შენს გადარჩენას ვეწირები. თუკი სიკეთე
ისჯება, ცოდვა რას იმსახურებს? 120
- ასნი ვიყავით ყველა ერთად, ბიძაშვილები,
მეასე უნდა მოვკვდე ძმის გამო?
თუ ფიქრობ ჩემზე, ლინკეჟს, ჩემი გადარდებს ბელი,
თუ იყავ ღირსი ჩემი სიკეთის,
ან მომეშველე, ანდა მომკალ. სიკვდილის შემდეგ 125
ფარულად გვამი კოცონზე დაწვი,
ძვლები დამარხე, დამიტირე გულწრფელი ცრემლით
და წააწერე სამარხზე ასე:
„აქ ჰიპერმენესტრა განისვენებს, ძმის გადამრჩენმა
ჯილდოდ სიკვდილი დაიმსახურა.“ 130
- მინდოდა ბევრი მომეწერა, მაგრამ ზუნდები
მამძიმებს, შიშიც ძალ-ღონეს მაცლის.



დანაოსს მამამ, ბელუსმა სამემკვიდროდ მისცა ლიბია, ხოლო მის
ტყუპისცალ ძმას, ეგვიპტოსს – მისი შემოგარენი, ამ უკანასკნელ-
მა წაართვა თავისი კუთვნილი მიწა დანაოსს, რომელიც იძულებუ-
ლი იყო არგოსისათვის შეეფარებინა თავი. ეგვიპტოსმა ძმას შე-
რიგების ნიშნად შესთავაზა თავისი 50 ქალიშვილი მიეთხოვებინა
ეგვიპტოსის 50 ვაჟისათვის. დანაოსი დათანხმდა, ქალიშვილებს კი
უბრძანა, ქორწინების ღამეს დაეხოცათ თავიანთი ქმრები. მხოლოდ
ჰიპერმენესტრამ ვერ გაიმეტა ლინკეჟი და სიცოცხლე აჩუქა მას.
43 შეურაცხყოფილი მამა, ე. ი. დანაოსი, რომელსაც ძმამ ტახტი
წაართვა.

73 ლინკეჟის იყო მდინარის ღმერთას, ინაქოსის შთამომავალი.

85-86 მეტოქეზე, იოზე განრისხებულმა იუნომ იგი ძროხად აქცია. ჰიპერმნესტრა ფიქრობს, რომ იუნო ყველა ქალზე ჯავრობს, ვინც იოს შთაბოძავალია, დანაოსი იყო იუპიტერისა და იოს შვილიშვილი.

XV

საშო ფაონს

- შორიდან იცნობ ალბათ ჩემს ხელს, როცა დახედავ
ბარათს, ასობს, ფაქიზად ნაწერს.
- საფოს სახელი რომ კიდევაც არ წაგეკითხა,
არ მიხვდებოდი, მოკლედ ვინცა წერს?
იქნებ იკითხო, ასეთ ლექსებს რატომ ვწერ, როცა 5
მიჩვეული ვარ ლირიკულ საზომს.
- სევდიან ტრფობას ჩემსას შვენის ელეგიები,
ღირა ჩემს ცრემლებს არ მოუხდება.
- აღაღანებულ ჯეჯილს როგორც მოაშთობს ქარი,
ხვატი მხურვალე, მეც ასე ვიწვი. 10
- შენ დასეირნობ ეტნის ძირას, ფაონ, მე თითქოს
მედება ეტნის გიზგიზა ცეცხლი.
- ველარ ვახერხებ სიმღერები შევუწყო ღირას,
ვის რად სჭირდება ლექსი უსულო.
- არ მიზიდავენ ქალწულები არც ლესბოსელნი, 15
პირიელნი, არც მეტიმნიელნი.
- არც თეთრი კვილო მზიბლავს და არც ანაქტორიე,
მზერას არ მტაცებს აღარც ათისი,
- სხვა გოგონებიც, ვინც მიყვარდა არც თუ უმწიკვლოდ,
უღირსო, ყველა შენ განაცვალე. 20
- მშვენიერ ჭაბუკს დროსტარების წლები გაქვს ახლა.
ო, შენი სახე მიბრძავებს თვალებს.
- ღირა გაკლია და კაპარჭი, აპოლონს ჰგავხარ,
რქები რომ გქონდეს, იქნები ბაკქუს.
- ფებუსს უყვარდა დაფნე, ბაკქუსს — კნოსელი ქალი, 25
ლექსის წერა კი არც ერთს შეეძლო.

- მე პეგასიდნი მკარნახობენ უნაზეს სტროფებს,
ჩემი სახელი გაისმის ყველგან.
- ასეთი ქება თვით ალკეოსს არ ღირსებია,
ჩემს თანამოძმეს, უდიდეს პოეტს. 30
- თუ სილამაზე არ მიბოძა ბუნებამ ძუნწმა,
ნიჭით შეავსო ეს ნაკლი ჩემი.
- ტანმორჩილი ვარ, სახელი კი მაქვს ქვეყნად დიდი,
სახელი არის საზომი ჩემი. 35
- არა ვარ თეთრი, ანდრომედაც კეფენელთ მსგავსად
შავტუხა იყო, პერსეუსის სატროფო.
- თეთრიც და შავიც ღულუნებენ მტრედები ერთად,
ეტანებიან შავ გვრიტს ფერადნი.
- თუ ფიქრობ, შენი საკადრისი არ ვარ მშვენებით,
შენსავით ლამაზს შენ ვერ იპოვი. 40
- ლექსის კითხვისას მომხიბლავი გეჩვენებოდი,
ამბობდი, რომ ვარ ტკბილმოუბარი.
- ბევრჯერ ყოფილა, მახსოვს, ამას რა დამავიწყებს,
სიმღერას კოცნით მაწყვეტილებდი.
- ხმასაც მიქებდი, ყველაფერი მოგწონდა ჩემი,
როს ტროფობის ქსელში გავეხვეოდით. 45
- გართობდა მაშინ მიხვრა-მოხვრა ნაზად სხეულის,
ხუმრობები და ანცობა ჩემი.
- როდესაც ვნებით დავთვრებოდით ორივე ერთად,
სხეულს სიმშვიდე ეუფლებოდა. 50
- სიცილიელი ტყვე გყავს ახლა, სიამოვნებით
გავცვლიდი ლესბოსს სიცილიაზე.
- გამოაძევეთ მაწანწალა თქვენი ქვეყნიდან,
ნიზედიელნო ქალნო, ქალწულნო!
- და ნუ გაცდუნებთ მისი ენა ალერსიანი,
რომლითაც ბევრი აქ მოუხიბლავს. 55

- ქალღმერთო ვენუს, სიკანუსის ხშირო სტუმარო,
 უშველე რამე შენს ქურუმს, საფოს.
 არ შეიცვლება ვითომ ბუდი ჩემდამი მტრული?
 მუხანათური იქნება მუდამ? 60
- ექვსი წლის ვიყავ, რომ დაეკარგე დედა უდროოდ,
 ცრემლით დავნამე ცხედარი მისი.
 მეძავის გამო ძმამ ქონება გაანიავა
 და სამარცხვინო ზარალი ნახა.
 თავის სიბრიყვით გალატაკდა, ახლა უჭკუოდ 65
 გასამდიდრებლად დაცურავს ზღვაზე.
 მე შემძებულა რჩევების და ერთგულებისთვის,
 აი, ეს მიყო პირდაპირობამ.
- და თითქოს მაკლდა განსაცდელი, ზედ დამემატა
 ჩემს გოგონაზე ფიქრი და ზრუნვა. 70
 ახლა კი მხოლოდ შენ მაწამებ, არ მიაქროლებს
 ჩემს ხომალდს ქარი სასურველ მხარეს.
 არ ვზრუნავ, თმები, აბურდული მოვიწესრიგო,
 არ ვილამაზებ თითებს ბეჭდებით. 75
 უბრალოდ ვიცვამ, ოქროს სარჭი არ მიკეთია,
 თმებს არაბული სურნელი არ სდის.
 ვის მოვაწონო თავი, რისთვის გამოვიპრანჭო
 მე, უბედური, შენ აქ არა ხარ.
 არ არის ძნელი ჩემი გულის ისრებით დაჭრა
 და ამიტომაც სულ მუდამ მიყვარს. 80
- ბედის ქალღმერთნი ალბათ გორგალს ნატიფ ძაფისგან
 ახვეედნენ, როცა ვიბადებოდი.
 მუხათ მსახური რომ ვარ, რბილი მაქვს ხასიათი,
 ნაზი ბუნება მომცა თალიამ.
 ახალშეღინდლულ ბიჭის ასაკს რად დავეზარბე, 85
 ასეთს მოხუცი კაცნიც ეტრფიან.

- ვშიშობდი, იგი არ წაერთვა ავრორას ჩემთვის,
 მაგრამ მას უკვე ჰყავდა კეფალუს.
 თვალი რომ ჰკიდოს მას ფებუსმა, ყოვლისმხედველმა,
 დააძინებდა ფაონს ხანგრძლივად. 90
- გააქროლებდა მას ვენუსი ბრწყინავი ეტლით,
 მაგრამ გრძნობს, მარსსაც მოეწონება.
 კარგ ასაკში ხარ, არც ბიჭი ხარ და არც ჭაბუკი,
 თანატოლებში გამორჩეული. 95
- მოდი, ლამაზო, ჩამეხვიე, სიყვარულს არ გთხოვ,
 ნება მიბოძე, რომ მე მიყვარდე.
 ვწერ და ცრემლებით თავისთავად მევსება თვალი,
 ნახე, რამდენი ლაქა აქვს ბარათს.
 გამგზავრებას თუ აპირებდი, განშორებისას
 ის მაინც გეტქვა: „ნახვამდის, საფო!“ 100
- არ გაგყოლია ჩემი ცრემლი და არც ამბორი,
 არ მქონდა შიში, რომ გულს მატკენდი.
 რაც შენგან მახსოვს, არის მხოლოდ უსამართლობა,
 ჩემგან სახსოვრად არაფერი გაქვს.
 არ მითხოვია რამე შენთვის, თუმცა კი ამას
 გეტყვოდი ალბათ: „არ დამივიწყო“. 105
- ამურს ვფიცავარ, ვინც არასდროს განმშორებია
 და მასთან ერთად ჩემს ცხრა ღვთაებას,
 როცა მაუწყეს, დაგტოვაო შენმა ნუგეშმა,
 დავმუნჯდი, გავშრი, ვერც აქევითინდი. 110
- ცრემლი გამიშრა, ხმა ჩამიწყდა, ენა ვერ დაეძარ
 და ყინულივით გამიხდა გული.
 როცა ტკივილი დამიყურდა, არ მომერიდა,
 თმაც გავიწეწე, მუშტებიც ვირტყი.
 ვაჟის დამკარგავ დედას ვგავდი, აგიზგიზებულ
 კოცონთან შვილის გვამი რომ მიაქვს. 115

- ქარაქსუსს, ჩემს ძმას, უხარია ჩემი ტკივილი,
ტრიალებს ჩემ წინ, ამივლ-ჩამივლის.
ჩემს მწუხარებას სამარცხვინოდ მიიჩნევს, ამბობს:
„რად ტირის, შვილი ზომ ცოცხალი ჰყავს.“ 120
- რიდი და ტრფობა ერთმანეთში ვერ თავსდება,
მიხილა ყველამ მკერდმოლეღილი.
მე მაინც შენზე ვფიქრობ, ფაონ, სიზმრებში გხედავ,
დღესავით ნათელ, ფერად სიზმრებში.
- აქ გხედავ ჩემთან, თუმცა შორს ხარ ჩემი ქვეყნიდან, 125
მაგრამ ზმანება მალევე წყდება.
- ვხედავ ამასაც, შენს მკლავებზე მიდევს მე თავი,
ხან ჩემს ხელებზე დაყრდნობილ შენს თავს.
ხშირად ვგრძნობ კოცნას შენსას, ენით მოაღერსებას
და ტკბილ ამბორზე ამბორით ჰასუსს. 130
- ხან ალერსიან სიტყვით თითქოს გესაუბრები
(და მთელი ღამე თრთის ჩემი ბაგე),
მერე – რაც ხდება, თქმის მრცხვენია, მაგრამ ასეა.
ნეტარებაა, მხოლოდ უშენოდ.
- მალე ტიტანმა გაანათა ირგვლივ ყოველი, 135
შეეწუხდი, სწრაფად შეწყდა სიზმარი,
დასამშვიდებლად მივაშურე ჭალას და მღვიმეს,
ჩემი განცხრომის უტყუარ მოწმეთ.
- იქ მივირბინე ვით შეშლილმა, შმაგმა ერიხთომ,
ყელზე მეხვია თმები გაშლილი. 140
- გამოჩნდა ტუფისთაღიანი, უხეში მღვიმეც,
მარმარილოსი ის იყო ჩემთვის.
- აი, ის ჭალაც, დაბურული ხშირი ფოთლებით,
გვიყვარდა ერთად აქ წამოწოლა.
- მაგრამ სად არის ამ ტყისა და ჩემი ბატონი, 145
ამ მიწას, ადგილს ის ამშვენებდა.

- ვიცანი მდელიც, გათელილი, ნორჩი ყლორტები
გადაზნექილი ტანის სიმძიმით.
- იქ გავიშოტე, იმ ადგილას, სადაც შენ იწექ,
დავნამე მოლი ჩემი ცრემლებით. 150
- თითქოს ფოთლები შეუჭკნათო ტოტებს სევდისგან,
ჩიტებიც ტკბილად აღარ გალობდნენ,
მხოლოდ გოდებდა დავკლიდელი ჩიტი იტისზე,
შურისმგებელი დედა, მწუხარე.
- იტისს დასტირის პროკნე, საფო – დაკარგულ სატრფოს, 155
არის სიჩუმე ღამისეული.
- აქ არის წყარო თავანკარა, ბროლზე კამკამა,
სწამთ, რომ ღვთაება ბინადრობს მასში.
- ზემთ წყლის ლოტოსს გაუშლია ფართოდ ფოთლები,
იქვე ჭალაში ბიბინებს მოლი. 160
- როცა მტირალმა მოვისურვე იქ მოსვენება,
ერთ-ერთ ნაიადს მოკარი თვალი.
- დადგა და მითხრა: „რადგან ცეცხლი გწვავს უსამართლო,
ამბრაკიაში ჩახვიდე უნდა.
- უებუსი მაღლით გადმოხედავს ზღვას აქტიისა, 165
მას ლეკვადუსსაც უწოდებს ხალხი.
- სწორედ აქ ტრფობით ანთებული დეკალიონი
ზღვაში ჩაეშვა, დარჩა უვნებლად.
- მისი ვნება კი პირას ნაზ გულს მიეახლა და
შვება შეიგრძნო დეკალიონმა. 170
- ლეკვადუსის ზღვას ეს წესად აქვს, მიდი, უშიშრად
იქ გადაეშვი მაღალი კლდიდან“.
- თქვა და მიწყდა ხმა. მე კი უმალ ზე წამოვიჭერ,
არ შემშრობოდა ჯერაც ცრემლები.
- მივდივარ, ნიმფავ, მივაშურებ იმ შენს ნაცნობ კლდეს, 175
დაძლიოს შიში გიყურმა ვნებამ.

- რაც უნდა მოხდეს, უარესი რაღა იქნება,
 ქარო, მიშველე, აღარ ვარ მძიმე.
- ამურო, ფრთები მომაგებე, ჩემი სიკვდილით
 ლეეკადის ზღვამ არ ატაროს ცოდვა. 180
- ფებუსს მივართმევ საკრავს ძვირფასს, კუს ბაკნისაგან,
 ზედ ორიოდ სიტყვას წავაწერ:
- „ამ ლირას გიძღვნის მადლიერი საფო შენ, ფებუს,
 შენც გშვენის იგი და მეც შემფერის“.
- რად მგზავნი საწყალს მე აქტიის სანაპიროსთან, 185
 შენ გამეჩეცი, შენვე დაბრუნდი.
- ლეეკადის წყალზე უკეთესი წამალი შენ ხარ,
 შენ ფებუსი ხარ ჩემთვის, ლამაზი.
- კლდეზე საშიშო, ზღვის ტალღებზე დაუნდობელო,
 სახელს შეგმატებს სიკვდილი ჩემი? 190
- გადმოსახტომად კლდეს ჩავეკრა? არ მირჩევნია,
 შენ ჩაგეკონო მხურვალე მკერდით?
- რომლისთვის ქებას შენ არასდროს არ იშურებდი
 და ჩემი ნიჭის წყაროდ მიგაჩნდა.
- დარდი მავიწყებს ხელოვნებას, ენამჭვერობას, 195
 ყველაფერს მართმევს უბედურება.
- აღარ მაქვს ძალი ძველებურად ლექსების წერის,
 დუმს სევდისაგან ლირა და პლექტრა.
- ლესბოსელებო, პატარძლებო, საპატარძლონო,
 ეოლიური ლირით ქებულნო, 200
- ლესბოსის ქალნო, შემირცხვინეთ სახელი ტრფობით,
 აწ ნულარ მოხვალთ ჩემს კითარასთან.
- რაც თქვენ მოგწონდათ, გაიყოლა ის თან ფაონმა
 (მინდოდა მეთქვა: „ჩემმა ფაონმა“).
- თუ გსურთ რომ საფო დაგიბრუნდეთ, ის დამიბრუნეთ. 205
 ჩემს ნიჭს ის აძლევს ძალას და ართმევს.

შევძლებ ვედრებით შევძრა მისი უხეში გული?

თუ ზეფირს მიაქვს თხოვნა ამაო,
ჯობდა კი ამ ქარს შენი აფრა მოეგლო ჩემთან,
ჭკუა რომ გქონდეს, თავადვე მოხვალ. 210

დაბრუნდი ოლონდ, მსხვერპლს ვამზადებ კეთილი გზისთვის.

რატომ აყოენებ და გულს რად მიხეთქ.
ახსენი ღუზა, გზას გაგიხსნის ვენუსი ზღვაზე,
ზღვისგან შობილი, ქარიც გიშველის. 215
თვითონ კუპიდო შემოჯდება ხომალდის ჭვინტზე,
ნაზი ხელებით მართავს შენს აფრებს.

თუ გულით გინდა შორს გაექცე პელაზგიდ საფოს,
მიზეზს ვერ იტყვი, რა დავაშავე.

წერილით მაინც გამიმხილე ეს სისასტიკე
და მივენდობი ლეკკადის ტალღებს. 220

◇
გადმოცემის თანახმად, ბერძენ პოეტ ქალს, საფოს უყვარდა უმშვე-
ნიერესი ჭაბუკი, ქალთა გულების მპყრობელი, ფაონი. როცა იგი
სიცილიაში გადასახლდა და იქ ახალი სატრფო გაიჩინა, საფომ
თავი მოიკლა.

85-86 მამაკაცების ტრფიალი ნორჩი ჭაბუკებისადმი არ იყო უცხო
ანტიკურ სამყაროში.

108 ცხრა ღვთაება, ცხრა მუზა.

154 დავლიდელი ჩიტი, მერცხლადქცეული პროკნე, თავისი შვი-
ლის, იტიისის მკვლეელი.

201 მინიშნება საფოს არატრადიციულ ორიენტაციაზე.

XVI

პარისი ელენეს

- გისურვებ იყავ ბედნიერი, ლედას ასულო,
რომ მეც ვიხარო შენი სიკეთით.
- რა გითხრა, ფიცი არ სჭირდება სიყვარულს ჩემსას,
ცნობილი არის იგი ყველასთვის.
- ჯობდა იმ დრომდე დამეფარა, ვიდრე ამ გრძნობას 5
არ დაჩრდილაგდა ნაღველი მწარე.
- მაგრამ ვერ ვმაღავ მე ჩემს ხანძარს, ცეცხლი მყისიერ
თავს იჩენს ხოლმე თავისი შუქით.
- თუ მაინც გინდა დავამტკიცო საქმე სიტყვებით,
„ვიწვი“ – ეს არის ჩემი პასუხი. 10
- გთხოვ, მკაცრი სახით ნუ დაიწყებ კითხვას ბარათის,
პირმშვენიერი იყავ, როგორც ხარ.
- ვნეტარებ, როცა წარმოვიდგენ, იღებ ჩემს წერილს,
იმედს მისახავს ეს უკვე გულში.
- ნეტავ ვენუსის დაპირება ამიხდეს მართლა, 15
გამაბედვინა მან ეს მგზავრობა.
- ღვთაების ნებით მე მოვიღივარ, იცოდე კარგად,
იგი ხელს უწყობს ჩემს მტკიცე სურვილს.
- კითერეასგან დაპირებულ დიდ ჯილდოს ველი,
ჩემს სარეცელთან გიხილავ მალე. 20
- ფერეკლეს ხომალდს გამოვეყევი ტროის ქვეყნიდან,
ძნელ გზას დავადექ შორეულ ზღვაზე.
- ქალღმერთ ვენუსმა დამადევნა ზურგქარი ნაზი,
ხელეწიფება მას, ზღვისგან შობილს,
- დააცხროს გულის მხურვალეობა, ასევე ზღვისა, 25
და ჩამიყვანოს სასურველ მხარეს.
- ძლიერი ვნება (რაც ვერ ვპოვე ჩემს სამშობლოში)

- იყო მიზეზი შორეულ გზისა.
 აქ ქარმა როდი შემომავლო, ანდა შეცდომამ,
 მივქროდი სპარტის ქვეყნისკენ გემით. 30
 ფიქრობ, სავაჭროდ გადმოვლაზე ეს ზღვა ხომალდით?
 არა, ღმერთების ნებაა იგი.
 არც სპარტის ნახვა მწადადა გულით, განთქმული არის
 სამეფო ჩემი თავის სიძლიდრით.
 შენი ხილვა მსურს, ზომ შეძიარდა შენს თავს ენუსი. 35
 მიყვარდი მანამ, სანამ გნახავდი.
 გონებით ადრე გაგიცანი, ვიდრე თვალებით,
 მესმოდა ქება შენი მშვენების.
 ისარს, შორიდან ნატყორცნსაც კი დიდი ძალა აქვს.
 გასაკვირვია, რომ შემიყვარდი? 40
 ბედს ასე ნებავს, ნუ ეცდები უარყო იგი,
 გულით მიიღე ჩემი სიტყვები.
 თავის საშოში მატარებდა ჯერ ისევ ღელა,
 დრო რომ მოვიდა ჩემი გაჩენის,
 სიზმარში ნახა ჩირაღდანი უზარმაზარი, 45
 თითქოს ეს ცეცხლი თავად დაბადა.
 შიშით წამოხტა და დაუფრთხო ძილი პრიამოსს,
 უხმეს ორაკულს, მან კი განმარტა:
 ტროა-ილიონს გადაწვავსო ცეცხლი პარისის.
 ეს ცეცხლი გულის ჩირაღდანია. 50
 სილადითა და სილამაზით დიდებულს ვგავდი,
 თუმცა მდაბიო ვეგონე ყველას.
 იღის ჭალაში მივარდნილი მდელაო ერთი,
 ფიჭვებისა და მუხის კორომი.
 არ აძოვებენ იქ მშვიდ ცხვრებს და ღრუნჩიან მოზვრებს, 55
 არც კლდეზე მცოცავ, მოუსვენარ თხებს.
 მეც ამ მდელოზე ვისვენებდი, ხეს მიყრდნობილი,
 გავცქერდი ქალაქს, ზღვასა და სახლებს.

- აი, უცნაურ ნაბიჯებით შეირყა მიწა
(სიმართლეს გეტყვით, თუმცა გაუგონარს), 60
მოფრინდა ჩემთან სწრაფი ფრთებით დიდი ატლანტის
და პლეიონის შთამომავალი.
- ნეტავ შემეძლოს გადმოცემა, რაც მე ვიხილე.
ღმერთს ოქროს წკნელი ეჭირა ხელში,
სამი ქალღმერთი მოლზე იდგა ნაზი ფეხებით: 65
იუნო, ვენუს, ათენა პალას.
- გავშეშდი, შიშით გავშრი, თმები დამიდგა ყალყზე.
„ნუ შიშობ“, მითხრა შიკრიკმა ღმერთმა,
ქალღმერთთა დავის გადაწყვეტა შენ ერთს მოგენდო,
ვინ არის სამში ულამაზესი. 70
- დავთანხმდი, რადგან იუპიტერს უბრძანებია.
გამშორდა ღმერთი, აფრინდა ცაში.
- უცებ გონება გამინათდა და გავთამამდი,
ავხედ-დავხედე ცალ-ცალკე ყველას,
სამივე იყო გამარჯვების ღირსი, ამიტომ 75
მე მსაჯულობას მანდობდნენ დავის.
- ყველაზე მეტად სამ ქალღმერთში მომხიბლა ერთმა,
ვინც ყველას ტრფობის ცეცხლით ალაგზნებს.
- გულით უნდოდათ გამარჯვება, ამის სანაცვლოდ
ძალაუფლებით მხიბლავდა ცოლი 80
იუპიტერის, ათენა კი – საომარ ძალით,
ვეჭვობ, მინდოდა მე სიმამაცე?
- ვენუსმა ტკბილად გამიღიმა: „პარის, რად გინდა
ეს საჩუქრები, ხიფათით საესე.
ლამაზი ლედას ასულს გიძღვნი, უმშვენნიერესს, 85
რომ შეიყვარო და მოეხვიო“.
- მე ვამჯობინე საჩუქარი ტურფა ვენუსის,
ის კმაყოფილი გაფრინდა ცისკენ.

- ამასობაში ბედი ჩემკენ შემოტრიალდა,
 მეფემ შემიცნო თავისი ვაჟი 90
 და სიხარულით სასახლეში მიმიღეს მამის,
 ეს დღე ტროაში ზეიმაღ იქცა.
 ვეტროფოდი ქალწულთ, სასურველი მეც ვიყავ მათთვის,
 მარადი მხოლოდ შენთვის ვიქნები.
- მოვწონდი ასულთ, არა მარტო მეფის სარდლების, 95
 ნიმფათა ტროფობის საგანიც ვიყავ.
 ენონის სახით მოვიხიბლე, მაგრამ ტროაში
 მე ვერსად ვპოვე შენი სადარი.
 დამალა ყველას ყურადღებამ, მერე გამოჩნდა
 იმედი შენი ცოლად შერთვისა. 100
 ძილისგან დაღლილს რომ ჩამთვლემდა, მელანდებოდი,
 დღისით და ღამით, სულ ჩემთან იყავ.
 რას იზამ, როცა მიხილავ? მე გეტროფოდი უცნობს,
 შორიდან მწვავე ცეცხლით ვიწვოდი. 105
 ვეღარ შევძელი, რომ მეცხოვრა ხანგრძლივ იმედით,
 არ მენდო ზღვისთვის სურვილი ჩემი.
 ფრიგიულ ცულით შეესივნენ ტროის ფიჭვნარებს
 (ამ ხის მერქანი უძლებს ზღვის ტალღებს),
 გარგარის მთაზე სულ გაჩეხეს ტყის მასივები,
 უხვად დააწყვეს იღის მორები. 110
 ხომალდებს ფსკერი გაუმაგრეს მტკიცე მუხებით,
 ამოაშენეს ფერდები მრუდე.
 გაჩნდა ქანდარაც, მოფრიალე აფრები ძელზე
 და გემის ჭვინტზე — ქანდაკნი ღმერთთა.
 ჩემს ხომალდზე კი მოხატული ქალღმერთი იდგა 115
 ყრმა კუპიდონით, ქომაგი ჩენი.
 როცა დასრულდა საბოლოოდ აგება ფლოტის,
 ტალღა მიწვევდა სამოგზაუროდ.

- მაგრამ მშობლები წინ აღუდგნენ ამ ჩემს განზრახვას,
მიწლიდნენ წასვლას და მაყოვნებდნენ. 120
- როდესაც აფრებს ამზადებდნენ, და გამოვარდა
ჩემი, კასანდრა გაშლილი თმებით;
„საით მიიწეე?“ მომაკივლა — „ხანძარს მოიტან,
დიდ ცეცხლს გიმზადებს ეს ზღვის ტალღები“.
- სიმართლე ითქვა მისნის ბაგით, ვიპოვე ცეცხლი, 125
გიჟური ვნება გულს მიდაგავდა.
- ნავსადგურიდან გამოსული ზურგქართ ნაპირს
მოვადექ შენსას, ებალის ნიმფავ.
- შემომეგება შენი ქმარი დიდი პატივით,
ღვთის ნება იყო ეს ყველაფერი. 130
- მან მომატარა მთელი სპარტა და ყველაფერი
მიჩვენა, რასაც საჭიროდ თვლიდა.
- არ გამქცევია თვალი არსად, შენი ნაქები
მშვენიერების ხილვას დანატრულს.
- როცა შეგზედე, გავშრი, ვიგრძენ, აღტაცებისგან 135
გული ამევსო უცნაურ გრძნობით.
- ქალღმერთის სახე გამახსენდა, როს კითერეა
ჩემთან მოვიდა განაჩენისთვის.
- შენც რომ მწვეოდი მოპაექრედ ქალღმერთებისა,
ვეჭვობ, რომ ჯილდო რგებოდა ვენუსს. 140
- შენს საარაკო სიტურფეზე რას არ ჰყვებოდნენ,
შენს სილამაზეს იცნობდნენ ყველგან.
- აღმოსავლეთში ტოლს ვერ გიღებს მშვენიერებით
ვერც ერთი ქალი, ვერც ფრიგიაში.
- ეგ სილამაზე ღირსი არის მეტი დიდების, 145
შენ იმსახურებ ჭეშმარიტ ქებას.
- ვენუსმა გაქო, მე შეჩვენე ლამაზი უფრო,
სიტურფემ შენზე ხოტბა დაჩრდილა.

- ამ ხმების გამო იყო, თესვეს რომ შეუყვარდი,
 შენ მოტაცების ღირსად ჩავთვალა, 150
 როცა შიშველი ვარჯიშობდი, როგორც წესია,
 შიშველ ვაჟებთან შენ პალესტრაზე.
 მოტაცებისთვის ვაქებ, მაგრამ რად დაგაბრუნა?
 ამ ძვირფას ნადავლს რად შეეელა?
 ჩემ სარეცლიდან ვიდრე შენს თავს ვინმე წამართმევს, 155
 მიჯობს ჩემს კისერს მოშორდეს თავი.
 ანდა მე თვითონ ხელს გაგიშვებ, მოვითმენ ამას,
 ჩემს მკერდს ჩაკრული რომ წაგიყვანონ?
 ან თუ დაგთმობდი, რამეს მაინც დავიტოვებდი,
 ხელს წამიკრავდა ვენუსიც ცოტას, 160
 ან ქალწულობას წაგართმევდი, ან მის სანაცვლოდ,
 ერთს ვნებიანად ჩაგეხვეოდი.
 ოღონდ მომენდე, ჩემს სიმტკიცეს გაიგებ შერე,
 ჩემს ცეცხლს სამარხის ცეცხლი ჩააქრობს.
 მე შენი თავი ვამჯობინე მეფურ დიდებას, 165
 იუპიტერის ცოლის საჩუქარს.
 დიდი სიქველევ დავიწუნე, ათენას ძღვენი,
 რომ მოგხვეოდი ყელზე, ძვირფასო.
 არ ვნანობ, ბრიყვულს ჩემს არჩევანს თუ უწოდებენ,
 ურყევი არის ჩემი სურვილი. 170
 ნუ დაუშვებ, რომ იმედს ჩემსას გაუჩნდეს ბზარი,
 შენს დასაპყრობად ღირს ტანჯვის თმენა.
 არ ვარ მდაბიო, ღირსეული მინდა მეუღლე,
 შენ არ შეგრცხვება ჩემი ცოლობის.
 პლეადა ჩემი მოდგმისაა, იუპიტერიც, 175
 სხვა პაპებზე რომ არაფერი ვთქვა.
 მამის სამეფო ვრცელი არის, უკიდევანო
 და უმდიდრესი მთელს აზიაში.

- ურიცხვ ქალაქს და სასახლეებს ოქროსას ნახავ,
იტყვი, ტაძრები არისო ღმერთთა. 180
- იხილავ ტროას, მაღალ კოშკებს, უმტკიცეს ზღუედეს,
ნაგებს ფეხუსის ლირის პანგებით.
- რა უნდა გითხრა მამაც ვაჟთა ურიცხვ ლაშქარზე,
ამდენ ხალხს ძლიელა იტევს ეს მიწა.
- შემოგებხევა ტროელ ქალთა გუნდი, ფრიგიელ 185
ქალწულთა დასი ააესებს დარბაზს.
- რამდენჯერ იტყვი: „აქაია რა ღარიბია,
ქალაქში ერთ სახლს თუ ნახავ მდიდრულს“.
- მე არ ვიწუნებ შენს სპარტასაც, სადაც შობილხარ,
ის მიწა ჩემთვის სანუკვარია. 190
- მარამ შენს სახეს არ შეჰფერის ეს მწირი მხარე,
შენ ფუფუნებით უნდა იცხოვრო.
- მაგ სილამაზეს მოუხდება კაბები ბოწის,
ლხინი, გართობა, მხიარულება.
- როცა იხილავ მორთულობას ჩვენი კაცების, 195
იფიქრებ, ქალთა სამოსი არის.
- ოღონდ დამთანხმდი და მიიღე ქმრად ფრიგიელი,
თერაპნის მხარეს დაბადებული.
- ის ფრიგიელიც ჩემი მოღმბის იყო, ვინც ახლა
ღმერთებს ურიგებს ნექტარს, წყალნარევს, 200
- ავრორას ქმარიც აქაური გახლდათ, ქალღმერთმა
შუალამისას ცად აიყვანა.
- ანჭიზეც იყო ჩვენი მხრიდან იყო, იდის მთის ძირას
მას შეეუღლა ამურის ღელა.
- არც მენელაოსს დააყენებ ჩემზე წინ, ვფიქრობ, 205
თუ შეადარებ ჩვენს წლებს და ასაკს.
- თუმცა ვერ გიძღენი მამამთილად, ვინც განარიდა
ბილწ სადილს სხივნი და სწრაფი ეტლი.

- არ აწევს სისხლი პრიაძოსის მამას სიმამრის,
 დანაშაული მირტოის ზღვაზე. 210
- ხელს არ იწვდიდა ჩემი პაპა ვაშლის ტოტისკენ,
 წყურვილის სტიგიის წყლით ვერ იკლავდა,
 თუმც რად ვიხსენებ ამას, როცა იუპიტერი
 პაპაა შენი და მამამთილიც. 215
- ვაი, რას ვითმენ, ნეტარებით რამდენი ღამე
 შენი უღირსი ქმარი გეხვევა.
- უკანასკნელად თვალი მოგკარ გაშლილ სუფრასთან,
 რა გულისტკენა ვიგრძენი მაშინ.
- ჩვენს სტუმრებს, ალბათ, სიამოვნებთ ასეთი ღზინი.
 მეც მოძწონს ხშირად რომ მოაქვთ ღვინო. 220
- მწყინს, როცა ჩემი თანდასწრებით, სტუმრის წინაშე
 ეგ ხეპრე ურცხვად რომ გეფერება.
- შურისგან გავსკდი... (იქნებ არ ვთქვა?) რომ შემოგზვია
 მოსასხამი და გაგიტოლო ტანი. 225
- როცა ერთმანეთს ეამბორეთ უნაზეს კოცნით,
 ავიღე თასი და წინ დავიდგი.
- თვალი დაეხარე, როცა მაგრად ჩაგიკრა გულში,
 ლუკმა კინალამ ყელს გამეჩხირა.
- ოხვრა აღმომხდა ბევრჯერ (ეს შენც შენიშნე, ვიცი),
 ძლივს იკავებდი თავს სიცილისგან. 230
- ვეცადე ღვინით რომ ჩამექრო ხანძარი გულის,
 მაგრამ ცეცხლს ცეცხლი ემატებოდა.
- შევატრიალე თავი, რომ არ მეცქირა თქვენთვის,
 მაგრამ უხმობდი ჩემს თვალებს შორით.
- რა ვქნა, არ ვიცი, შენი ცქერა ტკივილს მაყენებს,
 უფრო მეტ ღარდს კი - შენი არხილვა. 235
- რაც შემძლია ჩემს სიშმაგეს ვებრძვი და ვძალავ,
 მაგრამ ფარული ვნება თავს იჩენს.

- არ ვიტყუები, ჩემს იარას თავადაც ზედავ,
 ნეტავ მხოლოდ შენ ამჩნევლე ამას. 240
- ოი, რამდენჯერ მოვაბრუნე თავი მტირალმა,
 რომ არ ეხილათ ჩემი ცრემლები.
 მთერალს სხვის ტრფობაზე მიაშხნია, სინამდვილეში
 ჩემს სიყვარულის ამბავს ვყვებოდი.
- სხვისი სახელით გადმოვეცი ჩემი განცდები. 245
- იგი მე ვიყავ... შეყვარებული.
 ბევრჯერ სიმთვრალეც მოვიგონე, რომ კადნიერად
 და თავზედურად მელაპარაკა.
- მახსოვს, ტუნიკა გეცვა ერთხელ, გულმოღებული,
 მე ამ სიშიშვლემ მომტაცა მზერა. 250
- ქათქათა იყო შენი მკერდი თოვლზე და რძეზე,
 ლედას ჩახვეულ იუპიტერზეც.
 სანახაობამ გამაოცა, მოულოდნელმა
 და გამივარდა ხელიდან თასი.
- როცა ქალიშვილს, ჰერმიონეს ეამბორები, 255
- მის ნორჩ ღაწვიდან ვიტაცებ კოცნას,
 ახლახან ძველი ტრფობის ამბავს ვყვებოდი ლაღად
 და ვსაუბრობდი შენთან უსიტყვოდ.
- გაებედე და შენს ამხანაგებს: ეთრას, კლიმენეს
 მიუახლოვდი ტკბილი საუბრით. 260
- სიტყვა არ უთქვამთ, შეშინდნენ კი და ჩემი თხოვნა
 ყურად არ იღეს, გამშორდნენ ჩუმაღ.
- ღმერთების ნებით, დაე, ჯილდო, აღქმებული მერგოს,
 ტურფა ელენე მიბოძონ მსაჯულს.
- ვით ჰიპომენეს ბრძოლის შემდეგ ზედა ატალანტა, 265
- ჰიპოდამია ერგო ფრიგიელს,
 რქა მოამტვრია აქელოუსს ალკიდესმა და
 მერე გასწია საცოლისაკენ.

- მეც რომ ამგვარად სითამამე გამომეჩინა,
 მოგიპოვებდი დიდ შრომის ფასად. 270
- მაგრამ მუხლებზე მოგეხვიო, ის დამრჩენია,
 თუ ნებას დამრთავ და შეგევედრო.
- შენ ტყუბი ძმების მშვენება ხარ, იუპიტერი
 ქმრად შეგფერს, მაგრამ შვილი ხარ მისი. 275
- სიგეის ყურეს, ვით საცოლეს ჩემსას ჩაგიყვან,
 ან ტენარაში დავრჩები მძევლად.
- მსუბუქად როდი შეხებია ისრები ჩემს მკერდს,
 ძვლამდე დავიდა თითქმის ჭრილობა.
- მახსოვს, მიმისნა დამ, კასანდრამ, რომ ღვთიურ ისრით
 დავიჭრებოდი, მართალი უთქვამს. 280
- ხელს ნუ კრავ ბედის ძღვენს, ელენე, მიიღე იგი,
 დე, შენს სურვილებს წყალობდნენ ღმერთნი.
- ბევრ რამეს ვფიქრობ, მაგრამ გეტყვი იღუმალ ღამეს,
 თუკი მიმიღებ შენს სარეცელში. 285
- იქნებ გრცხვენია ქმრის ღალატის, ან გეშინია
 ცოლქმრულ სარეცლის შეურაცხყოფის?
- გულუბრყვილო ხარ და სულელი, თუ იმას ფიქრობ,
 ცოდვას აიცდენ შენი მშვენებით.
- ან შეიცვალე სახე, ანდა ნუ ხარ სასტიკი,
 ასეთ სიტურფეს კდვმა გაურბის. 290
- ფარული ტრფობა მოსწონს ვენუსს, იუპიტერსაც,
 შენს მამად იქცა აკრძალულ ვნებით.
- უბიწოდ თავს ვერ შეინახავ, იმ მოდგმისა ხარ,
 იუპიტერის და ლედას შვილი.
- წმინდა იქნები, თუ ტროაში დარჩები ჩემთან,
 დე, შენი ცოდვა მე ვიყო მხოლოდ. 295
- რასაც შევცოდავთ, ქორწინებით გამოვისყიდით,
 თუ აღთქმულ სიტყვას ვენუს არ გასტეხს.

- ხელს მიწყობს შენი ქმარი საქმით და არა — სიტყვით,
რომ გამეცალა სტუმარს დროულად. 300
- საოცარია, აქამომდე დრო ვერ მოძებნა,
კუნძულ კრეტაზე გასამგზავრებლად.
წასვლის წინ ცოლი დაარიგა: აბა, შენ იცი,
სტუმარს გიტოვებ, მიმიხედო.
- ვხედავ, მეუღლის დავალებას რომ არ ასრულებ
და შენს სტუმარზე სულაც არ ზრუნავ. 305
- მჯერა, უგულო შენი ქმარი ხვდება, რომ ასეთ
დიდ საუნჯეს ფლობს, შენს სილამაზეს?
მან რომ იცოდეს შენი ფასი, რას ფიქრობ, უცხო
სტუმარს ანდობდა თავის სიმდიდრეს? 310
- რაკილა სიტყვა, ვნება ჩემი შენ არ გაღელვებს,
თავს ვინუგეშებ შენი ხილვითაც.
შენს სულელ ქმარზე ბევრად ბრიყვი ვიქნებით, თუკი
არ ვისარგებლებთ ჩვენ ერთად ყოფნით. 315
- თავისი ნებით ჩაგაბარა შენს სატროფოს ქმარმა,
გამოიყენე მისი სისუსტე.
ეულად წევხარ, გრძელ ღამეებს ატარებ ასე,
მეც მარტო ვგდივარ ჩემს სარეცელზე.
შეგვაღულაბოს, დე, საერთო ჩვენ ნეტარებამ,
ღამე იქნება ნათელი ღლეზე. 320
- ყველა ღვთაებას დავიფიცებ მე შენ წინაშე,
შენს წმინდანებსაც შევევედრები.
და თუ მტკიცაა ჩემი რწმენა, დაუყონებლივ
გზას გაგიყენებ ჩემი ქვეყნისკენ.
- თუ გერიდება, არ თქვან, რომ მე გამომედევნე,
ჩემს თავზე ვიღებ ამ დანაშაულს. 325
- რადგან მივბაძავ ეგეიდს და პოლუქსს და კასტორს,
მათ ამბებს სხვაზე უკეთ შენ იცნობ.

- შენ მოგიტაცა თესვესმა, მათ — ლეეკიპიდები,
 მე კი მეოთხე მაგალითად მომიგონებენ. 330
- აქვეა ფლოტი, ტროელების, გმირებით სავსე,
 სწრაფი ხოფებით ქარს გაჰყვებიან.
- ვით დედოფალი, ისე ჩაზვალ დარდანელთ ქალაქს,
 ახალ ქალღმერთად მიგიჩნევს ხალხი. 335
- სადაც კი შეხვალ, აენტება დარიჩინის ხე,
 შეწირულ ცხოველს დასცემენ მიწას.
- ძღვენს მოგართმევენ: მამაჩემი, დედა, და-ძმანი,
 სხვა ქალწულებიც და მთელი ტროა.
- არა, ეს მხოლოდ ნაწილია საჩუქრებისა,
 ბევრად უფრო მეტს ნახავ, ვიდრე გწერ. 340
- ნუ შიშობ, რომ შენს მოტაცებას ომი მოჰყვება
 და დაგადევნებს ელადა გმირებს.
- გსმენია ბრძოლით დაბრუნება გატაცებულის?
 მენდე, ფუჭია ეგ შენი შიში.
- აკვილონს ჰყავდა ერიხთიდი მოტაცებული 345
 და არ ამტყდარა ომი ბისტონში.
- ესონიდს გაჰყვა ფაზისელი ახალ ხომალდით,
 კოლხნი ელადას არ შესევიან.
- გამტაცებელმა შენმა მინოსს წაჰგვარა ქალი,
 არ დაურაზმავს მეფეს კრეტელნი. 350
- შიში საფრთხეზე უფრო მეტად სახიფათოა,
 შერცხვება შემდეგ მხდალს თავის შიშის.
- და თუ დაუშვებ, რომ ატყდება ომი სასტიკი,
 ძალ-ღონე მერჩის და მასვილიც მაქვს.
- ტოლს არ დაუდებს აზიელთა ლაშქარი თქვენსას 355
 გმირთა სიმრავლით, მარდი ცხენებით.
- სიმამაცეში ვერ მაჯობებს მენელაოსი
 და ვერც საომარ ხელოვნებაში.

- ჯერ კიდევ ბავშვმა გამოვტაცე მტერს ჯოგი ჩემი,
სახელიც ამის ნიშნად შემარქვეს. 360
- ყმაწვილი ვიყავ, ჭაბუკთ შორის რომ გავიმარჯვე,
ვძლიე დეიფობს და ილიონეესს.
- თუ ფიქრობ, ცდები, საშიში ვარ მხოლოდ პირისპირ,
ჩემი ისარი ხედება მიზანში.
- ნუთუ შეძლებ, რომ სიჭაბუკე აქო მეუღლის,
ასწავლო ჩემი მას ხელოვნება? 365
- ყველაფერი რომ მისცე, ძმა ხომ არ ჰყავს, ჰექტორი,
ლაშქრის დიდება და ბრწყინვალება.
- ვერც წარმოიდგენ, რა ძალას ვფლობ, რა შემოქმედია,
როგორი კაცის მეუღლე ხდები. 370
- ან არ ატყდება ომი შენი დაბრუნებისთვის,
ან დორიელებს ძლევს ჩემი ჯარი.
- ასეთ ცოლისთვის ხმლის მოქნევა არ მერცხვინება,
მაღალი ჯილდოს მიღება ბრძოლით.
- თუკი სამყარო შეიძრება შენი გულისთვის,
თაობებს სახელს გადასცემ შენსას. 375
- მიენდე ღმერთებს და უშიშრად თან გამომყევი,
შეპირებული აღთქმა შესრულდეს.



- ამ წერილის მიხედვით, პარისი უკვე იცნობს ელენეს. იგი
ცდილობს, მოხიბლოს მენელაოსის ტურფა მეუღლე.
- 25 მითის ერთი ვერსიის მიხედვით, ვენუსი (აფროდიტე) ზღვის
ქაფისაგან იშვა.
- 39-142 სტრიქონები ბევრ ხელნაწერში არ არის, ფიქრობენ, იგი
მოგვიანებით არის ჩამატებული.
- 68 იგულისხმება მერკურიუსი.
- 90 პარისი, რომელიც ჩვილი მოიშორეს მშობლებმა, რადგან
ორაკულის მისნობით, იგი დაანგრევდა მშობლიურ ქალაქს, იდის

მთაზე იზრდებოდა, ერთხელ იგი მოხვდა ილიონში (ტროაში) სპორტულ ასპარეზობაზე, სადაც იცნეს კასანდრამ და პრიამოსმა.

200 იგულისხმება განიმედე, მშვენიერი ყმაწვილი, რომელიც ილის მთიდან მოიტაცა არწიმა და აიყვანა ოლიმპოზე, სადაც ემსახურებოდა ღმერთებს ნადიმზე მერიქიფედ.

207 თიესტემ აცდუნა თაეისი ძმის, ატრევსის ცოლი, შეურაცხყოფილმა ატრევსმა დაუხოცა მას შვილები და მათი ხორციტ გაუმასპინძლდა მამას, რასაც თვალი აარიდა მზის ღმერთმა.

201 ავრორას ქმარი, კეფალუსი.

210-214 იგულისხმება ტანტალოსის ტანჯვა.

252 ქათქათა... იუპიტერი, თეთრ გელად ქცეული.

359-360 პარისმა ილის მთაზე მარჯვედ მოიგერია ჯოგის გამტაცებლები, ამიტომ ეწოდა ზედსახელად „ალექსანდრე“, „მამაკაცთა მომგერიებელი“.

XVII

ელენე პარისს

- ჩემი თვალები შეურაცხყო შენმა წერილმა,
 უთუოდ უნდა გაგცე პასუხი.
 სტუმარ-მასპინძლის წმინდა ადათს შენ უღალატე,
 ცოლქმრულ კავშირის სცადე დარღვევა.
 განა ამიტომ გამოსტაცა ტენარის ყურემ 5
 ბობოქარ ტალღებს შენი ზომალდი?
 მიგიღო უცხო ტომის შვილი სამეფომ ჩემმა,
 არ დაუხშვია კარიბჭე შენთვის. 1
- რა უსამართლო ჯილდო გვერგო ამ სიკეთისთვის!
 მტრად მოხვედი თუ მოყვრულად, მითხარ! 10
 ამ ჩემს საყვედურს, კარგად ვიცი, სოფლურს უწოდებ,
 რა გინდაც იყოს სამართლიანი.
 ვიყო სოფლელი, მირჩევნია, შეურცხვესელი,
 იყოს ცხოვრება ჩემი უზადო.
 არ მინდა ყალბი მეტყობოდეს სახეზე სევდა 15
 და ვიჯდე კუშტად კოპებშეკრული.
 სახელიანი ვარ, უბიწო, და მექალთანე
 ვერც ერთი ჩემზე ვერ იქირქილებს.
 ერთი რამ მიკირს, ვით გაბედე, რა იმედი გაქვს
 ჩემი სარეცლის გაზიარების. 20
- რადგან თესვესმა წამიყვანა ერთხელ მე ძალით,
 კვლავ მოტაცების რატომ ვარ ღირსი?
 დანაშაულად რად მეთვლება მომხიბლველობა,
 ჩემი ბრალთა, რომ მომიტაცეს?
 მაგრამ ნაყოფი სასურველი არ უგემნია, 25
 დაებრუნდი უკან, ოღონდ შევშინდი.

- მხოლოდ ეს იყო, მოძალადემ მომტაცა კოცნა,
სხვა არაფერი უკადრებია.
- შენ თავზედი ხარ და ამასაც არ დასჯერდები,
ძაღლობა ღმერთებს, შენ ის არ გგავდა. 30
- მან დამაბრუნა უბიწო და მოიხსნა ბრალი,
ცხადია, ცოდვა მიეტევება,
- შენ გინდა თესვესს მიბაძო და იგივე სცადო,
რომ შემირცხვინო სახელი ქვეყნად. 35
- მანც არ ვჯავრობ (შეყვარებულს ვინ გაამტყუნებს?),
თუ შენ რასაც გრძნობ, სიყვარულია.
- ხან ვეჭვობ, არა იმიტომ, რომ მაკლია რწმენა,
ან არ ვაფასებ ჩემს სილამაზეს,
- არა, ქალწულებს, ეიცვი. ღუპავს მიამიტობა,
ამობენ, ნღობა არ აქვს შენს სიტყვებს. 40
- თუმც ბევრი შეცდა, წმინდა ქალი იშვიათია,
რა, არ ვეკუთენი იშვიათ ქალებს?
- შენ ფიქრობ, ჩემი მოტყუება ადვილი არის,
გავაპეორებ დედის მაგალითს. 45
- გელად ქცეულმა შეაცდინა იუპიტერმა,
მოსილმა რბილი, ფაფუკ ბუმბულით.
- იქნება შევცდე უნებურად, დანაშაულს კი,
მომხდარს შეცდომით, აღარ დავფარავ.
- ლამაზ შეცდომას მოჰყვა ჩემი ქვეყნად გაჩენა,
ბედნიერი ვარ ვითომ მე ამით? 50
- სამეფო გვარით თავს იწონებ და შენი მოდგმით,
ღირსება არც ჩემს სახლს არ აკლია.
- არ გავიხსენებ იუპიტერს, ქმრის დიდ პაპას და
ტინდარევესს, პელოპსს და ტანტალიდებს.
- გელად ქცეული შეიფარა კალთაში ლედამ
იუპიტერი და მიძღვნა მამად. 55

- მიდი ახლა და შეადარე ფრიგიის ძველ ტომს,
ლაომედონტს და მეფე პრიამოსს.
- პატივს ვცემ ყველას, მაგრამ შენ ხარ მეხუთე მოდგმა
იუპიტერის, მე კი — პირველი. 60
- შენი სამშობლოს ძლიერება, ვფიქრობ, ღიღია,
არც ჩემი ქვეყნის არის მცირედი.
- თუმცა სიმდიდრით ვერ გაჯობებთ, ვაჟკაცთ სიმრავლით,
ბარბაროსული მხარე გაქვთ მაინც.
- შენი წერილით უამრავ ძღვენს მპირდები, მდიდრულს,
შეძლებ ცდუნებას ქალღმერთებისაც. 65
- მე რომ მნდომოდა გადალაზვა სირცხვილის ზღვარის,
შენ იქნებოდი მიზეზი ამის.
- ან სპეტაკ სახელს სამუდამოდ შევინარჩუნებ,
ან როგორც ჯიღლო თან გამოგყვები. 70
- თუმც საჩუქრები არ მძულს, მაგრამ ძვირფასი მხოლოდ
სასიამოვნო კაცის ძღვენია.
- უფრო მეტად კი ვაფასებ შენს თავგამოდებას,
ზღვას შეჭიდებას, სიყვარულს, იმედს.
- გაშლილ სუფრასთან გაკვირდები, ვამჩნევ ყველაფერს
და ვცდილობ თავი მოვიკატუნო. 75
- როცა უტიფრად, დაჟინებით მომაჩერდები,
შენს მზერას ჩემი თვალი ვერ უძლებს.
- ამოიოხრებ და დასწვდები ჩემს ახლოს სასმისს,
დაეწაფები თასს, ჩემს ნაპირალს. 80
- ეხედავ ფარულად საუბარი რომ გინდა ჩემთან,
ხან თითებით და ხანაც წარბებით.
- გავეწითლებულვარ ბევრჯერ, ხშირად შემშინებია,
არ დაენახა ქმარს ეს ნიშნები.
- რამდენჯერ ჩუმად ჩაგჩურჩულე, გულწრფელად გითხარ;
„აქ ნურაფრის ნუ მოგერიდება“. 85

- სუფრის კიდეზე წამიკითხავს სახელი ჩემი
 და — მიყვარხარო — ღვინით ნაწერი.
 თვალით განიშნე, არ მჯეროდა შენი ნათქვამი,
 მეც მივეჩვიე ასეთ საუბარს. 90
- მაცდუნებელი იყო შენი ალერსი ტკბილი,
 შეგეძლო ჩემი გულის დაპყრობა.
 პირმშვენიერი ხარ, არ ემაღავ, და შენს მკლავებში
 მოქცევას ბევრი ქალი ისურვებს.
 სჯობს სხვა გახადო უცოდველად შენ ბედნიერი,
 ვიდრე დაკვარგო შენ გამო კდემა. 95
- ისწავლე ჩემი მაგალითით — ერიდე ლამაზს,
 ნუ გაგიტაცებს სიამოვნება.
 იცი, გონიერ რამდენ ჭაბუკს სურდა, რაც შენ გსურს,
 თუ მხოლოდ შენ გაქვს თვალები, პარის? 100
- ქარაფშუტა და თავხედი ხარ, გაკლია სიბრძნე,
 ენაძვეერი ხარ, მაგრამ უგულო.
 ნეტავი მაშინ მოსულიყავ სწრაფი ზომალდით,
 როცა საქმრონი ჩემს თავს ითხოვდნენ. 105
- მენახე მაშინ, ათას კაცში გამოგარჩევდი,
 ჩემივე ნებით ჩაგბარდებოდი.
 დაგაგვიანდა ასრულება გულისნადების,
 ვინც შენ გსურს, ახლა იგი სხვისია.
 ნეტავ ტროელი ვყოფილიყავ და ცოლი შენი,
 ქმრად არ მყოლოდა მენელაოსი. 110
- გულს ნუ მიღონებ, გევედრები, შენი საუბრით,
 და — მიყვარხარო — ნუ მეუბნები.
 ნუ მიშლი, რომ ჩემს ხვედრს დავჯერდე და ნუ ისურვებ
 სიყვარულს ჩემი შერცხვენის ფასად.
 ვიცი, ვენუსმა წაგაქეზა. იდის მწვერვალზე
 სამი ქალღმერთი შენ მოგეახლა; 115

- ერთი სამეფოს გთავაზობდა, მეორე — ძალას,
ხოლო მესამე — ტინდარიდის ცოლს.
- მიჭირს ვირწმუნო, მოაპექრე ქალღმერთნი როგორ
დაემორჩილნენ შენს განჩინებას. 120
- იქნებ მართალიც არის, მაგრამ ჯილდოდ ელენეს
შეთავაზება მოგონილია.
- ვერ დავიჯერებ, რომ ისეთი ლამაზი ვიყო,
ქალღმერთი ვენუს ჩემს თავს შეგპირდა.
- ხალხს რომ მოვწონეარ, მსიამოვნებს, თვალს მაყოლებენ,
მაგრამ ვენუსის ქება მაშინებს. 125
- ვერ ვიტყვი თითქოს არ ვუგდებდე ყურს მე შენს ხოტბას,
რატომ დავმალო, რაც სურს გონებას?
- ნუ ცხარობ, შენი ნაკლებ მჯერა, ნღობა ნელ-ნელა
გაჩნდება, თუ მას დაიშახურებ. 130
- უპირველესად, მაშ, გისურვებ გწყალობდეს ვენუს,
შემდეგ, რომ ჯილდო ვიყო მე შენთვის,
რომ საჩუქრები იუნოს და არც ათენასი
არ დააყენო ელენეზე წინ.
- მაშ, მე ვარ შენთვის სიქველეს და სამეფო მძლავრი,
რკინის ხომ არ ვარ, რომ არ მიყვარდე. 135
- არა ვარ რკინის, მაგრამ ვიბრძვი ის არ მიყვარდეს,
ვინც ალბათ ჩემი გახდება მაინც.
- რად ვეჭიდები ქვიშას გუთნით, როცა სახნავად
უვარგისია, რის იმედი მაქვს? 140
- ღმერთებს ვიმოწმებ, რომ ვენუსის ხლართებს არ ვიცნობ
და არ მიცდია ქმრის გაცურება,
- ახლა კი წერილს საიდუმლოს ჩემს სათქმელს ვანდობ,
ასეთ სამსახურს პირველად მიწევს.
- ნეტავი მას, ვინც ამ საქმეში გაწაფულია,
ვეჭვობ, ცოდვის გზა იოლი იყოს. 145
- შიში თან ახლავს ბოროტებას, დაბნეული ვარ,

- მგონია, ყველა მე მითვალთვალებს.
 მართლაც და მესმის გესლიანი ჩურჩული ხალხის
 და რაღაც ხმები მოდის ეთრასგან: 150
- 'თუკი არ გინდა უარის თქმა, მაშ, ითვალთმაქცე,
 ეს უკეთ ძაღგიძს, რად იტყვი უარს.
 გაერთე, მაგრამ ფრთხილად იყავ, მენელაოსი
 სანამ არ არის; დრო არ გაქვს ბევრი.
 შორს გაემგზავრა უცაბედად საშურ საქმეზე'. 155
- უდავოდ ჰქონდა წასვლის მიზეზი,
 მომეჩვენა, რომ ფეხს ითრევდა, არ სურდა წასვლა,
 ვუთხარი: სწრაფად დაბრუნდი-მეთქი.
 გახარებული მეამბორა და დამიბარა,
 რომ სახლს მივხედო და ტროელ სტუმარს. 160
- ძლივს შევიკავე თავი რომ არ გამღიმიებოდა,
 „ვეცდები“-მეთქი – ეს ვუთხარ მხოლოდ.
 მან აფრა ახსნა და ზურგქართ გასწია კრეტას
 (ეს შენ არ გაძლევს ყველაფრის ნებას).
 მიცავს მეუღლე მე შორიდან, არ გაგივია? 165
- ყველგან წვდებო ხელები მეფის.
 ჩემი მშვენება ტვირთად აწევს, რაც უფრო მაქვს,
 მით უფრო შიშობს იგი, ცხადია.
 დიდება ჩემი მომწონს, მაგრამ მამძიმებს კიდევ,
 ცუდი სახელი მქონოდა, ჯობდა. 170
- ნუ გიკვირს, თუკი შორს წასულმა დამტოვა შენტან,
 ჩემს ზნეს, ხასიათს ის კარგად იცნობს.
 ჩემი სახის და სილამაზის გამო თუმც შიშობს,
 ენდობა ქცევას, ღირსებას ჩემსას.
 შენ მაიძულე ვისარგებლოთ ჩემი მეუღლის 175
- გულუბრყვილობით, დრო არ დაკარგოთ.
 ცდუნება მიპყრობს, მაგრამ ვშიშობ, მიჭირს მივენდო
 არნაცად გრძნობას, ყოყმანობს გული.

- ქმარი შორს არის ჩემი, შენ კი გბინავს უცოლოდ,
მე შენი სახე მხიბლავს, შენ — ჩემი. 180
- გრძელია ღამე, საუბრებში იგი იღვება,
ვაიმე შენთან ერთად ერთ სახლში.
გადამიყოლებს ამ ცოდვისგან თავშეკავება,
რადაცის შიშს ვგრძნობ, მაყოვნებს იგი.
რატომ არ ძალგიძს დამარწმუნო, ან დამაძალო, 185
ამ ჩემს სიმორცხვეს ძალა თუ დასძლევს.
უსამართლობის განცდა ზოგჯერ სასარგებლოა,
გამხადე ძალით მეც ბედნიერი.
სანამ სუსტია ვნება, მასთან ღირს შებრძოლება,
ახალ ცეცხლს მცირე წყალიც ჩააქრობს, 190
სანდო არ არის უცხოელი, არც მისი ტრფობა,
დაუჯერებ და მყის მიგატოვებს.
მოწმეა ამის ჰიპსიპილე და არიადნაც,
ორივე, ქმრისგან მიტოვებული.
შენზეც ამბობენ, მოლაღატვე, რომ არ ინდომე 195
სატრფო ენონე მრავალ წლის შემდეგ.
შენც აღიარებ. სხვაც ბევრი რამ მსმენია შენზე.
(გამოვიკითხე, შენ არც კი იცი),
რომ გსურს ერთგული იყო, მაგრამ არ შეგიძლია,
აფრებს უშვებენ ტროელნი უკვე. 200
სანამ შენ ჩემთან საუბრობ და ატარებ ღამეს,
სამშობლოსაკენ გეძახის ქარი.
გზას გაუყვები და დატოვებ ახალ სიხარულს,
ქარს სიყვარული ჩვენი გაჰყვება,
ან გამოგყვები, როგორც შენ მთხოვ, ვნახავ პერგამონს 205
და ლაომედონტის რძალი გავხდები.
ფრთოსანი ფამას ჭორები მძულს და არ დავუშვებ,
ჩემი შერცხვენა მოსდოს ქვეყანას.

- რას იტყვის სპარტა, აქაველნი, აზიელები,
 ან სხვა ტომები და შენი ტროაც? 210
 როგორ მიმიღებს პრიაძოსი და მისი ცოლი,
 შენი ძმები და ტროელი ქალნი?
 თუ იმედოვნებ, რომ ერთგული დავრჩები შენი,
 პირად მაგალითს რომ გაიხსენებ?
 რამდენჯერაც კი უცხო კაცი მოვა ილიონს,
 215
 შიშის მიზეზი გახდება შენთვის.
 რამდენჯერაც კი წამომძახებ ბრაზით „მეძავო“,
 შენს დანაშაულს არ გაიხსენებ?
 შენვე გამკიცხავ იმ ცოდვისთვის, რაც მაიძულე?
 220
 ნეტავი მიწა გასკდეს ჩემ თვალწინ!
 თუმცა დავტკბები სინატიფით, ტროის სიმღიდრით
 და დაპირებულ ძღვენსაც მივიღებ.
 არ მომაკლდება ძოწისფერი მოსასხამები
 და უამრავი მექნება ოქრო.
 225
 გთხოვ მაპატიო, არად მიღირს ეს საჩუქრები,
 ჩემს ქვეყანაზე ვარ მიჯაჭვული.
 რომ გამიჭირდეს, რას მიშველის ფრიგიის მიწა,
 ან სად ვიპოვო მამა და ძმები?
 რას არ შეჰპირდა იასონი, ფლიდი მედეას,
 230
 არ გააძევა მისი ქვეყნიდან?
 ვერც აიეტთან წავეილოდა მოტყუებული,
 ვერც ღელასთან, ვერც — ქალკიოპესთან.
 მე შიში არ მაქვს... არც მედეას არ ეშინოდა
 (მისანსაც ხშირად ატყუებს ბედი).
 235
 ნახე, რა მშვიდი არის ყურე მეზღვაურთათვის,
 ყველა ხომალდმა ზღვას მიაშურა...
 ცეცხლი მაშფოთებს, დედაშენმა შენს გაჩენამდე
 რომ ნახა სიზმრად — შვა ჩირადღანი.

- ქურუმის სიტყვაც მაგონდება — აგიზგიზდება
პულაზგურ ცეცხლით ილიონიო. 240
- ეშიშობ, უყვარხარ კითურეას, მან დაამარცხა
დიდი ქალღმერთი შენი წყალობით.
- შენ თუ ამყობ ამით, ვფიქრობ, გაანაწყენე
ორი ქალღმერთი მაგ განაჩენით.
- არ ვეჭვობ, შენ თუ გამოგყვები, ატყდება ომი, 245
მახვილით დაცვა მოგვიწვეს ტრფობის.
- თუ კენტავრებთან საბრძოლველად ჰიპოდამიამ
მოუხმო ომში ჰემონიელებს,
- მენელაოსი, როგორ ფიქრობ, არ აინთება
რისხვით, ან მამა, ან ძმები ჩემი? 250
- შენს სიქველზე ბევრს იკვებნი, მაგრამ გმირობის
კვალი სახეზე არსად გეტყობა.
- შენ ტრფობისთვის ხარ გაჩენილი, არა — ომისთვის,
სხვებმა იბრძოლონ, შენ კი გიყვარდეს.
- შენ ძვირფას ჰექტორს შენს მაგივრად უბრძანონ ბრძოლა, 255
შენ ემსახურო უნდა სიყვარულს.
- მეც არ ვიტყვოდი შენზე უარს, რომ მქონდეს ჭკუა
და სითამამე, დე, სხვისი იყავ.
- იქნებ გავიდეს დრო, დავბრძენდე, კლემა დავძლიო,
გამოგიწოდო ხელი მორჩილად. 260
- განმარტოებით რატომ ცდილობ საუბარს ჩემთან,
ვიცი, რად მიხმობ სალაპარაკოდ.
- მაგრამ სულსწრაფობ, მოსაელის დრო ჯერ არ დამდგარა,
ნატერას აიხდენ სიდინჯით უფრო.
- საკმარისია, დამელალა თითები უკვე, 265
ვწყვეტ საიდუმლო ბარათის წერას.
- სხვაზე ეთრასთან ვისაუბროთ და კლიმენესთან,
ჩემს მრჩევლებთან და თანამგზავრებთან.



წერილიდან ჩანს, რომ ელენე ჯერ თავს იკავებს, გაიზიაროს პარისის სიყვარული, მაგრამ შემდეგ თანახმაა, გაჰყვეს მას ტროაში.

64 ელენე ბარბაროსულ მზარეს უწოდებს ტროას, რადგან, ჩვეულებრივ, ბერძნები ყველა არაბერძენს ბარბაროსს უწოდებდნენ.

206 ლაუმედონტი, პრიამოსის მამა.

242 ორი ქალღმერთი: ათენა და იუნო.

247 ჰიპოდამიასა და პირითოუსის (პირითოოსის) ქორწილში ლაპითებმა ამოხოცეს მთვრალი კენტავრები, რომლებმაც მოინდომეს ჰიპოდამიასა და სხვა ქალების შეურაცხყოფა. თესალიაში (ჰემონიაში) მხოლოდ ბრძენი კენტავრი, ქირონი დატოვეს.

249 ძმები: პოლუქსი და კასტორი.

XVIII

ლემანდრე ჰეროს

- აბილოსიდან გესალმები სესტოსელ ჰეროს,
 ზღვა თუ დაწყნარდა, გიხილავ მალე.
 თუ ღმერთებს ნებაეთ გადმოგვხედონ წყალობის თვალით,
 შეძლებ ბარათის წაკითხვას მაშინ.
- მაგრამ არ უნდათ შეისმინონ ჩემი ვედრება, 5
 რომ გადმოვცურო ნაცნობი ყურე.
 თავადვე ხელავ შმაგ ტალღებს და კუპრივით ზეცას,
 ერთმა ჯეელმა გაბედა მხოლოდ
 ზღვაში შეცურვა, შეჭიდება ტალღებთან მარტომ,
 აი, მას ვატან ამ ბარათს შენთან. 10
- მეც ნავში ასვლა ვცადე, მაგრამ ბაგირს რომ ხსნიდა,
 მთელი ქალაქი მას უყურებდა.
 ველარ შევძლებდი ძველებურად მშობლებისაგან
 დამალვას ჩემი საიდუმლოსი.
- წერილს გავენდე: „ბედნიერო,“(ასე მივმართე), 15
 „შენ მოგეხვევა ნაზი თითები,
 იქნებ შეგეხოს მისი ბაგეც, თუ მოისურვებს
 ნასკეები გახსნას ბროლის კბილებით.“
 ასე ჩურჩულით გავუმხილე გულის ნადები,
 დანარჩენს ჩემი მარჯვენა დაწერს. 20
- მერჩინა ზღვაზე მამაცურად გადმოვეყვანე,
 ვიდრე ბარათი ეწერა შენთვის,
 მშვიდი ტალღების დარტყმებს იგი იოლად უძლებს,
 ახლა სხვა სურვილს ასრულებს ჩემსას.
- შვიდი ღამეა (მე მგონია მთელი წელია), 25
 რაც ზღვა ბობოქრობს, ღმუის ტალღები,

- მშვიდი სიზმრები რომ მენახა, შევეუბოდი
უამინდობას იქნება ხანგრძლივს.
- კლდიდან გავცქერი სევდიანი შენს სანაპიროს,
სხეულით ვერა, მოვქრი გონებით. 30
- მგონია, თითქოს შუქი მოჩანს მაღალ კოშკიდან,
მეჩვენება თუ მართლა ასეა.
- სამოსი სამჯერ მოვისროლე ქეიშის ნაპირზე,
რომ სახიფათო გზას დაედგომოდი,
- მაგრამ ზღვა რისხვით შეეფეთა ჭაბუკურ ტლოლვას 35
და მოვარდნილმა ტალღამ ჩამძირა.
- შენ რაღად მებრძვი, ბორეასო, ყველა სწრაფ ქარზე
უბობოქრესო, რა დაგიშავე.
- იქნება ვერ გრძნობ, ზღვაზე უფრო ხელს რომ შენ მიშლი,
ნუთუ არ იცი, რა არის ტრფობა. 40
- ცივი ხარ, მაგრამ შენც იწვოდი ოღესღაც ცეცხლით,
როცა აქტეელს ეტრფოდი გულით.
- ვინ გაბედავდა შეჩერებას, როცა ჰაერში
აიჭერ სატრფოს მოსატაცებლად.
- გთხოვ, შემობრალე, ზომიერად დაჰბერე ქარი, 45
ნუ გაგაშმაგებს შენ ეოლოსი.
- ამაოდ ვგოდებ... ღმუილს ვისმენ თხოვნის პასუხად,
ააბობოქრა მთელი ზღვა ქარმა.
- ნეტავ დედალოსს ჩემთვის ფრთები ებობებინა,
თუმც იკაროსის აქ არის მიწა. 50
- მოვითმენ ცოტას. გრიგალმა რომ არ აიტაცოს
სხეული ჩემი ბობოქარ ზღვაზე.
- სანამ მაბრკოლებს ქარიშხალი, ტალღები შმაგი,
დე, გავიხსენებ იდუმალ ტრფობას.
- მწუხრი დგებოდა (მოსაგონრად საამო არის), 55
სახლიდან ჩუმად რომ გამოვედი.

- უმალვე შიში მოვიშორე და ტანსაცმელიც,
მშვიდად შევცურე ლიეღლივა ზღვაში.
შუქს მფენდა მთვარე, მოციალე და მომყვებოდა,
მომაცილებდა ვით თანამგზავრი. 60
- ავხედე, ვუთხარ: „შემიწყალე, თეთრო ქალღმერთო,
და გაიხსენე შენ ლატმოსის კლდე,
არ ამულავენბდი გულგრილობას ენდიმიონთან.
მომაპყარ სახე, გემუდარები. 65
- მოკვდავისათვის ეშვებოდი ციდან მიწაზე,
მართალს თუ ვიტყვი, ქალღმერთია, ვისკენაც ვილტვი,
არ შევადარებ ცისიერებს ზნით, ხასიათით,
სილამაზით კი მოჰგავს ქალღმერთებს,
მას ტოლი არ ჰყავს (ვენუსის და შენ გარდა ოლონდ)
თუ არ მენდობი, შენ თვითონ ნახე. 70
- როგორც შენ ბრწყინავ ვერცხლისფერი სხივებით ცაზე
და აფერმკრთალებ შუქით მნათობებს,
ასევე ჩრდილავს ლამაზმანებს თავის სიტურფით,
ნუთუ ვერ ამჩნევ, ბრმა ხარ, კინთია?
ამას ვამბობდი (ან ამდაგვარ სიტყვებს, არ ვიცი),
მიეუყვებოდი დინებას ღამით. 75
- წყალი მთვარის შუქს ირეკლავდა და ანათებდა,
ღამე ღღესავით იყო ნათელი.
ხმა არ ისმოდა ირგვლივ, მხოლოდ ჩემი სხეულით
აქაფებული ბუყბუყი წყლისა. 80
- არ ვიცი რატომ, ალკიონე მელანდებოდა,
მესმოდა მისი კვნესა კეიკზე.
თუმც მხრებში დაღლა შემეპარა, თავაწეული
ზღვას მივაპობდი მხნედ, მამაცურად.
- უკვე შევნიშნე შუქიც, „ჩემი ცეცხლია“ – ვამბობ,
„გზას მე მინათებს იმ ნაპირიდან“. 85

- და მოზღვავება ძალის იგრძნეს დაღლილ მკლავებმა,
 ტალღებიც თითქოს შორჩილნი გახდნენ,
 ზღვის ყინულივით ცივი წყალი აღარ მაკრთობდა,
 რადგან მითობდა მკერდს ვნების ცეცხლი. 90
- რაც წინ მივიწვევ, უფრო ახლოს მოდის ნაპირი,
 ცურვაც საამო ხდება თანდათან.
 როცა შორიდან თვალი მოგკარ და შეგამჩნიე,
 მხნეობის, ძალის მატება ვიგრძენ. 95
- ახლა მსურს უკვე მოგაწონო თავი ცურვით და
 შენ თვალწინ მკლავებს ვუსვამ თამამად.
 ძლივს შეგაჩერა ძიძამ ზღვაში არ შესულიყავ,
 მე თავად ვნახე, ეს შენ არ გითქვამს.
 ვერაფერს გახდა, თუმც ცდილობდა რომ დაგწეოდა,
 ფეხი წყალში არ დაგსველებოდა. 100
- მომეარდი უცებ, ჩამეხვიე ნაზი ამბორით
 (ასეთ კოცნისთვის ღირდა წვალება).
 შემდეგ მოიხსენ მოსასხამი და მომაზურე,
 დასველებული თმა გამიმშრალე.
 მერე რაც მოხდა, ეს ჩვენ ვიცით, ღამემ და კოშკმა 105
 და ჩირაღდანმა, მანათობელმა.
 უფრო ძნელია სანეტარო ღამეთა დათვლა,
 ვიდრე ჰელეს ზღვის წყალმცენარეთა.
 ხანმოკლე იყო იდუმალი ეს შეხვედრები,
 დროს არ ვკარგავდით ამიტომ უქმად. 110
- აი, განდევნა ღამე უკვე ტითონის ცოლმა
 და ლუციფერიც გამოჩნდა დილით.
 დაბნეულები აჩქარებით ვკოცნით ერთმანეთს,
 ვწუწუნებთ, ღამე სწრაფად გავიდა.
 უსიამოვნოდ გაფრთხილება ძიძის ჩაგვესმის, 115
 ვეშვები ისევ სანაპიროზე.

- ატირებულნი მივაბიჯებთ, ზღვისკენ მივდივარ,
 გიყურებ, სანამ მოგეწვდება მზერა.
- შენკენ მოვცურავ გაბედულად, იქით გზაზე კი
 ვგავარ ჩაძირულ გემის მეზღვაურს. 120
- თუ დამიჯერებ, მსუბუქ ტალღას მოვყავარ შენკენ,
 შენგან წასულს კი ზღვის მთები მხვდება.
- ვინ დაიჯერებს, უხალისოდ ვბრუნდები სახლში
 და ჩემს ქალაქში გაძლება მიჭირს.
- სულით და ხორციით თანაზიაროთ რად გვთიშავს წყალი, 125
 ჩვენ, ორს რად არ გვაქვს ერთი სამშობლო?
 ან აბიღოსმა შეგიკედლოს, ან მე – სესტონსმა.
 მე შენი მიწა მზიბლავს, შენ – ჩემი.
- ნეტავ რად ვმფოთავ, რამდენჯერაც ზღვა აღელდება,
 მცირე ნიავიც გუნებას მიშლის. 130
- ჩემს სიყვარულზე დელფინებმაც იციან უკვე,
 არც თევზებისთვის, ვფიქრობ, ვარ უცხო.
- კვალი გავაველე წყალზე უკვე ამდენჯერ ცურვით,
 ვით ეტლის თვალი აჩენს ბილიკებს.
- ადრე ვწუხდი, რომ ეს ძელი გზა მჭონდა სავალი, 135
 ახლა კი ვწუხვარ, ესეც დაეკარგე.
 გათეთრებულა ზვირთებისგან ათამანტის ზღვა,
 უსაფრთხო აღარ არის ნავისთვის.
- ასეთი იყო ალბათ, როცა იმსხვერპლა ჰელე,
 რომლის სახელსაც ატარებს დღემდე. 140
- მას სამარცხვინო ლაქა შერჩა ქალწულის გამო.
 ცოდვიანია, რომც შემობრალოს,
- შეენატრი ფრიქსეს, რომ უსაფრთხოდ გადაატარა
 ის ოქროს ვერძმა მწუხარე ზღვაზე.
- არც ვერძის მინდა დახმარება და არც ნავისა, 145
 გავცურავ თავად, ზღვა თუ გზას მომცემს.

- არც ხერხებს ვეძებ ცურვის, ოღონდ მომეცეს ნება,
ვიქნები გემი, მესაჭეც თაყად.
- არქტოსს, ჰელიკეს არ შევეყურებ როგორც ტირელი,
არც წერილ მნათობზე ფიქრი მალეღეებს, 150
- სხვა მიაჩერდეს ანდრომედას კაშკაშა გვირგვინს,
დიდი ღათვის ხომლს, პოლუსის ვარსკვლავს,
პერსევსის სატრფო, ლიბერის ან იუპიტერის,
არ მომწონს მე გზის მანათობელად.
- მე ერთ შუქს ვარჩევ საიმედოს და მოკაშკაშეს 155
და მას მიეყვები წყვილიაღში ღამით.
- მის შუქზე კოლხეთს ჩავაღწევ და შორეულ პონტოს,
თესალიელთა ხომალდის მსგავსად.
- გავეჯიბრები პალემონს და მასაც, ვინც ღმერთად
იქცა უცნაურ ბალახის ძალით. 160
- როცა შევატყობ მკლავებს, დაღლილს ზღვასთან ჭიდილით,
უჭირთ დაქანცულთ ცურვა ხანგრძლივი,
ვამხნევებ, ჯილდოდ ეპირღები, რომ მოეხვევიან
ქალბატონის ყელს გარჯის სანაცვლოდ.
- ძალას იკრებენ ისინიც და მიქრიან ისე, 165
ვით აფრენილი სტარდიდან რაშნი.
- მე ჩემს სიყვარულს ვემონები და მისით ვიწვი,
გვედრებ, ქალწულო, ცისიერთ მსგავსო,
უკვდავთა ღირსო, ნუ დატოვებ ჯერ დედამიწას,
ან მიმასწავლე გზა ღმერთებისკენ. 170
- აქვე ხარ, მაგრამ ვერ გეხვევი საბრალო სატრფოს,
ბობოქრობს ჩემი სულიც ზღვასავით.
- რა ბედენაა, თუ არ მიდევს წინ ოკეანე,
პაწია ყურე ნაკლებ მაწვალებს?
- იქნებ ჯობია, სადღაც ვიყო გადაკარგულში, 175
ვიცოდე ნახვა ძნელია შენი.

- ახლოს რაკი ხარ, ცეცხლი უფრო მწვავედ მეღება,
 თუმცა იმედი არ მტოვებს მაინც.
- ისე ახლოს ხარ... მგონი, ხელის გაწვდენაც კმარა,
 სასოწარკვეთილს ცრემლები მახრჩობს. 180
- ეს იგივეა, მწყურვალს წყალი გაგიქრეს პირთან,
 ხილის ტოტს მისწვლე ხელით, გაგისხლტეს.
- ჩანს, ვერ მოვალწევ შენთან, ტალღებს თუ ეს არ უნდა
 და არ მექნება ზამთრობით ბედი.
- მაშ, ვერაფერი დაამარცხებს ზვირთებს და გრიგალს?
 მათზე ჰკიღია იმედი ჩემი? 185
- სანამ თბილოდა, ზღვას არკასი არ აშფოთებდა,
 არც პლეადები და ამაღთეა.
- ჯერაც არ ვიცი, ზღვაში შესვლას გავბედავ თავად,
 თუ მაიძულებს მას სიყვარული. 190
- ნუ იფიქრებ, რომ დანაპირებს გვიან ვასრულებ,
 სიტყვას გაძლევ, რომ არ დავაყოვნებ.
- ორიოდ ღამეს ვაცლი, თუ არ დაწყნარდა ყურე,
 ვცდი, შევებრძოლო მუხანათ ტალღებს.
- ან სიმამაცე მომანიჭებს ბედნიერებას,
 ან სიკვდილს ეპოვებ ტრფობის მაგივრად. 195
- მაშინ ვინატრებ გამომრიყოს შენს მხარეს წყალმა
 და შემოაგლოს გვაში ყურეში.
- ხელს შემახებ და მიცნობ უმაღ, იტირებ მწარედ,
 იტყვი: „დავლუპე მე ჩემი სატრფო“. 200
- იქნებ ამ ჩემმა წინათგრძნობამ გატკინოს გული,
 უსიამოვნოდ დახელო ბარათს.
- კარგი, ვჩუმდები... ოღონდაც ზღვამ შეწყვიტოს რისხვა,
 ორივეს ერთი გვექონდეს სურვილი.
- მცირე ხნით ყურე დამშვიდდეს, რომ მოვცურო შენთან,
 მერე კი, თუნდაც ატყდეს გრიგალი. 205

მანდ არის ჩემთვის საიმედო ნავთსაყუდელი,
 სხვას არ ისურვებს ზომალდი ჩემი.
 მანდ რომ ჩამკეტოს ბორეასმა, ვინეტარებდი,
 არ ვიჩქარებდი შინ დაბრუნებას, 210
 არ შევრისხავდი შეუსმენელს, ბობოქარ ზვირთებს,
 არ ვიწუხებდი, რომ მიშლის ცურვას.
 დე, შემაჩერონ გრიგალმა და ნაზმა მკლავებმა,
 ორი მიზეზით შემოვრჩებოდი.
 გამოიძარებს და ვით ზოფებს, მოეუსვამ ტალღებს, 215
 შუნ შუქს მიზედე, გზას მინათებდეს.
 მანამდე თავი შეიქციე ბარათის კითხვით,
 ამასობაში მეც გამოვჩნდები.



მითს ჰეროსა და ლევანდრეს შესახებ კარგად იცნობს ანტიკური სამყარო. ყველაზე ვრცლად ეს მითი დამუშავებული აქვთ: „ჰეროიდების“ ავტორსა და V. ს. პოეტ მუსეოსს. ეს არის სვედიანი სიყვარულის ისტორია ახალგაზრდებისა, რომლებიც ჰელესპონტის ყურეში, ერთმანეთის საპირისპიროდ მდებარე ქალაქებში ცხოვრობენ. ვაჟი ყოველდამე მალულად მიცურავს ქალთან შესახვედრად. ერთ აუბედით დამეს ჭაბუკი ზღვის ტალღებში იღუპება. ამ მითს პარალელები ეძებნება „თავფარავნელ ჭაბუკთან“, ქართულ ხალხურ ბალადასთან.

- 42 იგულისხმება ბორეასის სიყვარული ათენელი ორიითიასადმი.
- 50 ლევანდრე ნატრობს დედალოსის ფრთებს, თუმცა ისიც ახსოვს, რომ ზღვაში დაიღუპა იკაროსი.
- 62 ლატმოსის კლდესთან ცხოვრობდა ენდიმიონი, მთვარის ქალღმერთის სატრფო.
- 139-140 ჰელესპონტში დაიღუპა ჰელე, ფრიქსეს და, რომლის სახელი ეწოდა შემდგომ ამ ყურეს.

160 საუბარია გლაკუსზე, ზღვის ღვთაებაზე, მეთევზეებისა და მეზღვაურების მფარველზე, რომელიც მაგიური ბალახის წყალობით იქცა ღმერთად.

182 იგულისხმება ტანტალოსის ტანჯვანი.

XIX

ჰერო ლეანდრუს

- შორიდან სალამს მირჩენია, ჩემო ლეანდრე,
 მოხვიდე თავად და მომესალმო.
- შენთან ყოველი განშორება სიხარულს მართმევს,
 რა ვქნა, ვერ ვითმენ ამას, შემინდე.
- ცეცხლი თანაბრად გეწვავს ორივეს, მაგრამ მე — უფრო. 5
 ვეჭვობ, ქალს ჰქონდეს სიმტკიცე კაცის,
 ქალწული ტანად სუსტია და სულითაც ნაზი.
 დამაძაბუნა ლოდინმა შენმა.
- კაცებს რა გიჭირთ, ინადირებთ, მიხედავთ მამულს,
 წარმტაც სოფელში ღროს გაატარებთ, 10
 ზოგჯერ ფორუმსაც ესტუმრებით, ხანაც — პალესტრას,
 ხან ფიცხელ ცხენებს ამოსდებთ აღვირს,
 ხან ითევზავებთ, ხან ფრინველებს დაუგებთ მახეს,
 ღამეს გაათევთ ღვინში ღვინის სმით, 15
 აბა, მე რა ვქნა, ჩემი საქმე სიყვარულია,
 ჰოდა, ვაკეთებ, რაც შემიძლია.
- მიყვარხარ ისე, შენი გრძნობა ჩემთან ვერ მოვა,
 შენ, ერთადერთო იმედო ჩემო.
- საყვარელ ძიძას თავს ვაბეზრებ ჩუმი ჩურჩულით:
 „რატომ არ მოღის აქამდე, ნეტავ?“ 20
 ხან ზღვას გაეცქერი, ქარიშხლიანს ბრაზმორეული
 და ვუჯავრდები მეც შენებურად.
- ხან თუ მიყურდა ოღნავ, მაშინ ვივსები ეჭვით,
 მეჩვენება, რომ აღარ გინდივარ.
- ვწუწუნებ ასე და მევსება თვალები ცრემლით. 25
 ხელებით სახეს მიმშრალებს ძიძა.

- ხან ვაკვირდები ნაპირს, იქნებ კვალი ჩანს შენი,
აბა, სველ ქვიშას რა დაეტყობა.
- ხან აბიღოსელს ვეძებ, შენი ამბების მცოდნეს,
ანდა ბარათის შენთან წამომღებს. 30
- კიდეც რა ვითხრა, გულში ვიკრავ ტანსაცმელს შენსას,
ზღვაში შესვლის წინ რომ დამიტოვე.
- დღე ასე მიდის, იწურება მზის შუქი, მერე
გამობრწყინდება ღამით ვარსკვლავნი.
- მე მაღალ კოშკზე მობრიალე ჩირალდანს ვანთებ 35
გზის გასაკვლევად და ნიშანს გაძლევე.
- მერე თავს ვიქცევ ხელსაქმით და დავატრიალებ
თითისტარს ძაფის ამოსახვევად.
- ვინდა იცოდე, რას ვფიქრობ და რაზე ვსაუბრობ?
პირს მაკერია სახელი შენი. 40
- „ნეტავ სახლიდან გამოვიდა, ძიძავ, ლეანდრე,
თუ შიშობს, მშობლებს ჯერაც არ სძინავთ.
- იქნებ სამოსი გადაიძრო მხრებიდან უკვე
და ზეთიც იცხო სურნელოვანი.“
- თავს მიკანტურებს ძიძა, ჩვენი კოცნის დარდი აქვს?
თვლემს მოხუცი და თავს ძლივს იმაგრებს. 45
- ცოტა ხნის შემდეგ ისევ ვიწყებ: „ახლა კი მოდის,
დალღილ მკლავებით მოაპობს ტალღებს“.
- მოვრჩი ხელსაქმეს, შენზე ფიქრი კვლავ არ მასვენებს,
„იქნება შუა ზღვაშია ახლა“. 50
- კვითხულობ ისევ, ტალღებს გავცქერ, ვლოცულობ ჩუმად,
ზურგქარმა ხელი რომ მოგიმართოს.
- ჩემს ყურებს ოღნავ ფაჩუნიც კი არ გამორჩება,
მომეყურება შენი ხმა თითქოს.
- საცაა ღამეც მიიღევა, მოულოდნელად 55
ეწვევა თვალებს, დაქანცულს რული.

- იქნებ სალისით აღარ იწევე ჩემკენ, მაცდურო,
 არ გინდა მოსვლა, მაინც მოდიხარ?
 ზოგჯერ მგონია, რომ მოცურდი ნაპირთან უკვე
 და მკლავებს მიშვერ, რომ მომეხვიო. 60
- მოსასხამს გაწედი, როგორც ადრე, სველი ტანისთვის,
 შემდეგ მკერდს გითბობ ჩემივე მკერდით.
 ტკბილ მოსაგონარს რა გამოლევს, ოღონდ ყველაფერს
 ხომ ვერ გაეამხელ, მეჩოთირება.
- რა ხანმოკლეა, წარმავალი ბედნიერება, 65
 მე ისევე მძინავს, შენ რომ გარბიხარ.
 ერთმანეთს როდის ჩავეკვრებით მხურვალედ მკერდში,
 მარადიული იყოს ეს ტრფობა.
- რამდენი ღამე სარეცელში ვწოლილვარ მარტო,
 რად გეზარება ზვიროვებთან შებმა? 70
 ზღვა, მართალია, ისევ ღმუის, არ არის სანდო,
 გუშინ ღამით ხომ შესუსტდა ქარი,
 რად გააცდინე დრო, ან რატომ შეშინდი, მითხარ,
 რატომ შემთხვევით არ ისარგებლე?
- იქნება ღაღგეს უკეთესი დრო ცურვისათვის, 75
 მაგრამ მერჩია გუშინ მენახე.
 თუმცა გაავდრდა უცაბედად, ზღვა შეიცვალა.
 შენ მოკლე დროშიც ასწრებდი მოსვლას.
- არ ინალვლებდი, ვფიქრობ, აქ რომ ჩაეტილიყავი,
 რას დაგაკლებდა ზამთრის სიცივე, 80
 ყურს დავუგდებდით ზამთრის ზუზუნს აუღელვებლად,
 ზღვის დამშვიდებას არც ვინატრებდით.
- რა გემართება, რატომა ხარ დამფრთხალი ასე?
 არ გაშინებდა ეს ყურე ადრე.
- მასხოვს, ერთხელ რომ გადმოცურე ზვირთები შმაგი, 85
 ბეერად მრისხანე ზღვა იყო მაშინ.

- მე გიყვიროდი: „ნუ იქნები თამამი ასე
და ნუ მანანებ შენს სიმამაცეს.“
- საიდან გაჩნდა შიში, გაქრა გაბედულება?
ტალღები გაკრთობს ნაცად მეზღვაურს? 90
- თუმცა, ჯობია, როგორც ადრე გჩვეოდა ისე,
რომ დაელოდო გამიიდარებას.
- ოღონდ გიყვარდე ისე, როგორც შენს ბარათში მწერ,
არ ჩაიფერფლოს მგზნებარე ცეცხლი,
ვერ შემამინებს ქარი, შენი დაგვიანებაც, 95
არ გააყოლო ქარს სიყვარული.
- იქნებ მცირეა გასამრჯელო სიმამაცისთვის,
არ ვიმსახურებ ამ თავგანწირვას.
- იქნებ თრაკიელს რძლად მიწუნებს მე აბილოსი,
რომ არ ვარ შენი ცოლობის ღირსი. 100
- ამის მოთმენა შემძლია, ოღონდაც ქალმა
არ დაგატყვევოს ხვევნა-ალერსით,
არ შემოგაჭდოს ყელზე მკლავნი და აღსასრული
არ დადგეს ჩენი სიყვარულისა.
- უწინამც მოვკედე, თუ ამ ცოდვით გულს დამიკოდავ,
შენს დანაშაულს ვიდრე გავიგებ. 105
- უსაფუძვლოა ჩემი ეჭვი, გულისტკივილი,
არ გამიგია ჭორები შენზე,
- მაგრამ სად ნახავთ შეყვარებულს, არ ჰქონდეს შიში,
შენი სიშორე ძალზე მაშინებს, 110
- ნეტავი იმას, ვისაც სატრფო ახლოს ეგულვის,
არ მოტყუვდება, გაიგებს ღალატს.
- გაურკვეველობა მალეღვებს და უსამართლობა,
თავად ჩემ მიერ გამოგონილი.
- ნეტავი მალე მოხვიდოდე, ან გაბრკოლებდეს 115
გრიგალი, მამა და არა – ქალი.

- ეს რომ გავიგო, უმაღლესი დარდი მომიღებს ბოლოს,
 თუ შენ ეს გინდა, დაიდე ცოდვა.
- თუმც უცოდველი რომ ხარ, ვიცი, ტყუილად ვშიშობ,
 ცდილობ წამოსვლას, გებრძვის ავდარი. 120
- ვაიმე ბედრკულს! როგორ უტევს ტალღები ნაპირს
 და ფარავს ზეცას სქელი ღრუბელი.
- ზღვაზე დაეშვა ეგებ ჰელეს კეთილი დედა
 წყალში დაღუპულ შვილის სატირლად.
- იქნებ წყლის ქალღმერთს გერის გამო სძულს ეს ადგილი 125
 და ზღვას ამფოთებს დედინაცვალი.
- არა, არ უყვარს გოგონები ამ ყურეს დღესაც,
 ჰელე იმსხვერპლა, არც მე დამინდობს.
- ნეტუნო, შენ რომ გაიხსენო ძველი ვნებანი,
 არ დააბრკოლებ სიყვარულს ქართ. 130
- თუ მართალია, ცოდვა გადევს მშვენიერ ტიროს
 და ამიმონეს, ულაძაზესი
- ალკიონეს და კალიკესი, მედუზაც გახსოვს,
 ჯერ რომ არ ქჷონდა ნაწნავნი გველის,
 ოქროსთმიანი ლაოდიკე და ცად ასული 135
 კელენო... კიდევ ვინ მოვიგონო?
- მათზე პოეტებს ბევრი უთქვამთ, ნეტუნო. ვიცი,
 ჩაგიკრავს გულში რამდენი ქალი.
- მაშ, რატომ გვებრძვი და ქარიშხლით გვიკეტავ ყურეს,
 შენც ხომ გიგრძენია ძალა ტრფობისა, 140
- დამშვიდდი, რისხვა გაშლილ ზღვაზე გადაიტანე,
 ეს ყურე, ვიწრო, ძლივს ჰყოფს ორ ნაპირს.
- შენ შეგიძლია შეაშფოთო დიდი გემები
 და დაამსხვრიო მთლიანად ფლოტი.
- ჭაბუკთან ბრძოლა არ შეგფერის. ითაკილებდა 145
 ასეთ დიდებას ტბორის ბატონიც.

- წარჩინებული გვარი კი აქვს, მაგრამ რას ერჩი,
არ არის იგი ულისეს მოდგმის.
- გთხოვ შეგვიბრალე ორიენი. სატრფო ზღვაშია,
იმედის თვალთ შეეყურებ ყურეს. 150
- ლამპარიც დავდგი. უცებ მესმა ტკაცანი მისი,
ბედნიერების მაუწყებელი.
- ძიძამ მოწრუბა ღვინო, ცოტაც შეასხა ცეცხლში:
თქვა, ხეალ სტუმარი გვეყოლებათ.
- შემოგვემატე, გადმოეშვი ზღვაში, ლეანდრე, 155
და ჩამიკარი გულში მხურვალედ.
- ღროა, შენს ბანაკს დაუბრუნდე და შენს სიყვარულს,
სანამ მეძინოს ეულად, მარტო.
- ნუ კრთი, ვენუსი შეგიბრალებს, ზღვისგან შობილი,
გატარებს წყალზე, გზას გაგიკვალავს. 160
- მეც შემიძლია შუა ზღვაში განავარდება,
მაგრამ კაცს უფრო არ მტრობს ეს წყალი.
- გადაიარა იგი ფრიქსემ, დის სახელი კი
შერჩა ქალწულის დამღუპველ ყურეს.
- იქნება შიშობ, არ გვეყოფა დრო აქეთ-იქით, 165
ან ვერ გაუძლებ ორჯერ გაცურვას.
- მაშინ შეგვხვდები შუა ზღვაში, შეგეგებები,
მიუვალერსოთ ერთმანეთს კოცნით,
- მერე ჩვენს სახლებს დავუბრუნდეთ, ჩვენსავე ქალაქს.
ასე ჯობია უნახაობას. 170
- სირცხვილის შიშით რატომ უნდა შევხვდეთ მალულად,
ჭორები რატომ აფრთხობს სიყვარულს?
- ცულად შერწყმულა ერთმანეთში ტრფობა და რიდი,
კდემა შემფერის, ტრფობა მაგიჟებს.
- ერთხელ ესტუმრა იასონი კოლხეთს, იქიდან 175
გემით მელეა წამოიყვანა.

- ეწვია სპარტას პარისი და ტროას დაბრუნდა
 მოტაცებული ქალით იდელი.
- შენ კი სატროფოსთან აქეთ-იქით იმდენს დაცურავ,
 ხომალდს დაღლიდა ასე ხშირი გზა. 180
- ტალღებს აშფოთებ შენი ცურვით, მაგრამ ეცადე
 არ გათამამდე, ერიდე ცოტა.
- მკვიდრად ნაგებიც იძირება აქ ხომალდები,
 შენი მკლავები ხოფებს აჯობებს?
- მეზღვაურებიც გაურბიან ამ საშიშ ყურეს,
 ამსხვრევს ტალღები ხშირად აქ გემებს. 185
- რა ექნა, ლეანდრეც, გაფრთხილებ, თან არ მინდა მენდო,
 იყავ მამაცი, გთხოვ, გევედრები.
- ოღონდაც მოდი, შეერკინე ზვირთებს თამამად
 და მომეხვიე დაღლილ მკლავებით. 190
- რამდენჯერაც კი ზღვას გაეხედავ და ცისფერ ტალღებს,
 რაღაცის შიში გულს ეუფლება.
- მასფოთებს სიზმრის გახსენება წუხანდელ ღამის,
 თუმცა ზეარაკი შეეწირე წმინდა,
- როცა ლამპარი ქრება დილით, განთიადისას,
 სარწმუნო არის სიზმრები თურმე. 195
- წუთით ჩავთვლიმე, გამივარდა ხელიდან ძაფი,
 მოსასვენებლად მივეყრდნე ბალიშს.
- უცებ მეზმანა (თითქმის ცხადად ვხედავდი) ზღვაში
 როგორ ებრძოდა ტალღებს დელფინი. 200
- მერე კი ზვირთმა გამოაგლო სველ სანაპიროს,
 იქვე დაღია საბრალომ სული.
- შეეშინდი ძლიერ (არ დამცინო ამ სიზმრის გამო),
 ნუ მიენდობი ბობოქარ ტალღებს,
- თუ შენი თავი არად გიღირს, მე შემიბრალე,
 გწამდეს, უშენოდ თავს არ ვიცოცხლებ. 205

ქარი ჩადგება, იმედია, ზღვა დაწყნარდება
 და გადმოლახე მშვიდად ტალღები,
 სანამღე ყურე გზას გიკეტავს, გაუძელ სევდას
 განშორებისა წერილის კითხვით.

210

◇
 ჰეროს საპასუხო წერილში ჩანს ტრაგიკული ფინალი ახალგაზრ-
 დების სიყვარულისა. ჰეროს მიერ სიზმრად ნანახი დელფინი
 ლეანდრეს ალეგორიული სახეა.

123-124 იგულისხმება ნეფელე.

125 ათამანტის ცოლი ინო, ჰელესა და ფრიქსეს დედინაცვალი
 ნეპტუნმა წყლის ქალღმერთ ლეკოთეად აქცია.

134 საშინელი ურჩხული ადრე ლამაზი ქალწული იყო.

148 ნეპტუნი დევნიდა ულისეს (ოდისეოსს).

XX

აკონტიუსი კიდიკუს

- ნუ შიშობ, ფიცის არ მოგიწევს ისევ დადება,
 ხომ შემომფიცე ერთხელ, ეს კმარა.
 განაგრძე კითხვა, უძლურება დატოვებს სხეულს,
 ჩემი ტკივილი ოდნავ შენსას ჰგავს.
 რამ გაგაწითლა ასე? ვეჭვობ, დიანას სახლში
 დაწვები ასე რომ შეგფაკვლოდა. 5
 მინდა მიყვარდე, როგორც ცოლი და არა – ხარჭა,
 ცოლქმრულ ფიცს ვითხოვ, არა – მრუშობას.
 გაიმეორე ის სიტყვები, წარწერა ვაშლზე.
 მე რომ ხელებთან გამოგაგორე. 10
 მას იქ იპოვი, შენ, ქალწულო, რასაც შემპირდი,
 ქალღმერთზე მეტად, მსურს შენ გახსოვდეს.
 ახლაც მინდიხარ როგორც აღრე, უფრო მეტადაც,
 გამიძლიერდა ცეცხლი ტრფობისა.
 თანდათანობით გაიზარდა იმედი ჩემი
 და სიყვარული, შენი წყალობით. 15
 შენ გამიღვივე ცეცხლი უფრო, დამემოწმება
 ქალღმერთი თავად, უარყოფ განა?
 იქ იყო იგი, გაიგონა შენი სიტყვები,
 თმების შერხევით დაადასტურა. 20
 იქნებ თქვა, ჩემმა ცბიერებამ რომ შეგაცდინა –
 მიზეზი ჩემი სიყვარულია.
 მსურს შეგეუღლო ამ სიცრუით, შენმა წუწუნმა
 იქნება უფრო დაგვაახლოვოს.
 ბუნებით არ ვარ მე ცბიერი, არა მჩვევია, 25
 შენ მაიძულე, მენდე, ქალწულო.

- და თუ გავბედე ამ სიტყვების შენთვის მოწერა,
 ამურმა იგი მომაწერინა.
- ამ ონავარი ღმერთის რჩევით, მისი კარნახით,
 გამოვიგონე ფორმულა ფიცის. 30
- იყოს ტყუილი ეს, მიწოდონ, დე, თითლიბაზი,
 მიეტყვება მას, ვისაც უყვარს.
- აი, ისევ გწერ და გიგზავნი ვედრების სიტყვებს,
 გაქვს საწუწუნო, კვლავაც გატყუებ.
- თუ ჩემი ტრფობით გულს გიწუხებ, განვაგრძობ ისევ, 35
 გაფრთხილდი, მაინც გახდები ჩემი.
- სხვები მახვილით იტაცებენ სანუკვარ ქალებს,
 მე წარწერით ვცდი, იქნება ცოდვა?
- ღმერთებმა ძალა მომცენ იმის, დავხლართო კვანძი,
 რომ ფიცისაგან ვერ იხსნა თავი. 40
- ათასი ხერხი უნდა ვცადო სიყვარულისთვის
 და მე კი ამ დროს მოვდუნდი უცებ.
- ძნელია შენი მოტაცება, წაგიყვან მაინც,
 თუმც ყველაფერი ღმერთთა ნებაა.
- ვერ გაექცევი შენ ამურის დაგებულ მახეთ, 45
 რა ფანდები აქვს, შენ არც კი იცი.
- თუ ეს ხრიკები არ გამოდგა, ვცდი იარაღსაც
 და დაგატყვევებ მხურვალე მკერდით.
- მე არც პარისის ქცევას ვკიცხავ და არც სხვა ვინმეს,
 ქმარს უნდა ჰქონდეს ღირსება კაცის. 50
- მეც... ჯობს გაეჩუმდე... არ მაშინებს სიკვდილით დასჯაც,
 შენს დაკარგვას კი მე ვერ ავიტან.
- ასე ლამაზი რომ არ ვიყო, არ ვიწუხებდი,
 შენმა მშვენებამ გამხადა შმაგი.
- შენი თვალები, სიკაშკაშით მჯობნი მნათობზე,
 არის მიზეზი ჩემი ცეცხლისა. 55

- ოქროს ნაწნავნი, ნაზი ყელი, სპილოსძეღლისფერი,
 მკლავნი... ო, ნეტავ მომხვევდე ყელზე,
 შენი სიტურფე, შენი სახე კდემამოსილი,
 ფეხები... ალბათ, თეტისის მსგავსი. 60
- ნეტავ შემეძლოს, რომ შენ სრულად შევასხა ხოტბა,
 შენი სიტურფის შესაფერისად.
 შენი მშვენებით მოხიბლულმა, რად გიკვირს. თუკი
 დაგაცდენინე ფიცის სიტყვები.
- ტყვე რომ ხარ ჩემი, აღიარებ, თუმც იძულებით, 65
 დარჩი, ქალწულო, კვლავ ჩემს მახეში.
 მოვითმენ მტრობას, არ მერგება ამისთვის ჯილდო,
 შედეგად ჩემი დანაშაულის?
- ხომ გაჰყვა უკან გმირ ტელამონს ჰესიონე და
 ტყვე ბრისეისი მამაც აქილევსს? 70
- გინდ განრისხდი და გამამტყუნე, ოლონდ შემეძლოს
 რომ დაეტკბე შენი გაბრაზებითაც.
 გამომიცდია, რისხვას მუდამ სიმშვიდე მოსდევს,
 ნეტავ შენც ოდნავ დაწყნარდებოდე.
- ნება მიბოძე მოგეახლო ატირებული 75
 და გესაუბრო თვალცრემლიანი.
 ხელებით წვივზე მოგეხვევი, როგორც მსახური,
 როზგის დანახვით შეწუხებული.
- ნება გექნება მიხმო შენთან, ვით დამნაშავე,
 და ქალბატონმა მიბრძანო, რაც გსურს. 80
- თმებში მწვდე უნდა განრისხებით, შენი თითებით
 ჩამომიკაწრო სახე და პირი.
 ამას მოვითმენ, ოლონდ ვშიშობ, ჩემი ცემის დროს
 არ დაიშავო ნაზი ხელები.
- ნუ შემკრავ ჯაჭვით და ნურც ხუნდით, გემსახურები 85
 შენ სიყვარულით დამონებულნი.

- და თუ ინებებ დამშვიდებას, თვით აღიარებ:
 „როგორ მითმენს და როგორ ეუყვარვარ,“
 ჩემს მორჩილებას როცა იგრძნობ, თავს შეუძახებ:
 „დე, მემსახუროს ასეთი კაცი“.
- 90
- მე კი შორსა ვარ, ბრალდებული, არ მყავს დამცველი,
 მართალიც ვიყო, ვინ გამამართლებს.
 შენ გაქვს უფლება გამამტყუნო ამ წერილისთვის,
 თუ გსურს, უწოდე მას უსამართლო.
- 95
- ჩემს თავს არ ვწუხვარ, დელიას ხომ ვერ მოატყუებ,
 არ შეუსრულებ ქალღმერთს პირობას?
 მოფრინდა, გნახა, რომ გაწითლდი მოტყუებულნი
 და ფიცი შენი გულს ჩაიბეჭდა,
 დაირღვეს აღთქმა, მაგრამ არ მსურს, შეურაცხყოფილ
 ქალღმერთმა რისხვით იძიოს შური.
- 100
- ამის მოწმეა კალიდონის ტახტი, მძვინვარე
 და შეილის მიმართ სასტიკი დედა.
 ქალღმერთის რისხვას აქტონიც ვერ გადაურჩა,
 მას, ირმადქცეულს, ეცნენ ძალღები,
 ასევე, დედა მედიდური, სალ კლდედ ქცეული,
 ახლაც მტირალი დგას ფრიგიაში.
- 105
- ვშიშობ, ყველა რომ ჩამოვთვალე, არ გაიფიქრო,
 შენს მოტყუებას ვცდილობდე თითქოს.
 აბა, დაფიქრდი, გათხოვების დრო რომ მოაწვეს,
 შეუძლოდ ხდები და წევხარ მუდამ.
- 110
- ქალღმერთი ზრუნავს, გირჩევს იყო სიტყვის ერთგული,
 არ დაარღვიო შენი პირობა.
 რამდენჯერაც კი დააპირებ ფიცის გატეხვას,
 შეცდომის ნებას არ გაძლევს იგი.
- 115
- ნულარ აღელვებ მრისხანე შუბს ამაყ ქალღმერთის,
 თუ დამშვიდდები, იგი შეგინდობს.

- გთხოვ, ნუ გადალლი აღზნებული შენს ნაზ კიდურებს,
 დამატკებე შენი ლამაზი სახით.
- ეს გამოხედვა იყოს ჩემთვის ცეცხლის მომღები
 და თეთრ ლაწევებზე სიმორცხვე ნაზი. 120
- შენ რომ ავად ხარ, რასაც მე ვგრძნობ, ის იგრძნოს მტერმა,
 ვისაც უნდა, რომ არ გახდე ჩემი.
- არ ვიცი, უფრო რა დამტანჯავს, სნეული გნახო,
 თუ საპატარძლოდ გამზადებული.
- ხან ვწუხვარ, რომ ვარ მე მიზეზი შენი ტკივილის,
 ვფიქრობ, გაშფოთებ ჩემი ხრიკებით. 125
- მე დავისაჯო მირჩევნია, შენ თუ ფიცს გატეხ,
 საკუთარ თავით ვაგო პასუხი.
- შეშფოთებული გითვალთვალე ხშირად შენს კართან,
 გავიგო, სად ხარ და რას აკეთებ. 130
- ფეხდაფეხ დავდევ ჩუმად მსახურთ, როგორ გივლიან,
 შენს ვახშამზე და ძილზე ზრუნავენ?
- ვაი, არ ძალმიძს რჩევა მოგცე, როგორც ექიმმა,
 საწოლთან მჯდარმა შეგახო ხელი,
- ვაიმე, იქნებ (წარმოდგენაც არ მსურს ამისი),
 მე შორს ვარ და შენ სხვა ვინმე გშეეღის, 135
- შენს სასთუმალთან ჩამომჯდარი ხელს ხელზე გისვამს.
 არც ღმერთებს მოსწონთ იგი და არც მე.
- ხშირად გისინჯავს მაჯისცემას ის ცერა თითით,
 შენი ქათქათა მკლავი უჭირავს. 140
- მკერდზე გეხება და მალულად გკოცნის იქნება,
 დიდ ჯილდოს იღებს სამსახურისთვის.
- ვინ მოგცა ნება სხვის მოსავალს დაეპატრონო,
 სხვის იმედს, ამის გზა ვინ გასწავლა?
- შენ რომ უტიფრად კოცნი თეთრ მკერდს, იგი ჩემია, 145
 ჩემთვის განკუთვნილ ტანს ნუ ეხები.

- აიღე ხელი, ურცხვო, იგი ჩემი გახდება,
 ეს არ გაბეღო მეტად, გარყენილო!
 სხვა ქალი ნახე, რომლის გამო არ დაისჯები,
 იცოდე, ამას რომ ჰყავს პატრონი. 150
- თუ არა გჯერა, წაიკითხე ფორმულა ფიცის,
 ყალბია? თვითონ მას წააკითხე.
 სხვის საძინებელს გაეცალე, მე გეუბნები,
 წადი, რა გინდა აქ, ამ საწოლთან?
- შენ თუ გაქვს ფიცი ამდაგვარი? შენ სხვა უფლება 155
 გექნება, ჩემგან განსხვავებული.
 მან შემომფიცა, შენ კი მამა შეგპირდა მის თავს,
 მამის სიტყვის წინ ქალის ფიცი ღვას.
 მამამ შენ მოგცა ფიცი, ქალმა კი — მეტრფეს, იმას
 კაცნი ჰყავს მოწმედ, ამას — ქალღმერთი. 160
- მამას ცრუ არ სურს იყოს, შვილს კი — ფიცისგამტეხი.
 რომელი უფრო ღიღი ცოდვას?
 ეს ორი საფრთხე შეადარე, შედეგი ნახე,
 ქალს უჭირს, წევს და მამა ჯანზეა.
 განსხვავებული ხერხები გვაქვს ორივეს ბრძოლის: 165
 იმედიც, შიშიც შენ სხვა გაქვს, მე — სხვა.
 შენ არ გაშინებს საფრთხე, მე მარცხს სიკვდილი მიჯობს.
 იქნებ შენც იგრძნო ის, რასაც მე ვგრძნობ.
 პატივისცემა რომ გქონოდა კანონ-სამართლის,
 ჩემს სურვილს წინ არ აღუდგებოდი, 170
- თუ უსამართლოდ, თავგანწირვით ის იბრძვის შენთვის,
 აზრი აქვს წერილს, ჩემსას, კიდიპე?
 ავად მის გამო ხარ და ეჭვობს შენზე დიანა,
 ზღვარს არ გადახვალ, თუ ხარ ჭკვიანი.
 გაბედავ ამას? განსაცდელი მოგელის მძიბე, 175
 ჯობს დაისაჯოს ის, ვინც გაწვალებს.

- თუკი მას ხელს კრავ, ქალღმერთს ვინც სძულს, არ შეიყვარებ,
შენთან მოვირბენ და დამიხსენი.
- შიში შეწყვიტე, ქალწულო, და იფიქრე ხსნაზე,
გახსოვდეს, აღთქმა დადე ტაძარში. 180
- ღმერთებს ხარების მსხვერპლშეწირვა კი არ ახარებთ,
არამედ ფიცის ერთგულად დაცვა.
- ჯანმრთელობისთვის ზოგი ითმენს ცეცხლსა და მახვილს
და ზოგს კი შეელის მწარე წამალი.
- ეს არაფერი არ გჭირდება, ფიცს ნუ დაარღვევ,
დაიცავ სიტყვა, მე რომ მომეცი. 185
- მოგეტყვება ძველი ცოდვა, დაგავიწყდება,
წარსულში ფიცი, რაც მიგიცია.
- მიჯაჭვული ხარ ჩემს სიტყვებზე და თუმცა ცდილობ
დაფარვას ამის, თავს გასცემ უფრო. 190
- მშობიარობის დროს მოუხმობ, გაურბი ვისაც,
რომ მოგაშველოს, ქალღმერთმა ხელი.
- იგი ყველაფერს კითხულობს და ჩაგეძიება,
ქმარი ვინ არის, ბავშვს ვისგან ელი.
- აღთქმას დაუდებ?.. მან იცის, რომ არ ამბობ მართალს,
შეჭფიცავ? იცის, ატყუებ ღმერთებს. 195
- ჩემზე არავინ გკითხავს რამეს, მე ვფორიაქობ,
შენი მიზეზით დიდ ტანჯვაში ვარ.
- რატომ შფოთავენ და ტირიან შენი მშობლები?
ეჭვობენ, ცოდვა გადევს ფარული? 200
- რატომ უმაღავე? მოუყევი სიმართლე დედას,
კიდიპე, რისი გრცხვენია, ნეტავ.
- უამბე ყველა დაწვრილებით: როგორ გაგიცან.
მშვილდოსან ქალღმერთს მსხვერპლს რომ სწირავდი.
- როცა უეცრად დაგინახე (შენც შემამჩნიე?),
შენმა მშვენებამ მომტაცა თვალი. 205

- გავვოცდი მეტად, ჭეშმარიტად შლევს დავემსგავსე,
მხრებზე ლაბადა ჩამოგიცურდა.
- მერე... არ ვიცი, რანაირად გაგორდა ვაშლი,
ფიცის სიტყვებით ამოკაწრული. 210
- რადგან დიანას თანდასწრებით ის წაიკითხე,
შებოჭილი ხარ ლეთიური ფიცით.
- დედისთვის უცხო რომ არ იყოს წერილის არსი,
გაიმეორე კვლავ ის სიტყვები.
- ის გეტყვის: „ცოლად მას გაჰყევ, ვინც ღმერთებმა გიძღვნეს,
ვისაც შეჰფიცე, სიძელ მივიღებ,
ვინც უნდა იყოს, მოვიწონებ დიანას რჩეულს“.
- ასე იტყოდა ნამდვილი დედა.
- თუ მოინდომა ვინაობის გაგება ჩემი,
უთხარ, ქალღმერთმა გირჩია იგი. 220
- კეა ცნობილი კუნძულია ეგეოსის ზღვის,
ნიმფათ სადგომი კორიკიელთა,
სამშობლო ჩემი. გვარიშვილობით ცნობილი ვარ,
არც წინაპრებით ვარ დასაწუნი.
- მდიდარიც ვარ და სახელიც მაქვს შეუბღალავი. 225
დამაკავშირა შენთან ამურმა.
- ასეთ ქმარს ალბათ ინატრებდი, ფიცის წყალობით
თავად გაპოვნა ასეთმა ქმარმა.
- ფებემ სიზმარში, მშვილდოსანმა ამურმა ცხადში
მიბრძანა ფიცის დაწერა შენთვის. 230
- ერთის ისრების სიმწარე მე ვიგევე უკვე,
შენ გაუფრთხილდი მეორის ისრებს.
- იზრუნე თავზე და ჩემზედაც, ჩვენ ერთი ხსნა გვაქვს.
ეჭვობ, გვჭირდება ჩვენ შველა ერთი?
- თუ ეს მოხდება, აღსრულდება აღთქმა, დელოსი 235
შეიღებება სამსხვერპლო სისხლით.

სანუკვარ ვაშლის დაიდება ოქროს ქანდაკი,

ზედ წაწერილი იქნება ლექსად:

„აკონტიუსის ვაშლი იმის დასტური არის,

240

რომ აღსრულდება ფიცი უთუოდ.“

აღარ გადავლლი შენს ნაზ სხეულს გრძელი წერილით,

ვამთავრებ მოკლედ: კარგად იყავი.



კუნძულ კეოსში მცხოვრებ ჭაბუკს, აკონტიუსს შეუყვარდა ათენელი ქალწული, კიდიპე, რომელიც ლესბოსზე გაიცნო არტემიდას (დიანას) დღესასწაულზე. მან ასეთ ხრიკს მიმართა: ვაშლი მიუგორა ქალწულს, რომელზედაც დიანასადმი ფიცი იყო ამოკაწრული, რომლის თანახმად (წარწერის წამკითხველი) აკონტიუსის ცოლი უნდა გამხდარიყო. მაშინდელი ჩვეულების მიხედვით, ნაწერს ხმამაღლა კითხულობდნენ. ასე რომ, კიდიპემ წაიკითხა ფიცი და ამდენად იგი აკონტიუსის ცოლად ითვლებოდა. ფიცის დარღვევის შემთხვევაში იგი დიანას რისხვას დაიმსახურებდა.

69 ჰესიონე, ტროის მეფის, ლაუმედონტის ქალიშვილი, ჰესიონე ჰერაკლემ ურჩხულისაგან იხსნა, შემდგომ იგი გადასცა ტროის დალაშქერის მონაწილე გმირს, ტელამონს (აიაქსის მამას).

95 დელია, დიანა.

105 აპოლონისაგან და დიანასაგან დასჯილი ნიობე, რომელიც აპოლონმა და დიანამ დასაჯეს ამპარტავნობისათვის და დაუბოცეს შვილები, კლდედ იქცა.

111 კალიდონის ნადირობის გმირი, მელეაგრე, დედამ დასწყევლა, რადგან მას ბიძები (დედის ძმები) შემოაკვდა.

192-195 საუბარია მშობიარობის ქალღმერთ ლუცინაზე.

XXI

კიდევ აკონტიუსს

- ჩემად და უხმოდ წავიკითხე შენი წერილი,
რომ ფიცი კიდევ არ დამცდენოდა.
- ვფიქრობ, კვლავ ცდილობ ჩემს შეცდენას, თითქოს არ იყოს
საკმაო ერთხელ რომ შემოგფიცე.
- არ ვაპირებდი მის წაკითხვას, მაგრამ, ვაითუ 5
განმრისხებოდა ქალღმერთი უფრო.
- თავს არ დავზოგავ და დიანას მივაგებ პატივს,
ის ჩემზე მეტად, მგონი, შენ გწყალობს.
- შენ ირწმუნები, რომ ისჯები სამაგალითოდ,
თითქმის ისე ვით კიპოლიტუსი. 10
- ქალწულობის წლებს ვერ ელევა ხშირად ქალწული,
ვმიშობ, ქალღმერთი მათ შემომოკლებს,
- ძალა არა მაქვს გავუმკლავდე ფარულ მიზეზებს,
არ ჩანს წამალი განკურნებისთვის.
- იცი, რომ ძლივს გწერ დაღლილი და ფერდაკარგული? 15
ვერ ვიმორჩილებ მკლავებს და ხელებს.
- ვმიშობ, სხვა ვინმემ, ძიძის გარდა, არ შეამჩნიოს
ეს მიმოწერა ჩვენი, ფარული.
- მშვიდად რომ ვწერო, კართან ზის და მდარაჯობს ძიძა,
ყველას არწმუნებს, რომ თითქოს მიძინავს. 20
- როცა საეჭვო გახდა ძილი ჩემი, ხანგრძლივი,
განმარტოების ვითომ მიზეზი,
- ჩემს სანახავად მოსულთ ძიძა წინ ვერ აღუდგა,
ჩაახველა და ნიშანი მომცა.
- სიტყვა, შუაზე გაწყვეტილი, არ დავასრულე, 25
უბეს ჩავიდე წერილი მყისვე.

- მერე მოედო თითებს უინი განეგრძოთ წერა,
 ხედები, რა დიდი ტანჯვა ხარ ჩემთვის?
 მართალს თუ ვიტყვი, მიჯობს მოვეკდე, ამის ღირსი ხარ,
 ზაგრამ ბუნებით გულმოწყალე ვარ. 30
- შენ გამო ბევრჯერ ჩემს სიცოცხლეს შექმნია საფრთხე,
 თუ დამისჯიხარ შენ ხრიკებისთვის?
 ჩემს სილამაზეს აქებ, მე კი რა მერგო ჯილდოდ?
 მან განსაცდელში ჩამაგლო მხოლოდ.
 ნეტავი უშნო შესახედად მოგჩვენებოდი,
 არ მივიქცევი შენს ყურადღებას. 35
- ახლა მადარდებს, ჩემ გამო რომ ქიშპობთ და დავობთ,
 ჩემი სიტურფე თავად მაწუხებს.
 შენ მას არ უთმობ ჩემს თავს, ისიც ასე იქცევა,
 იგი შენს სურვილს არ ცნობს, შენ — მისას. 40
- იმ ხომალდს ვგავარ, ბორეასს რომ შეჭიდებია
 და აქეთ-იქით ახეთქებს ტალღა.
 ჩემს მშობლებს როცა სასურველი დღე დაუდგებათ,
 უზომო ვნება გათანგავს სხეულს,
 ქორწინების ჟამს პერსეფონე მწუხარე სახით,
 ვაიმე, კარზე მომიკაკუნებს. 45
- მრცხვენია უკვე, შიში მიპყრობს, არ ვიცი რისი,
 ვგრძნობ დამატყდება ღმერთების რისხვა.
 ჩემს უბედობას მიაწერენ შემთხვევითობას,
 ან იმას, საქმრო არ მოსწონთ ღმერთებს, 50
- ზოგიერთები კი, იცოდენ, ეჭვობენ შენზე,
 ხმას აერცელებენ, ჯადო კქონდაო.
 ჩემს სენს ხედავენ, მიზეზს — ვერა. თქვენ ომს აჩალებთ,
 ანგრევთ მშვიდობას და მე მაწვალებთ.
 აბა, მითხარი, არ იცრუო, სიძულვილით რას
 გახლები, როცა ტრფობით გამტანჯე. 55

- მას, ვინაც გიყვარს, თუ აწვალე — გიყვარდეს მტერი!
 თუ გსურს მიშველო, ვერაგო, მომკალ.
- სასოწარკვეთილ ქალიშვილს თუ ვერ ეხმარები,
 დაე, იტანჯოს სენით, ჯობია. 60
- ამაოდ ქალღმერთს ევედრები ჩემი გულისთვის,
 თავს რით აწონებ? ხედავ, არ გისმენს.
- რა გსურს, დიანა არ გწყალობდეს? მაშ, დამივიწყე,
 არ შეგიძლია? ის დაგივიწყებს.
- ნეტავი მაშინ არ მენახა (ანდა არასდროს) 65
 დელოსი ზღვაში ეგეოსისა.
- ბობოქარ წყალში გზას გაუყვა ჩემი ზომალდი,
 თანდათანობით გაძნელდა ცურვა.
- რა ფეხზე ავდექ და რომელი ფეხით შევეხე
 ჭრელად მოხატულ ჭვინტს ზომალდისა. 70
- ორჯერ მოგლიჯა გემს აფრები ქარმა ბოროტმა
 (არა, მოკეთე ყოფილა იგი).
- მებრძოდა, უკან მაბრუნებდა და ხელს მიშლიდა,
 მეგრძნო სიამე მოგზაურობის.
- ნეტავი მუღამ ყოფილიყო ასეთი შმაგი 75
 (მაგრამ ქარს როგორ ეუსაყვედურო?).
- სახელგანთქმული დელოსისკენ მივიჩქაროდით,
 გზა გაიჭიმა, არ სრულდებოდა.
- ზშირად ყვირილით ვაჩქარებდი ზანტ მეზოფეებს,
 ეწუხდი, აფრები ქარს ვერ უძლებდა. 80
- მიკოს, ტენელოს და ანდროსი ჩამოვიტოვე,
 თვალწინ დამიდგა თეთრი დელოსი.
- შევიძახე ასე შორიდანვე: „რატომ გარბინხარ
 და ცურავ ზღვაში ადრინდელივით“.
- ნაპირს მივაღექ, მწუხრი იყო. მზე ხსნიდა უკვე 85
 უნაგირს თავის მეწამულ ცხენებს.

- დილისთვის, როცა ჩვეულებრივ იხმო ისინი,
 დედის ბრძანებით თმა დავივარცხნე,
 თითი ბეჭდით და ოქროს სარჭით თმა დამიმშვენა,
 თვითონ მომასხა ბეჭზე სამოსი. 90
- კუნძულის ღმერთებს მოსულემა შორეულ მხრიდან
 თაყვანი ვეცით საკმევლით, ღვინით.
 მამა მსხვერპლის სისხლს აპკურებდა საკურთხეველთან
 და კერიასთან აწყობდა გულ-ღვიძლს.
 მე მზრუნველ ძიძას მივეყვებოდი მაღალ ტაძრისკენ,
 ვხეტიალობდით წმინდა კუნძულზე. 95
- სვეტთა კოლონას, ურიცხვ ქანდაკთ ვაკვირდებოდი,
 ვუცქერდი კრძალვით მეფეთ საჩუქრებს.
 რქებისგან ნაგებს შევეყურებდი საოცარ ტაძარს,
 იმ ხეს, ქალღმერთმა სად შვა ტყუპები. 100
- მინდა გადმოვცე ყველაფერი, თუ გავიხსენე,
 რაც კი რამ ვნახე კუნძულ დელოსზე.
 ეტყობა, მაშინ, აკონტიუს, მომკარი თვალი,
 მიამიტობამ ჩემმა მოგზიბლა. 105
- ღიანას ტაძრის საფეხურებს ავუყევ ზევით,
 და ერთ უსაფრთხო ადგილს შევჩერდი.
 უცებ... ფეხებთან გამიგორდა ვაშლი წარწერით:
 ვაიძე, ფიცმა შენი გამხდა.
 ძიძა ვაშლს დასწვდა გაოცებით, მთხოვა წაკითხვა:
 წარმოვთქვი შენი ლექსი, პოეტო. 110
- როცა ვახსენე ქმრის სახელი, მოვკვდი სირცხვილით,
 ვიგრძენ, მომელო სახეს აღმური.
 ვნახე თვალები შენი, ჩემს მკერდს მიშტერებული,
 თვალები, შენი სურვილის მონა.
 რა გიხარია, უტიფარო, დიდებას აღწევ?
 ვაჟკაცობაა, დასცინო ქალწულს? 115

- არ ემდგარეარ შენ წინ ფართთა და მახვილით ხელში,
როგორც ტროაში პენტესილაე,
არ მიჩუქნია პიპოლიტეს მსგავსად სარტყელი,
ნაჭედი ოქროს, ამაზონური. 120
- რა გიხარია, რომ სიტყვები წამომაცდინე?
მოეტყუედი, გაჭრა შენმა ოინმა.
ვაშლმა კიდივე შეაცდინა და ატალანტაც,
შენ ხარ მეორე პიპომენეესი. 125
- არ ვიცი, მართლა დაგატყვევა იმ ცელქმა ბიჭმა
და, როგორც ამბობ, გასწავლა ფანდი?
არ ჯობს სიკეთით გამარჯვება, ვიდრე ტყუილით?
თხოვნა გაჭრიდა, არა — სიცრუე.
- ჩემს მოპოვებას რომ ცდილობდი, რატომ არ მკითხე,
ჩემთვის თუ იყავ შენ სასურველი. 130
- რატომ არჩიე იძულება ჩემს დარწმუნებას,
იქნებ პირობა მომწონებოდა.
ეს შეთითხნილი ფიცი ვითომ გიშეულის რამეს,
ქალღმერთის მოწმედ დასახელება?
- არ მიმიცია მისთვის ფიცი, ეს იყო ფანდი. 135
- ძალას ფიცს მხოლოდ ქალღმერთი აძლევს.
პირობას დებენ გონიერულად, საღ აზრზე მყოფნი,
ტუსაღის ხუნდი არ არის იგი.
- თუკი შეგპირდი, ვისურვებდი მე შენს ცოლობას,
მაშინ იბრძოლე ქმრის უფლებისთვის. 140
- ჩემს უნებლიედ წამოსროლილს, ცარიელ სიტყვებს
დიდ მნიშვნელობას ანიჭებ მეტად.
- არ დამიფიცავს, წავიკითხე ნაწერი სხვისი,
მე ქმრად ამ წესით არ აგირჩევდი.
- სხვა მოატყუე ახლა ვაშლზე ნაწერი ფიცით, 145
ვინ იცის, იქნებ გამდიდრდე კიდეც.

- სიტყვა დასტყუე მეფეთ, თვისი სამეფო მოგცენ,
რაც გსურს ამ ქვეყნად, ჩაიგდებ ხელში.
მენდე, აჯობებ თვით დიანას, თუკი შენს წერილს
აქვს ღვთაებრივი ძალა ასეთი. 150
- მე თუმც უარი ვთქვი შენს ფიცზე, ერთგულებაზე,
ავწონ-დავწონე ეს საქმე კარგად.
შიში მაქვს მაინც, გამოვტყდები, დიანას რისხვის,
სხეულს სისუსტე არ მოერიოს. 155
- ბევრჯერ ყოფილა, საპატარძლოდ გამზადებული
ძირს დაცემულა უგონოდ ქალი.
სამჯერ გამექცა ჰიმენევსი საკურთხევილიდან,
ჩემს საძინებელს აქცია ზურგი.
დაატრიალა ჩირაღდანი მინაველებული,
ძლივს გააღვივა ჩამქრალი ცეცხლი. 160
- უხვად ღვეთავდა გვირგვინოსნის თმებიდან ზეთი,
წითლად ბზინავდა სამოსი მისი.
კართან მოსულმა ნახა ცრემლი, შიში სიკვდილის
და უცნაური შეხვედრა ღმერთთან. 165
- შუბლს მოიხადა გვირგვინი და გადაიწმინდა
აპრილებულ თმებზე ბალზამი.
შერცხვა მწუხარე ხალხს ენახა ხალისიანი,
მეწამულ ფერის გაუხდა სახე.
მე კი, საბრალო, ამიტანა ციებ-ცხელებამ,
ტანსაცმლის წონაც კი მამძიმებდა. 170
- ვხედავდი მშობლებს აცრემლებულთ და საქორწინო
მაშხალის ნაცვლად — გლოვის ჩირაღდანს.
მომხედე ტანჯულს, მშვილდოსანო, ნაზო ქალღმერთო,
მიხსენ, განმკურნე შენი ძმის წამლით. 175
- თუ ის მიზეზი არ იქნება ჩემი სიკვდილის,
შეგრცხვება, ეს თუ შენ დაგბრალდება.

- დაბურულ ტბაში ბანაობას რომ აპირებდი,
 შემოგეფეთე უეცრად ცხვირწინ.
- შენს ტაძარს გვერდით ჩავუარე და თუ გაკადრე,
 შენს მშობელ დედას ჩემი სჯობს-მეთქი? 180
- ბრალი არა მაქვს იმის გარდა, რომ შემოგფიცე,
 მაგრამ ველოდი ასეთ მზაკვრობას?
- მსხვერპლი გაიღე ქალწულისთვის, თუ არ მტრობ ტრფობას,
 შენ დამღუპე და შენვე მიშველე.
- რად ურისხდები შენ იმ ქალწულს, ვინც შენი იყო 185
 და უნდა რომ კვლავ შენ გეკუთვნოდეს.
- ქალღმერთო, შენი ერთგული ვარ მთელი არსებით,
 რატომღა მკლავ და იმედს რად მართმევ?
- არ დაიჯერებ, ის, ვისზედაც ვარ დანიშნული,
 მკლავებს მხვევს სნეულს და მეფერება. 190
- არ ავიწყდება ჩემ გვერდით მჯდომს, ახსოვს, ქალწულის
 წმინდა სარეცელს ვერ შეეხება.
- მაგრამ არ ვიცი, რას გრძნობს, როცა ცრემლი ფარული
 მიხეზის გამო თვალთაგან მცვივა.
- გაუბედავად მეფერება, მკოცნის და ზოგჯერ 195
 „ჩემო“-ს მიწოდებს ხანდახან ფრთხილად.
- არ მიკვირს, ალბათ ხვდება რამეს (თავს გავცემ იქნებ),
 როცა ის მოდის, გვერდს შევიბრუნებ,
- თავს ვიმძინარებ, ხმას არ ვიღებ, ხელზე თუ მწვედება,
 არ ვიძინე ამას, თითქოს ვერ ვგრძნობდე. 200
- კენესის და ოხრავეს ჩუმაღ, ფიქრობს, რომ მაწყენინა
 (არ იმსახურებს ამ ტანჯვას იგი).
- შენ კი, რატომღაც, გსიამოვნებს ჩემი განცდები,
 ვაიმე, მგონი, აღელვებ ჩემს გულს.
- სამართლიანად ვეკავრობ შენზე, რისხვით ვენტები, 205
 ბადე რომ ჩემკენ გადმოისროლე.

- მწერ, რომ სურვილი გაქვს, სნეული მომინახულო,
 შორიდან ვითომ ნაკლებად მტანჯავ?
 აკონტიუსი რატომ გქვია, ახლა არ მიკვირს,
 შუბით რომ მსხვერპლი იოლად დაჭრა. 210
- შენი იარის გამო ჯერაც ვერ გამოვეკეთდი,
 შენმა წერილმა შორიდან დამჭრა.
- აქ რად მოდიხარ, რომ დამხედო მე, საპყრადქცეულს,
 თუ შენი ნიჭის ნახო შედეგი?
- დარდისგან გავხდი და ისეთი ფერი მაქვს, შენს ვაშლს 215
 რომ ჰქონდა მაშინ (თუ კარგად მახსოვს).
- მკრთალი სიწითლეც არ ემჩნევა ქათქათა სახეს,
 ვით მარმარილოს, ჯერ ხელუხლებელს.
- ასეთი ფერი, მოვერცხლისფრო ედებათ ღვინში
 სტუმრებს, ცივ წყალს რომ ეწაფებიან. 220
- კიდევ რომ მნახო, ჩემი ცნობა გაგიჭირდება,
 იტყვი: „ამისთვის ეწვალობდი ასე?“
- ინატრებ, ფიცი არ ასრულდეს, არ გავხდე შენი
 და დაივიწყოს იგი ქალღმერთმაც. 225
- იქნება ახლა სულ სხვა ფიცი გამოიგონო
 და წასაკითხად გამომიგზავნო.
- ნეტავ ჩემ გვერდით დაგსვა ახლა, რაც თავად გსურდა,
 ნახო საცოლე შენი, სნეული.
- მკერდში შეიგრძნობ ტკივილს, თითქოს დაგჭრეს მახვილით,
 პატიებას მთხოვ შენი ფიცისთვის. 230
- წამალს ვერ პოვებ, გადარჩენა რომ შეძლო ჩემი
 და ღმერთს მიმართავ, დელფიკელს ალბათ.
- ისიც რაღაცას გაურკვეველად წაიბუტბუტებს,
 დისგან მოითხოვს, ფიცისგან მიხსნას.
- ფიციც, ღმერთიც და ორაკულიც ერთს ამბობს ყველა, 235
 შენი სურვილი უნდა შესრულდეს.

- ღმერთები მართლაც შენ გწყალობენ, ასე არ იყოს,
 ახალ ფიცს ალბათ მოიგონებდი.
- შენ თუ გშველიან ღმერთნი, მეც მათ ნებას მიეცევი, 240
 დამარცხებული ხელს ვიწვდენ შენკენ.
- სირცხვილისაგან ალანძულმა ვუამბე დედას,
 თუ როგორ დამცდა ფიცის სიტყვები.
- ახლა კი შენი ჯერი დადგა, მე რა ვქნა მეტი,
 ჩემი ბარათით გესაუბრები.
- კმარა, ხელები დამელაღა ამდენი წერით, 245
 უღონო სხეულს ვერ ვიმორჩილებ.
- სხვა რაღა გინდა, თანახმა ვარ შენი ცოლობის,
 ვამთავრებ წერილს ჩემსას, ნახვამდის.



კიდივე ამ წერილში საყვედურობს აკონტიუსს, რომ ასეთ გა-
 მოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა. იგი იძულებულია უარი უთხრას
 საქმროს, რომელიც მამამ შეურჩია და დათანხმდეს აკონტიუსს
 ცოლობაზე.

37-40 საუბარია კიდივეს საქმროზე, რომელიც მას მამამ შეურჩია.

69 მარცხენა ფეხით შესვლა ცუდის ნიშანი იყო.

84 დელოსი, გადმოცემის თანახმად, ადრე მცურავი კუნძული იყო.

85 მზის ღმერთი ხსნიდა ეტლიდან ცხენებს, ე. ი. საღამოვდებოდა.

99 ფეხუსის ტაძარი კუნძულ დელოსზე სამსხვერპლო ცხოველე-
 ბის რქებისგან იყო აგებული.

125 ცელქი ბიჭვი, ე. ი. ამური.

157-168 როცა ჰიმენეუსი ვერ ახერხებდა საქორწინო ჩირაღდნის
 ანთებას, ეს ცუდის მომასწავებელ ნიშნად ითვლებოდა.

174 შენი ძმის, ე. ი. აპოლონის.

177-180 იგულისხმება აქტეონის მითი.

209-210 „აკონტიუსი“ ნიშნავს ისრით დამჭრელს.

საკუთარ სახელთა საკიებელი

- აბილოსი**, ქალაქი პელესპონტის სანაპიროსთან, XVIII, 1, 127, XIX, 99.
- აბილოსელი**, აბილოსის მკვიდრი, XIX, 29.
- აბსირტე**, (აფსირტე) – მედეას ძმა ერთი ვერსიის მიხედვით, ჩვილი აბსირტე მედეამ აკუნა, მეორე ვერსიით, ჭაბუკი აბსირტე დაედუნა მედეასა და იასონს, რომლებმაც მუხანათურად მოკლეს იგი. XII, 112, 160.
- აგამემნონი**, მიკენის მეფე, აგრევის ძე, მენელაოსის ძმა, აქაველთა ლაშქრის მხედართმთავარი. III, 37, 83.
- აღონისი**, ვენუსის საგროფო, რომელიც გახზე ნადირობის დროს დაიღუპა. ქალღმერთმა იგი ყვავილად აქცია, IV, 98.
- აფგე**, ნიშფა, ათენას ქურუმი IX, 49.
- აფლიდი** (აფლისი), ბეოგიის ქალაქი, XIII, 2.
- აფრორა**, ცისკრის ქალღმერთი, III, 57, IV, 96, 87, XVI, 201.
- აზია**, XVI, 178.
- აზიელი**, XVI, 355, XVII, 209.
- ათამანტი** (ათამასი), ორქომენის მეფე, ფრიქსუსა და პელეს მამა, XVIII, 137.
- ათენა**, მებრძოლი ქალღმერთი, II, 83, 87XVI, 66, 81, 167, XVII, 133.
- ათისი**, საფოს მეგობარი, XV, 18.
- აიფი**, კოლხეთის მეფე, მედეას მამა, VI, 50, XII, 26, 29, 50, XVII, 231.
- აკასტუსი**, ლაოდამიას მამა, იოლკოსის მეფის, პელიასის ვაჟი. XIII.
- აკვილონი**, ჩრდილოეთის ქარი, XI, 13, XVI, 3, 345.
- აკონტიუსი**, კუნძულ კეას (კიას, კეოსის) მკვიდრი ჭაბუკი, XXI, 103, 209.
- ალექტო**, ერთ-ერთი ფურია. II, 119.
- ალკეოსი**, ბერძენი პოეტი, XV, 29.
- ალკიდესი**, იგივე პერკულესი, IX, 134, XVI, 267.

- ალკიონე**, კეიკის (კეიქისის) მეუღლე, რომელიც ალკუნად იქცა, XVIII, 81 XVIII 133.
- ალკმენე**, პერკულესის დედა, IX, 9.
- ამაზონი**, (ამაძონი) მითიური მეომარი ქალი (პონტოს სანაპიროზე, მდ. თერმოდონტთან), IV 1, ამაზონური, XXI, 120
- ამალოვა**, თხა, რომელიც თავისი რბით კვებავდა ჩვილ იუპიტერს, XVIII, 188, თანავეარსკვლაველი.
- ამბრაკია**, ქალაქი ფიურეში, XV, 164.
- ამიმონე**, ერთ-ერთი დანაიდი, რომელიც შეუყვარდა ნეპტუნს, მან საგირის ვნებიანი თავდასმისაგან იხსნა ქალი, XIX, 132.
- ამინტორი**, დოლოპთა მეფე, ამინტორის ძე, ფენიქსი, III, 28.
- ამური**, ვენუსისა და იუპიტერის ძე, სიყვარულის ღმერთი (ბერძნ. ეროსი) IV, 11, VII, 31, 59, 190, VIII, 37, XV, 179, XVI, 204, XX, 45, 226, 229.
- ამფიგრიონი**, პერკულესის დედის, ალკმენეს ქმარი IX, 44.
- ანაქტორიე**, საფოს მეგობარი, XV, 17.
- ანდროგეოსი**, კრეტის მეფის, მინოსის ძე, IX, 99.
- ანდრომაქე**, პრიამოსის ვაჟის, პექტორის მეუღლე, V, 107, VIII, 13.
- ანდრომედე** (ანდრომედა), ეთიოპიის მეფის, კეფეესის ქალიშვილი, XV, 35, თანავეარსკვლაველი, XVIII, 151.
- ანდროსი**, კიკლადური კუნძული ეგეოსის ზღვაში, XXI, 81.
- ანტენორი**, ტროელი გმირი, V, 95.
- ანტეოსი**, მიწის ღმერთის ვაჟი, რომელიც დაამარცხა პერკულესმა, 71, 97.
- ანტინოესი**, 192 პენელოპეს ხელის მაძიებელი.
- ანტილოქე**, (ანტილოქუსი), ნესტორის ვაჟი, I, 15
- ანქიზე**, ენეასის მამა VII, 162, XVI, 203.
- აპოლონი**, იუპიტერისა და ლეტონას ძე, დიანას ძმა, მუსიკის, პოეზიის, ხელოვნების, მისანთა მფარველი ღვთაება, VIII, 83, IX, 91, XV, 23.
- არიადნა**, მინოსისა და პასიფაეს ქალიშვილი, რომელიც თესევსმა კუნძულ ნაქსოსზე მიაგოვა, XVII, 193.
- არგო**, არგონაუტების ხომალდი, VI, 65, XII, 9.
- არგოსი**, საბერძნეთის მხარე, XIV, 34.
- არგოსელები**, არგოსის მკვიდრნი, I, 25, 35, VI, 79, XIII, 71.
- არკასი** (არკადი), იუპიტერისა და კალისტოს ვაჟი, თანავეარსკვლაველი, XVIII, 187.
- ასკანიუსი**, ენეასისა და კრეუსას ვაჟი, იგივე იულუსი, VII, 77, 153.

- აგლანტა**, სქენევის ასული, კალიდონის ნადირობის მონაწილე. IV 99, XVI, 265, XXI, 123.
- აგლანტი** (აგლასი), ერთ-ერთი გიგანი, რომელსაც იუპიტერმა (ზეუსმა) მიუსაჯა მხრებით ცის თალის ზიდვა, IX, 18, XVI, 61, 66.
- აგრევსი**, მიკენის მეფე, აგამემნონისა და მენელაოსის, მამა, III, 39, 147.
- აგრიდები**, აგრევსის ძენი, აგამემნონი და მენელაოსი, V, 101.
- აქაველები**, ბერძნული ტომები, VIII, 13, XVII, 209.
- აქაია**, მხარე საბერძნეთში, XVI, 187.
- აქელოუსი**, მდინარის ღმერთი, IX, 139, XVI, 267.
- აქილეუსი** – ფთიის მეფის, პელევსისა და ქალღმერთ თეტისის ვაჟი, მთავარი გმარი ტროის ლაშქრობაში, I, 21, III, 25, VIII, 3, XX, 70.
- აქტე**, ატიკის ძველი სახელწოდება, აქტეის, ატიკის, II, 6, XV, 165, 185.
- აქტეული**, აქტეის მკვიდრი, ათენელი, XVIII, 42, ორიითია, ბორეასის ცოლი, XVIII, 42.
- აქტეონი**, კადმოსის შვილიშვილი, რომელიც დიანამ ირმად აქცია და მწევრებს დააგლეჯინა, XX, 103.
- ბაკქუსი**, მევენახეობისა და ღვინის ღმერთი, VI, 115, XIII, 33, XV, 24, 25.
- ბაკქი ქალები**, ბაკქუსის (დონისეს) კულტისაღმი მიძღვნილი მის გერიების მონაწილეები, IX, 47.
- ბელიდი**, ბელუსის. დანაოსისა და ეგვიპტოსის მამის. შთამომავალი. ბისტონია, თრაკია, XVI, 346.
- ბორეასი**, ჩრდილოეთის ქარი, XVIII, 37, 209, XXI, 41.
- ბრისეისი** (ბრისეიდა, ბრიზეიდა), აქილეუსის ტყვე ქალი, ქერუმ ბრისეს ასული, III, 1, 137, XX, 70.
- ბუსირიდი** (ბუსირისი), ეგვიპტის მეფე, რომელიც უცხოელებს სწორავდა მსხვერპლად, იგი დაამარცხა პერკულესმა, IX, 69.
- გარგარა**, მთა იდის ქედზე, XVI, 109.
- გატულელი**, აფრიკის ჩრდილოეთით მცხოვრები ხალხები, VII, 125.
- გერიონი**, სამგანიანი გოლიათი, რომელსაც პერკულესმა წააგვარა ხარები, IX, 92.
- გორგო** (გორგონა), სამი მითური ურჩხული, რომელთაც თმების ნაცვლად გველები ესხათ. მათი შეხედვა ცოცხალ არსებას ქვად აქცევდა, IX, 165.

დავლიდი (დავლისი), ქალაქი ფოკიდაში, **დავლიდელი**, პროკნე და ფილომელე, ათენის მეფის, პანდიონის ქალიშვილები, პროკნემ ქმარზე შურისძიების მიზნით მოკლა თავისი ვაჟი, იგისი, და ხორცი შეაჭამა ქმარს, XV, 153.

დანაე, ეგვიპტის მეფის ბელუსის ძე, დანაიდები დანაეს მოდგმა, ბერძნული ტომები III 86, 113.

დანაელნი, ბერძნული ტომები, I, 3, V, 156, VIII, 23, XIII, 63.

დარდანელები, გროელები, VIII, 42, XIII, 69, XVI, 333.

დაფნე, ნიმფა, აპოლონის საგროფო, XV, 25.

დედალოსი, ათენელი ხელოვანი, ლაბირინთის მშენებელი, იკაროსის მამა, XVIII, 49.

დეკალიონი, პრომეთეს ძე, პირას მეუღლე, რომელთაც ალაღვინეს წარღვნის შემდეგ ადამიანთა მოდგმა, XV, 167, 170.

დეიანირა, ეგოლიის მეფის, ენესის ქალიშვილი, მელეაგრეს და, პერკულესის ცოლი, IX, 131, 158.

დეიფობოსი (დეიფობი), პრიამოსისა და ჰეკუბეს ვაჟი, V, 94, XVI, 362.

დელია, დიანა, აპოლონის და, IV, 39, XX, 95.

დელოსი, ეგოსის ზღვის კუნძული, XX, 235, XXI, 77, 82, 102.

დელფიკელი, აპოლონი (დელფი, სადაც იყო აპოლონის სამისნო), XXI, 232.

დემოფოონი (დემოფოონტი), გროელი გმირი, II, 152.

დიანა, იუპიტერისა და ლატოს (ლატონას) ასული, ნადირობის ქალღმერთი, IV 91, XII, 69, 79, XX, 5, 211, 217, XXI, 7, 63, 149, 153.

დიდო (დიდონა), გვიროსის მეფის, ბელუსის ასული, სიქეესის ქერივი, კართაგენის დედოფალი, VII, 6, 17, 68, 195.

დიომედე, არგოსის მეფე, გროის ომის გმირი, IX, 67.

დოლონი, გროელი მშვერავი I, 39.

დორიელები, ბერძენი ტომები, XVI, 352.

დრიადები, ტყის ნიმფები IV, 49.

დულიქიელი, ითაკელი, ოდისეესი, I, 87.

ეაკიდი, ეაკის შთამომავალი, აქილევსი, VIII, 7.

ებალუსი, სპარტის მეფე, ებალის ნიმფა, ელენე, XVI, 128.

ეგოსი, ათენის მითიური მეფე, IV, 59, X, 131; ეგოსის ზღვა, XX, 221, XXI, 63.

ეგიდი (ეგეიდი), ეგოსის ძე, თესევსი IV 59, XVI, 327.

ეგისტე, თიესტეს ძე, აგამემნონის მკვლეელი, VIII, 53.

ეენი (ეუენუსი), მდინარე ეგოლიამი, IX, 141.

ევმენიდეები, შურისძიების ქალღმერთები, VII, 96.

ევრიბადესი, ბერძენი გმირი, გროის ლაშქრობის მონაწილე III, 9.

ევრისტეუსი, არგოსის მეფე, რომელსაც ერთ დროს ემსახურებოდა პერკულესი იუნოს ბრძანებით, IX, 7, 25, 45.

ევროპე, ფინიკიის მეფის, აგენორის ასული, რომელსაც გაუმიჯნურდა იუპიტერი, IV, 55.

ევრუსი, ქარის სახეობა, VII, 42, XI, 14.

ეთრა, თესევსის დედა, X, 131; ელენეს მეგობარი, XVI, 259, XVII, 150, 267.

ელადა, საბერძნეთი III, 84, XVI, 342, 348.

ელევსინი, ქალაქი ატიკაში, სადაც იყო კერესის ტაძარი, IV, 67.

ელენე, სპარტის მეფის, მენელაოსის მეუღლე, რომელიც მოიტაცა გროელმა პარისმა, V, 75, 93, VIII, 40, 99, XIII, 45, XVI, 264, 281, XVII, 121, 134.

ელინები, ბერძნები, XII, 10.

ელისა, იგივე დიდო, კართაგენის დედოფალი, VII, 102, 193.

ელისი (ელიდი), ქალაქი და მხარე პელოპონესში, IX, 85.

ენეასი, ანქიმესა და ვენუსის ძე, ტროელი გმირი, რომაელთა მითური წინაპარი, VII, 195.

ენიო, იგივე ერისტო.

ენონე, ნიმფა, პარისის საგრფო, V, 29, 80, 113, XVII, 196.

ეოლუსი, ქართა მეფე, XI, 65, 73, 95, XV, 200, XVIII, 46.

ერეხთიდი, ათენის გმირის, ერეხთევსის ქალიშვილი, XVI, 345.

ერიმანტი, (ერიმანტუსი), მთა არკადიაში, IX, 87.

ერინია (ერინისი), შურისძიების ქალღმერთი, VI, 45, XI, 103.

ერიხთო, იგივე ენიო, თესალიელი გრძნეული, XV, 139.

ესონიდი (ეზონიდი), იასონი, არგონავტთა წინამძღოლი, VI, 25, 103, XII, 66, 133, XVI, 347.

ეგნა, ეულკანი და ქალაქი სიცილიაში, XV, 11, 12.

ეფირე, კორინთოს ძველი სახელწოდება, XII, 27.

ეჟალია, ეგების ქალაქი, IX, 1, 129.

ვენუსი, სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთი II 37, IV 54, 97, 112, 119, 136, 169, V, 35, VII, 31, IX, 11, XV, 57, 91, 213, XVI, 15, 35, 66, 83, 87,, 140, 147, 160, 291, 298, XVIII, 69, XVII, 115, 124, 131.

მაკინთოსი კუნძული იონიის ზღვაში. მაკინთელი, I, 8.

მეფირი, (მეფირუსი), დასაკლეთის ქარი, XI, 13, XIV, 39, XV, 208.

- თალია, კომედიის მუზა, XV, 84.
- თერაპნე, მხარე ლაკონიაში, ელენეს საამშობლო, XVI, 198.
- თესალია, საბერძნეთის მხარე, V, 1, 23, IX, 99, XII, 123, XVIII, 158.
- თესევსი (თეზევსი) ათენის მეფე, ეგეოსის ძე, მინოტაურის დამამარცხებელი II, 13, IV 112, 11, V, 127-128, X, 21, 35, 75, 105, 113, XVI, 329, XVII, 26.
- თესეიდი, თესევსის ვაჟი, ჰიპოლიტუსი, IV, 65.
- თეგისი, ნერეიდი II, 54, XX, 60.
- თოანტი (თოასი), ლემნოსის მეფე, ჰიპსიპილეს მამა, VI, 114, 135, 163.
- თრაკია, მხარე საბერძნეთში II, 84.
- თრაკიელი, თრაკიის მკვიდრი I, 41, II 81, XIX, 99.
- იარბა (იარბასი), ლიბიელთა მეფე, VII, 125.
- იარდანდი, იარდანუსის, ლიდის მეფის ქალიშვილი, ომფალა, IX, 103.
- იასონი (იაზონი), ესონის ვაჟი, არგონაეტთა წინამძღოლი, VI, 77, 109, XII, 12, XVII, 229 XIX, 175.
- იბერია, აქ იგულისხმება ესპანეთის გერიტორია, IX, 91.
- ილა, მთის ქელი გროასთან, V, 73, XVI, 110, 203, XVII, 115.
- იდელი, ილის მთის მკვიდრი, პარისი, XIX, 178.
- იკაროსი, დედალოსის შვილი, რომელიც მამის მიერ დამზადებული ფრთით გაფრინდა კრეტიდან, მაგრამ ზღვაში დაიღუპა, XVIII, 49.
- ილიონი, იგივე გროა, VII, 151, XVI, 49, XVII, 215, 240.
- ილიონევსი, გროელი, XVI, 362.
- ინაქიდი, არგოსის დამაარსებლის ინაქუსის ქალიშვილი, იო, რომელიც ზევსმა შეიყვარა, XIV, 105.
- ირუსი, 'ოდისეას' პერსონაჟი, I, 95.
- ისტმოსი, კორინთოს ყელი, IV, 105, VIII, 68, XII, 103.
- ისმარიული, თრაკიელი I, 45.
- იოლე, ექალიის მეფის, ევრიტუსის ქალიშვილი, რომელიც ჰერკულესმა მოიგაცა, IX, 5, 134.
- იონია, მხარე მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე, IX, 73.
- იგისი, თერევსისა და პროკნეს ვაჟი, რომელიც ქმარზე შურისძიების მიზნით დედამ მოკლა, XV, 159.
- იულუსი, იგივე ასკანიუსი, ენეასის ძე, VII, 83, 136.
- იუნო, იუპიტერის მეუღლე, ქორწინების მფარველი ქალღმერთი IV, 35, VI, 43, IX, 5, 11, 45, XII, 87, XIV, 85, XVI, 66, XVII, 133.

იუპიტერი, რომელთა უმნაესი ღვთაება, II, 32 IV, 133, V, 35, VI, 152, VIII, 48, 67, 78, X, 68, XI, 18, XIII, 49, 144, XIV, 88, 89, XVI, 71, 81, 116, 175, 213, 252, 273, 291, 294, XVIII, 153, XVII, 44, 53, 56, 60.

კალიდონი, ეგოლის ქალაქი, XX, 101.

კალიკე, ნეპტუნის საგრფო, კიენუსის ღვთა, XIX, 133.

კართაგენი, უმნიშვნელოვანესი ქალაქი აფრიკის ჩრდილოეთით, ღვთაულ დიდოს მიერ დაარსებული, რომის დაუძინებელი მგერი, VII, 11, 19, 151.

კასანდრა, პრიამოსის ქალიშვილი, მისანი, XVI, 122, 279.

კასტორი, ერთ-ერთი დიოსკური, VIII, 71, XVI, 327.

კეა (კია, კეოსი) კუნძული ეგეოსის ზღვაში, XX, 21.

კეიკი, (კეიქსი), ალკიონეს ქმარი, რომელიც ალკუნად იქცა, XVIII, 82.

კეკროპი, ატიკის პირველი მეფე, კეკროპები, ატიკელები, ათენელები, X, 100, 125.

კელენო, ერთ-ერთი პლეიადა, XIX, 136.

კენტავრები, თესალიაში მცხოვრები მითური ცხენ-კაცები, IX, 100, 141, XVII, 247.

კერბერი (კერბერუსი, ცერბერი), სამთავიანი ქოფაკი, რომელსაც კისერზე გველები ესხა, IX, 93.

კერესი, იუპიტერის და, ნაყოფიერების ქალღმერთი IV, 67.

კეფალუსი, ქალღმერთ აერორას საგრფო IV, 97, XV, 88.

კეფენელი, ეთიოპელი, კეფენუსი, ეთიოპიის მეფე, ანდრომედას მამა, XV, 35.

კეილო, საფოს მეგობარი, XV, 17.

კილიპე, აკონტიუსის საგრფო, XX, 172, 202, XXI, 123.

კითერა, კუნძული პელოპონესთან, VII, 60.

კითერეა, ვენუსის ეპიტეთი, კითერელი, XVI, 19, 137, XVII, 241

კინთია, დიანას ეპიტეთი, XVIII, 74.

კორიკიელი, კორიკის მღვიმე ღვთაოსთან ახლოს, XX, 222.

კლიმენე, ელენეს მეგობარი, XVI, 259, XVII, 267.

კნოსოსი, ქალაქი კრეტაში, მინოსის სამეფო IV, 68.

კნოსელი, კრეტელი, XV, 25.

კოლხები, კოლხეთის მკვიდრნი, XII, 9, 23, 149, XVI, 348.

კოლხეთი, აიეგის სამეფო, VI, 129, 136, XVIII, 157, XIX, 175.

კრეონტი, კორინთოს მეფე, XII, 53.

კრეტა, ხმელთაშუა ზღვის კუნძული, IV, 63, X, 67, XVII, 163.

კრეგელი, კრეგის მკვიდრი II, 76, IV, 1, XVI, 350.

კრეუსა, კორინთოს მეფის, კრეონგის ქალიშვილი, იასონის საცო-
ლე, XII, 54.

კუპიდო (კუპიდონი), ამური, ვენუსის ვაჟი, XV, 215, XVI, 116.

ლაკონია, მხარე საბერძნეთში, I, 6.

ლაერტესი, ოდისეუსის მამა I, 97, 105, 113.

ლამუსი, ლესტრიგონების მეფე, პერკულესისა და ომფალას შვი-
ლი, IX, 54.

ლაოდაზია, პელაგვი გმირის, პროტესილაეს ცოლი, XIII, 69.

ლაოდიკე, ნებუტუნუსის საგრაო, XIX, 135.

ლაომედონტი, გროის მეფე, პრიამოსის მამა, XVII, 58, 206.

ლაგმოსი, მთის ქედი მილეტთან ახლოს, დიანას საგრაფოს, ენდამიო-
ნის საცხოვრებელი, XVIII, 62.

ლეანდრე (ლეანდრუსი, ლეანდერი), აბილოსელი ჭაბუკი, რომელიც
საგრაფოსთან, პეროსთან შესახვედრად ყოველდღე მიცურავდა
სესტოსში, XIX, 1, 41, 155.

ლედა, სპარგის მეფის, გინდარევის ცოლი, მშვენიერი ელენეს დე-
და, XIII, 64, 79, XVI, 1, 86, 294, XVII, 55.

ლეკადი (ლეკადისი), კუნძული იონიის ზღვაში, სადაც იყო აპო-
ლონის ტაძარი, XV, 166, 171, 180, 187, 220.

ლეკიპიდები, მესენის მეფის, ლეკიპუსის ქალიშვილები, XVI, 329.

ლემნოსი, კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, II, 45, VI, 11, 37, 139.

ლემნოსელები, ლემნოსის მკვიდრნი, VI, 53, 117,

ლერნე (ლერნა), ტბა არგოლიდაში, სადაც ბინადრობდა ურჩხული
ჰიდრა, რომელიც მოკლა პერკულესმა, IX, 115.

ლესბოსი, კუნძული ეგეოსის ზღვაში, საფოსა და ალკეოსის სამ-
შობლო, III, 35, XV, 52, 201.

ლესბოსელი, ლესბოსის მკვიდრი, XV, 15.

ლიბერი, ბაკქუსის ზედსახელი, XVIII, 153.

ლიკია, მცირე აზიის ქვეყანა I, 20.

ლიკურგოსი, ედონელთა გომის ბელადი თრაკიაში, II, 112.

ლინკეესი, ეგვიპტუსის ძე, რომელიც დაინდო ჰიპერმნესგრაამ, არ
შეასრულა მამის ბრძანება და არ მოკლა ქმარი, XIV, 123.

ლირნესი, გროის მოკავშირე ქალაქი, ბრისეისის სამშობლო, III,
45.

ლუკინა (ლუცინა), მშობიარობის ქალღმერთი, VI, 122, XI, 55.

ლუციფერი, ცისკრის ვარსკვლავი, XVIII, 112.

- მაგნეტიდები, არგონაეტები, XII, 9.
- მაკარევსი, ქართა მეფის, ეოლუსის ვაჟი, XI, 22.
- მარსი, ომის ღმერთი, VI, 10, 32, XII, 40.
- მაგრონა, რომაელი ქალბატონი, V, 85.
- მეანდრე (მეანდროსი), მდინარე მყირე აზიაში, VII, 1, IX, 55.
- მედეა, კოლხეთის მეფის, აიეტის ქალიშვილი, VI, 75, 127, XIX, 176, XVII, 229, 233.
- მედუზა, ოდესღაც მშვენიერი ქალწული, შემდგომ ურჩხული, რომელსაც გველები ეხეია თმებად, XIX, 134.
- მელანტიუსი, 'ოდისეას' პერსონაჟი, მწყემსი, I, 95.
- მელეაგრე (მელეაგროსი, მელეაგერი), კალიდონის ნადირობისა და არგონაეტთა ღამქრობის მონაწილე, II, 93, IX, 151.
- მენელაოსი, სპარტის მეფე, ელენეს ქმარი, V, 105, VIII, 37, 41, XIII, 47, XVI, 205, 357, XVII, 153, 249.
- მეონიური, ლიდიური, IX, 65.
- მეტიმნიელი, ქალაქ მეტიმნას (ლესბოსზე) მცხოვრები, XV, 16.
- მიკენი, ქალაქი პელოპონესში, VII, 165.
- მიკენური, V, 1.
- მინერვა, სიბრძნის, ომის ქალღმერთი, V, 36.
- მინიები, არგონაეტები, VI, 47, XII, 65.
- მინოსი, კრეტის მეფე, IV, 62, VI, 113, XVI, 349.
- მინოტავრი, მინოსის ცოლის პასიფაეს შვილი, ნახევრად ხარი, ნახევრად კაცი, ლაბირინთის მკვიდრი, X, 102.
- მირტოსი, კუნძული ევბეაში, მირტოსის ზღვა, ეგეოსის ზღვის ნაწილი, კრეტასა და ატიას შორის, XVI, 210.
- მოპსოპი (მოპსოპია), ატიკის ძველი სახელწოდება, VIII, 72.
- ნაიადა (ნაიასი, ნაიადი) წყლის ნიმფა, XV, 162.
- ნემეა, გყიანი ველი არგოლიდაში, სადაც მოკლა პერკულესმა ლომი, IX, 61.
- ნეპტუნი, ზღვის ღმერთი (პოსეიდონი), IV 109, XI, 129, XIX, 129, 137.
- ნერევსი, ზღვის ღვთაება, IX, 14.
- ნერეიდა, წყლის ნიმფა, V, 37.
- ნესტორი, ნელევსის ძე. პილოსის მეფე, გროის ღამქრობის მონაწილე I, 37, 63.

ნესუსი, კენგაერი, რომელიც მოკლა პერკულესმა და რომლის მსამითაც კენგავრისგან მოგყუებულმა ღვიანიჩამ დალეუა პერკულესი, IX, 161.

ნიმედიელი, სიცილიელი, XV, 54.

ნილოსი, მდინარე აფრიკაში, XIV, 107.

ნიმფა, ზღვის, მთის, მდინარის, მღვიმის ქალღმერთი, IV, 143, XV, 175, XX, 222.

ნოგი (ნოტუსი), სამსრეთის ქარი, XI, 13.

ორესტე (ორესტესი), აგამემნონის ვაჟი, VIII, 1, 9, 15, 39, 101

ორმენისი (ორმენიდი), ქალაქ ორმენევის დამაარსებლის შვილიშვილი, პერკულესის საგრყო, IX, 49.

პალემონი, ათამანგისა და ინოს ვაჟი, XVIII, 159.

პალესტრა, სკოლა გიმნასტიკისათვის, XVI, 152, XIX, 11.

პანი, მწყემსთა და საქონლის მფარველი ღვთაება, IV, 173.

პარისი, პრიამოსის ძე, V, 29, 32, 109, VIII, 19, XI, 55, 63, XVI, 83, 49, XVII, 100, XX, 49.

პართენი (პართენიუსი), მთა არგოლიდაში, IX, 49.

პარკები, ბედისწერის ქალღმერთები, XI, 105.

პასიფაე, მინოსის ცოლი, არიადნას ღებდა, მინოტავრის ღებდა, IV, 57.

პატროკლოსი, აქილევსის მეგობარი, I, 16, II, 23.

პეგასიდები, მუშები, XV, 27.

პელაზგია, მხარე თესალიაში, IX, 3.

პელაზგები, ბერძნული გომები, XII, 7, 83, XIV, 23, XVII, 240.

პელაზგიდი (პელაზგიადი), პელაზგისა, პელაზგიური, XV, 217.

პელევსი, აქილევსის მამა, II, 135, VIII, 27.

პელიასი, იასონის ბიძა (მამის, ესონის ძმა), ვინც გაგზავნა იასონი კოლხეთში ოქროს საწმისისათვის, VI, 101, XII, 130

პელიდი, აქილევსი, VIII, 83.

პელოპსი, აგრევსის მამა, მენელაოსისა და აგამემნონის პაპა, VIII, 47, 81, XVII, 54.

პენატები, რომაული ღვთაებანი, ოჯახისა და კერიის მფარველები, VII, 77.

პენელოპე, ოდისევსის მეუღლე I, II, 11, 83, 85.

პენტესილეა, ამბონების ღებოფალი, გროელების მიაკავშირე, XXI, 118.

პერგამოსი (პერგამონი), გროის აეროპოლისი, I, 32, 51, II, 151, VII, 144, XVII, 205.

პერსევსი, იუპიტერისა და დანაეს შვილი, რომელმაც მოკლა მედუზა და გაათავისუფლა ანდრომედა, XV, 36, XVIII, 153.

პერსეფონე, (პროსერპინა), მიწისქვეშეთის დედოფალი, XXI, 45.

პითევსი, გროიძენის მეფის ძე, თესევის პაპა IV, 107.

პილოსი, ქალაქი პელოპონესში, I, 64, 100.

პირითოუსი ლაპიფების მეფე, თესევის მეგობარი, IV, 110, 111.

პირუსი, იგივე ნეოპტოლემუსი, აქილევსის ვაჟი, IV, 135, VIII, 3, 36, 42, 55, 82, 105, 115.

პისანდროსი, "ოღისეას" პერსონაჟი, ერთ-ერთი სასიძო, I, 91.

პლეადები, (პლეიადები), მუზები, XVI, 175, XVIII, 189.

პლეიონი, აგლანგის ცოლი, XVI, 62.

პლექტრა (პლექტრუმი), კითარის სიმებზე ჩამოსაკრავი ჩხირი, XV, 197.

პოლიდამანგი (პოლიდამასი), გროელი გმირი, V, 94.

პოლიპოსი, კორინთოს მეფე, ერთ-ერთი სასიძო, I, 91.

პოლუქსი, ერთ-ერთი დიოსკური, კასტორის ძმა, VIII, 71, XVI, 327.

პონგო, შავი ზღვა, XVIII, 157.

პრიამოსი, გროის მეფე, ჰექტორის, პარისის, კასანდრას მამა, I, 3, 37 II, 20V, 82, 95, XVI, 12, 209, XVII, 58, 211.

პროკნე, ათენის მეფის, პანდიონის ქალიშვილი, იგისის დედა. XV, 155.

პროკრუსტე, ატიკელი ავაზაკი, რომელიც დაამარცხა თესეუსმა, II, 69.

პუნიკები, კართაგენელები, VII, 140.

რეზუსი, გროელთა მოკავშირე, თრაკიის მეფე, I, 39.

როდოპე, თრაკიის მთები II, 114.

საგირი, საგირები. ბაკქუსის მსლებლები, IV, 171.

საგურნუსი, რომაელთა უძველესი ღვთაება, IV, 131.

საფო (საჰფო), ბერძენი ჰოეგი ქალი, XV, 3, 58, 100, 155, 217.

სამოსი, კუნძული ეგეოსის ზღვაში, სამოსელი, სამოსის მკვიდრი I, 87.

სესტოსი, ქალაქი თრაკიაში, პელესპონგის სანაპიროსთან, ლეანდრეს საგრფოს, პეროს სამშობლო, XVIII, 1, 127.

სიგვა, ქალაქი გროაში I, 87, სიგვის, XVI, 275.

- სიზიფე, კორინთოს მეფე, XII, 204.
- სიკანუსი, სიცილია, XV, 57.
- სიმონი, მდ. სკამანდროსის შენაკადი გროაში I, 33, VII, 145, XIII, 53.
- სიმპლეგადები, ორი კლდოვანი კუნძული ბოსფორის ზღვაში, რომლებიც ხან შორდებოდნენ ერთმანეთს, ხან ერთდებოდნენ, და დიდ საფრთხეს უქმნიდნენ ხომალდებს, XII, 121.
- სიქეესი, დიდოს ქმარი, VII 99, 193.
- სკვითია, კოლხეთის მემობელი ქვეყანა, XII, 28.
- სკილა, ზღვის ურჩხული იგალიასა და სიცილიას შორის, XII, 123.
- სკირონი, ყაჩაღი, რომელსაც სძლია თესეესმა, II, 69.
- სკიროსი, კუნძული თრაკიაში, სადაც იმალებოდა აქილევსი გროის ომის წინ, სკიროსელი, აქილევსის ვაჟი, პიროსი (ნეოპტოლემუსი), VIII, 112.
- სპარგა, ქალაქი ლაკონიაში I, 65, V, 117, VIII, 11, XVI, 30, 131, 189, XIX, 177, XVII, 209.
- სტიქსი, ქვესკნელის სამეფოს მდინარე, სადაც იგანჯებოდა ღმერთების მიერ დასჯილი განცალისი მუღმივი წყურვილით, XVI, 212.
- ტალენტი, ბერძნული ფულის ერთეული, III, 33.
- ტალთიბიუსი, მაცნე აგამემნონის, II, 9.
- ტანაისი, სკვითიის მდინარე, VI, 107.
- ტანგალოსი, იუპიტერის ძე, ფრიგიის მეფე, რომელიც ღმერთთა საიდუმლოების გათქმის გამო დაისაჯა, იგი მიწისქვეშეთში ჩააგდეს, სადაც განჯაედა გამუღმებული შიმშილი, VIII, 123.
- ტანგალიდი, ტანგალოსის შვილი, ნიობა ან ჰერმიონა, VIII, 45, XVII, 54.
- ტეგეა, ქალაქი არკადიაში, IX, 87.
- ტევორანტი (ტევორანსი), მიზიის მეფე, IX, 51.
- ტევკრელნი, გროელები, VII, 139, 159.
- ტელამონი, ეაკის ძე, აიაქსის მამა, II, 28, XX, 69.
- ტელემაქოსი, ულისეს ვაჟი I, 38, 98, 107.
- ტენარა (ტენარუსი), ქალაქი ლაკონიაში, XVI, 276, XVII, 5.
- ტენედოსი, ეგეოსის ზღვის კუნძული, XIII, 53, XX I, 82.
- ტიბრი, იგალიის მდინარე, VII, 145.
- ტიტონი, გროის მეფის, ავლომელონგის ძე, ავრორას ქმარი, XVIII, 110.

- ტიღვესი, კალიდონის მეფის, ენეისის ვაჟი, ღომეღეს მამა, IX, 155.
- ტიზიფონე, ფურია, II, 117.
- ტიმპანი, გამბური, დაფდაფი, რომელსაც იყენებდნენ ბაკქუსის ან კიბელეს ღღესასწაულზე, IV, 48.
- ტინდარევის (ტინდარეუსი, ტინდარუსი), სპარტის მეფე, ლედას ქმარი, ელენეს, კლიტემნესტრას, პოლუქსისა და კასტორის მამა, XVII, 54.
- ტინდარიდები, დიოსკურები, კასტორი და პოლუქსი, V, 90, VIII, 31, 64, 121, XVII, 117.
- ტირო, თესალიის მეფის, სალმონევის ქალიშვილი, XIX, 131.
- ტიტანი, მზის ღმერთის სახელი, VIII, 105, XV, 135.
- ტიფისი, "არგოს" მესაჭე, VI, 48.
- ტლეპოლემე, პერკულესის ძე, I, 19.
- ტრინაკრია, სიცილია, XII, 125.
- ტრიტონი, ნეპტუნუსის ვაჟი, ზღვის ღვთაება, VII, 50.
- ტროა, ქალაქი მცირე აზიაში, I, 3, 28, 47, 53, 67, V, 139, XIII, 38, 93, 123, XVI, 49, 92, 97, 107, 181, 295, 331, 338, XIX, 177, XVII, 210, XXI, 118.
- ტროელნი, ტროის მკვიდრნი I, 13, VII, 105, XIII, 137, XVII, 160, 200.
- ტროიძენი, ქალაქი არგოლისში, IV, 107.
- ტუნია, რომაელთა სამოსი (უსახელოებო), რომლის ზემოთ მამაკაცები იცვამდნენ ტოგას, ქალები კი - სტოლას, XVI, 249.
- ულისე (ულიქსე, ოდისეუსი), „ოდისეას“ მთავარი გმირი, I, 1, 35, 85, III, 130, XIX, 148.
- ფავნი (ფავნუსი), ტყეთა და ველთა ღმერთი IV, 50, V, 137, XV, 11.
- ფაზისი, მდინარე კოლხეთში, VI, 108, XII, 10.
- ფაზისელი, ფაზისთან მცხოვრები (მედეა), VI, 104, XVI, 347.
- ფამა, ჯორის ღვთაება, XVII, 207.
- ფაონი, საფოს სატროფო, XV, 90, 123, 203, 204.
- ფებე, იგივე დიანა, მთვარის ქალღმერთი, VIII, 77, XI, 45.
- ფებუსი, აპოლონის უპითეტი, XIII, 103, XV, 25, 165, 181, 183, XVI, 182.
- ფედრა, თესვისის ცოლი, IV, 2, 48, 112.
- ფენიქსი, აქილევსის თანამებრძოლი, III, 129.
- ფერეკლუსი, სპარტაში გამგზავრებული პარისის მესაჭე, XVI, 21.
- ფთია, აქილევსის სამშობლო, VII, 165.
- ფილაკიელნი, ქალაქ ფილაკეს მკვიდრნი თესალიაში, XIII, 93.

ფილისი, თრაკიის მეფის, სითონის ქალიშვილი, II, 2.

ფრიგია, ქვეყანა მცირე აზიაში, IX, 128, XVI, 144, XVII, 57, 227, XVIII, 57, XX, 106.

ფრიგიელი, ფრიგიის მკვიდრი, V, 4, 120, XIII, 58, XVI, 185, 197, 199, ფრიგიული, XVI, 107.

ფრიქსე, თესალიის მეფის, ათამანგის ვაჟი, ვინც ოქროს ვერძით ჩავიდა კოლხეთში, VI, 103, XII, 8, XVIII, 143, XIX, 163.

ქალკიოპე, მედეას და, აიეგის ასული, ფრიქსეს ცოლი, XVII, 232.

ქარაქსუსი, საფოს ძმა, XV, 116.

ქსანთუსი, მდინარე გროაში, V, 30, 31, XIII, 53.

პებრისი, მდინარე თრაკიაში, II, 15.

პეკატე, აიეგის და, კოლხური ღვთაება, XII, 168.

პემუსი, თრაკიის მთა, II, 114.

პეკუბე, პრიამოსის მეუღლე, II, 114, V, 84.

პელე, ათამანგისა და ნეფელეს ქალიშვილი, ფრიქსეს და, რომელიც ოქროს ვერძით გაეშურა კოლხეთისაკენ, მაგრამ დაიღუპა შავ ზღვაში, XVIII, 108, 139, XIX, 123, 128.

პემონია, თესალია, XIII, 1, XVII, 248.

პემონიელი, თესალიელი, VI, 24.

პერკულესი, იუპიტერისა და ალკმენეს შვილი, ბერძნულ-რომაული მითოლოგიის ყველაზე ცნობილი გმირი, IX, 27, 57, 129, 132, 149.

პერმიონე, მენელაოსისა და ელენეს ქალიშვილი, XVI, 225.

პერო, სესტოსელი ქალიშვილი, ლეანდრეს საგრაფო, XVIII, 1.

პესიონე, გროის მეფის, ლაომელონგის ქალიშვილი, პრიამოსის და, XX, 69.

პექტორი, პრიამოსის ძე, პარისის ძმა, I, 1, 14, 36 II, 86, 123, V, 93, VII, 144, XIII, 63, 65, 168, XVI, 367, XVII, 255.

პიდრა, ცხრათავიანი დრაკონი, რომელიც მოკლა პერკულესმა, IX, 85.

პილუსი, პერკულესისა და დეიანირას ვაჟი, IX, 44, 167.

პიმენევსი (პიმენეუსი, პიმენე), აპოლონის ძე, ქორწინების ღმერთი, საქორწინო სიმღერა, ქორწინება, II, 33, XII, 102, XIV, 27, XXI, 157.

პიპერმნესტრა, მეფე დანაეს ქალიშვილი, ლინკევსის ცოლი, XIV, 2, 33, 129.

- პიპოდამია**, (პიპოდამე), პიზის მეფის, ენომეუსის ქალიშვილი, VIII, 69, XVI, 266; პირითოუსის ცოლი, მათ ქორწილში აგყდა ბრძოლა ლაპითებსა და კენგაერებს შორის, XVII, 247.
- პიპოლიტე**, ამაზონების დედოფალი, რომელმაც ოქროს სარტყელი აჩუქა პერკულესს, XXI, 120.
- პიპოლიტუსი**, ათენის მეფის, თესეუსის ვაჟი IV, 36, XXI, 10, 119.
- პიპომენე**, აგალანტას ქმარი, XVI, 265 XXI, 124.
- პიპსიპილე**, ლემნოსის დედოფალი, თოანგის ქალიშვილი, VI, 118, XVII, 193.